

დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი

**მტკიცებითი სამართლის  
აქტუალური საკითხები**

სტატიათა კრებული

ნუნუ კვანტალიანის რედაქტორობით

დავით ბატონიშვილის სამართლის  
ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი

2016

UDC(უაკ)347.9  
გ-909

„მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები“ სტატიათა კრებულია, რომელიც აერთიანებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ნაშრომებს. გამოცემაში წარმოდგენილია თორნიკე ამილახვრის, მონიკა გაბუნიას, მარიამ გაიპარაშვილის, ნინო რუსიეშვილისა და ნიკოლოზ სიმონიშვილის სტატიები.

გამოცემა საინტერესო იქნება იურისტებისათვის, განსაკუთრებით საპროცესო სამართლისა და სამოქალაქო სამართალწარმოების საკითხებით დაინტერესებულ პირთა ფართო წრისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი: პროფ. დოქტ. ნუნუ კვანტალიანი

ავტორები: თორნიკე ამილახვარი  
მონიკა გაბუნია  
მარიამ გაიპარაშვილი  
ნინო რუსიეშვილი  
ნიკოლოზ სიმონიშვილი

დიზაინი: დიმიტრი გეგენავა

*გამოცემა მომზადებულია დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობის მიერ.*

© სტატიების ავტორები, 2016

© დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 2016

ISBN 978-9941-0-8437-9

## წინათქმა

ნებისმიერი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, სამართალურთიერთობების თითოეულმა მონაწილემ შეძლოს უფლებების ჯეროვანი დაცვა და მათი პრაქტიკაში განხორციელება, რაც ადეკვატური სამართალწარმოების გარეშე გამოიხატება. სამართალწარმოების ცენტრალური საკითხი და მისი იდეის განმსაზღვრელი ინსტიტუტი კი მტკიცებაა. ქართული მტკიცებითი სამართალი თანდათან ვითარდება და მის წინაშე გამუდმებით ახალი გამოწვევებია, რომელთაც ჯეროვანი ანალიზი და დაბუშავება სჭირდებათ.

„მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები“ სტატიათა კრებულშია, რომელიც აერთიანებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ნაშრომებს. გამოცემაში წარმოდგენილია თორნიკე ამილახვრის, მონიკა გაბუნიას, მარიამ გაიპარაშვილის, ნინო რუსიშვილისა და ნიკოლოზ სიმონიშვილის სტატიები. თამამად შეიძლება ითქვას, თითოეული მათგანი მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღირებულების მატარებელია და მათში მოხმობილი ინფორმაციის დიდი ნაწილი ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება.

მაგისტრანტების მიერ განხორციელებული კვლევა ნამდვილად მაღალი დონისაა და დარწმუნებული ვარ, ამ გამოცემით ძალიან ბევრი დაინტერესებული ადამიანი ისარგებლებს. იმედს ვიტოვებ, მტკიცებითი სამართლის სფეროში აკადემიური საქმიანობა ფართო გასაქანს ჰპოვებს და კიდევ ბევრი გადაწყვეტს, შეისწავლოს ამ მეტად საინტერესო სფეროს აქტუალური საკითხები.

და ბოლოს, მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ ავტორს, რომელიც სერიოზულად, პასუხისმგებლობით მოეკიდა საქმეს. ასევე, განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტს, რომელიც გვერდში დაგვიდგა და უზრუნველყო კრებულის გამოცემა. იმედია, ამ მიმართულებით გამოცემები მომავალშიც გაგრძელდება და კიდევ არაერთი საინტერესო ნაშრომი იხილავს დღის სინათლეს.

**ნუნუ კვანტალიანი**

სამართლის დოქტორი,  
პროფესორი

2015 წლის დეკემბერი, თბილისი



## შინაარსი

**მტკიცების ტვირთი სამართო სამართლის ქვეყნებში..... 3**

*თორნიკე ამილახვარი*

**მტკიცების ტვირთის ძირითადი მასხანათებლები და  
მისი როლი სადაზღვევისამართლებრივ დავაში..... 38**

*მონიკა გაბუნია*

**მტკიცების ტვირთის განაწილება გენდერული ნიშნით  
დისკრიმინაციისას ურომითსამართლებრივ  
ურთიერთობაში..... 53**

*მარიამ ვაიპარაშვილი*

**მტკიცების ტვირთი ინტელექტუალურსამართლებრივ  
დავაში..... 73**

*ნინო რუსიეშვილი*

**მტკიცების სტანდარტი პირადი არაქმონებრივი  
უფლებების დაცვისა და სიტყვისა და გამონათვის  
თავისუფლების კონკურენციისას..... 87**

*ნიკოლოზ სიმონიშვილი*



## მტკიცების ტვირთი სამართო სამართლის ქვეყნებში

### I. შესავალი

მტკიცების ტვირთი სასამართლო პროცესის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელიც განურჩევლად სამართლის თუ საზოგადოების განვითარების ეტაპისა, სამართლის სისტემისა და ფილოსოფიისა, მანც სამართლის პროცესის არსებით შემადგენელ ელემენტად რჩება. მტკიცების ტვირთი პროცესის იმპერატიულ მოთხოვნად მიიჩნევა და დიდწილად მასზე და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული სამართლებრივად სწორად დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა. მტკიცების ტვირთს ორგვარი, ფილოსოფიური და სამართლებრივი საწყისი აქვს. მისი ერთიანი და უნივერსალური ცნება არ არსებობს, მაგრამ უზოგადეს დონეზე შესაძლებელია ერთ წინადადებაში მოქცევა: „მტკიცება ესაჭიროება მას, ვინც სხვას რაიმეს აბრალებს“<sup>1</sup>. მიუხედავად ზემოთქმულისა, სხვადასხვა გარემოში მტკიცების პროცესმა განვითარების განსხვავებული ეტაპები განვლო, განსაკუთრებით ეს კონტინენტური ევროპის და საერთო სამართლის სისტემათა მტკიცების პროცესის თავისებურებებზე ითქმის. წინამდებარე ნაშრომის მიზანი ამ ორი სამართლებრივი სისტემის, უფრო კონკრეტულად კი, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მტკიცების პროცესის ანალიზი და ქართულ სამართალთან მისი სინთეზური შედარებაა.

### II. მტკიცების პროცესი დიდი ბრიტანეთის სამოქალაქო საპროცესო სამართალში

დიდ ბრიტანეთში, როგორც საერთო სამართლის სამშობლოში, მტკიცების პროცესი საუკუნეების მანძილზე დაგროვებული მდიდარი სასამართლო პრაქტიკითაა ჩამოყალიბებული. მათ საკანონმდებლო სივრცეში არ მოიპოვება ისეთი ერთიანი პროცესუალური კანონი, როგორიც საქართველოში სამოქალაქო საპროცესო კოდექსია. მტკიცების პროცესისთვის დადგენილი

---

<sup>1</sup> ლათ. *semper necessitas probandi incumbit ei qui agit*.

სტანდარტები და მისი განმარტებები სხვადასხვა პერიოდის სასამართლო გადაწყვეტილებებშია გაბნეული. ინგლისურ სამართლებრივ მეცნიერებაში მტკიცების ტვირთის თეორიულ კვლევას დიდი ყურადღება არ ეთმობა და არც მისი საკანონმდებლო ცნება მოიპოვება.<sup>2</sup> თუმცა, როგორც სამართლიანად შენიშნავენ სამართლის მეცნიერები,<sup>3</sup> საერთო სამართლის კონტინენტურთან დაახლოებამ გამოიწვია ის, რომ დღესდღეობით დიდ ბრიტანეთში სხვადასხვა საკითხზე უფრო აქტიურად იღებენ მომწესრიგებელ აქტებს, ვიდრე ეს ადრე ხდებოდა. სწორედ ამგვარი აქტებია 1998 წელს მიღებული „სამოქალაქო სამართალწარმოების წესები“<sup>4</sup> და 1995 წლის კანონი „სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებათა შესახებ“<sup>5</sup>, რომლებიც ბრიტანული სასამართლოს პრეცედენტებისა და გამოცდილების საფუძველზეა შედგენილი.

დიდ ბრიტანეთში მტკიცებულებებისთვის დადგენილია განკუთვნილობისა და დასაშვებობის ეტაპები. მტკიცებულებად მიჩნევა ყველა მასალა, რომლის გამოყენებაც აკრძალული არ არის და რომელიც სასამართლოს ამა თუ იმ ფაქტის არსებობაში დაარწმუნებს, მათ შორის ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც შესაძლოა ქართული სამოქალაქო პროცესისთვის განკუთვნილი არც იყოს. ზოგადად, განკუთვნილობა და დასაშვებობა ბრიტანული სამართლის მიხედვით ძალიან ჰგავს ქართულ განმარტებას. განკუთვნილია ის მტკიცებულება, რომელიც დასამტკიცებელ ფაქტსა და უშუალოდ ამ მტკიცებულებას შორის კავშირს ადგენს, ხოლო დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევა ის, რომელიც მოცემულ საქმეზე არ არის მოპოვებული კანონდარღვევით და მას საქმისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

დიდი ბრიტანეთის მტკიცების პროცესში ერთმანეთისგან განასხვავებენ მტკიცებულებას და მტკიცებულების მატარებელს. მტკიცებულების მატარებლად მიიჩნევა მოწმე, დოკუმენტი ან ნივთი, ხოლო მოწმის მიერ მიცემული ჩვენება, დოკუმენტის შინაარსი, ნივთის მონაცემები, ანუ ის ინფორმაცია, რომლის სასამართლოში გადმოცემასაც დადგენილი წესით უზრუნ-

---

<sup>2</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში – დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(27), 2010, 21.

<sup>3</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2010, 219.

<sup>4</sup> Civil Procedural Rules, 1998.

<sup>5</sup> Civil Evidence Act, 1995.



ველყოფს მტკიცებულების მატარებელი, თვით მტკიცებულებაა. ინფორმაციის მატარებლის მიხედვით, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე გამოიყოფა მტკიცებულებათა რამდენიმე სახე: 1. მოწმეთა ჩვენება, ანუ ზეპირი სახის მტკიცებულება; 2. წერილობითი მტკიცებულება; 3. ექსპერტიზის დასკვნა; 4. ნივთიერი მტკიცებულება; 5. Hearsay, ანუ ჩვენება სხვისი სიტყვებით და 6. აფიდევიტი.<sup>6</sup> გარდა ჩამოთვლილისა, მტკიცების პროცესში, ასევე, დასაშვებია სხვადასხვა სახის მტკიცებულება, რომელთა ზოგად კატეგორიაში მოქცევას „სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებათა შესახებ“ კანონი არ ახდენს, ესენია: გეგმების, ფოტოებისა და მოდელების მტკიცებულებად გამოყენება, რომლებიც არ შედის ჩამოთვლილი მტკიცებულებების არცერთ კატეგორიაში; უცხოურ სამართალზე დასმულ შეკითხვაზე მოპოვებული მტკიცებულება, საჯარო და სახელმწიფო დოკუმენტები, გამოქვეყნებული ნაშრომები, ჩანაწერები, მინდობილი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.<sup>7</sup> ჩვეულებათა მიხედვით, მოსამართლეს დავის გადაწყვეტისას, ასევე, შეუძლია პირთა რეპუტაცია, ოჯახის ტრადიციები მიიღოს მხედველობაში.

განსაკუთრებით საინტერესოა ის მტკიცებულებები, რომლებიც ბრიტანული სამართლის თავისებურებას წარმოადგენს ქართულ სამართალთან მიმართებით. ერთ-ერთი ასეთი მტკიცებულებაა ჩვენება სხვისი სიტყვებით, რომელიც ცალკე კატეგორიად გამოიყოფა და დასაშვებია მტკიცების პროცესში. მისი ცნება ჩამოყალიბებულია „სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებათა შესახებ“ კანონში და მიიჩნევა განცხადებად, რომელიც გაკეთებულია სხვა პირის მიერ ზეპირი ჩვენების სახით სასამართლოში და არა მტკიცებულების პირველწყაროს მიერ.<sup>8</sup> ამ დროს პირი გადმოსცემს არა იმ ინფორმაციას, რომელსაც ის თავად შეესწრო ან თავად მოიპოვა, არამედ იმეორებს მტკიცებულების მატარებლისგან, ანუ პირველწყაროსგან მოპოვებულ ინფორმაციას. თავის მხრივ, სხვისი სიტყვებით ჩვენება იყოფა პირველი, მეორე და ა.შ. ხელიდან მიღებულ ინფორმაციად, ანუ მტკიცებულების რამდენიმე მატარებელიც არსებობდა ინფორმაციის სასამართლომდე მოღწევამდე და ეს ფაქტორი, თავისთავად, მოსამართლისთვის მტკიცებულების სანდოობის ხარისხზე მეტყველებს. აუცილებელი არაა, რომ ინ-

<sup>6</sup> Civil Procedure Rules, 1998, Art. 32.2; 32.15.

<sup>7</sup> იქვე, Art. 33.6; 33.7; 33.8.

<sup>8</sup> Civil Evidence Act, 1995, მუხლი 1(2)(a).

ფორმაციის პირველწყაროს სხვა პირი წარმოადგენდეს, ეს შეიძლება იყოს წერილობითი დოკუმენტიდან ან სხვა სახის მტკიცებულებიდან მოპოვებული ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთისგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებული შტატების როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო პროცესში, სხვისი სიტყვებით ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა. რაც შეეხება საქართველოს, სამოქალაქო პროცესისთვის აღნიშნული მტკიცებულების სახე უცნობია, თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იცნობს მსგავსი მტკიცებულების სახეს და მას ირიბ ჩვენებას უწოდებს.<sup>9</sup> ირიბი ჩვენება შინაარსობრივად თითქმის ემთხვევა სხვისი სიტყვებით ჩვენებას. მათ შორის მსგავსებაა იმ კუთხითაც, რომ ბრიტანული სამართლის მიხედვით, აუცილებელია, ჩვენების მიმცემმა პირმა დაადასტუროს საკუთარი კომპეტენტურობა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც იგი გადმოსცემს.<sup>10</sup>

აფიდევიტი (ლათ. *affido* - „ვფიცავ“) ნებაყოფლობითი, წერილობითი, ფიცით დადასტურებული ჩვენებაა, რომელიც შეიცავს პირის, ანუ დებონენტის განცხადებას ამა თუ იმ ფაქტთან დაკავშირებით და დამოწმებულია იმ პირის მიერ, რომელსაც კანონის მიხედვით შესაბამისი უფლებაა მიიღება აქვს. ასეთებად მიჩნეულია ნოტარიუსი და სხვა მსგავსი ინსტიტუტები. ბრიტანული კანონმდებლობის თანახმად, მტკიცებულების სახით აფიდევიტი დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ იგი მოწმის ჩვენების დამატებით, ან ნაცვლად მიიღება. აფიდევიტის ფორმით ჩვენების მიცემაზე გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს, ან ეს ხდება მხარეთა ინიციატივით.<sup>11</sup>

საინტერესო და ცალკე აღნიშვნის ღირსია უცხოურ სამართალზე მოპოვებული მტკიცებულება, რომელიც მტკიცებულების სახედაა აღიარებული დიდი ბრიტანეთის სამოქალაქო საპროცესო სამართალში.<sup>12</sup> უცხოურ სამართალთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ შესაძლოა პროცესის მონაწილეს სურდეს უცხოური სამართლის ესა თუ ის მუხლი განმარტოს და რომელიმე საქმეზე მისი მტკიცებულებად დართვა მიინდომოს. ეს, რა თქმა უნდა, საქმის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ

---

<sup>9</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 76.

<sup>10</sup> Civil Evidence Act, 1995, Art. 5(1).

<sup>11</sup> Civil Procedure Rules, 1998, Art. 31.15.

<sup>12</sup> იქვე, Art. 33.7.

ამგვარი მტკიცებულების სახე ახალი სულაც არაა ბრიტანული სამართლისთვის და მას მცირედი სახეცვლილებებით ითვალისწინებდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში მოქმედი კანონმდებლობა და მისთვის შესაბამის პროცედურებსაც განსაზღვრავდა.<sup>13</sup> აღნიშნული მტკიცების კატეგორია ჩვეულებრივ მტკიცებულებად მიიჩნევა, რომელიც, როგორც წესი, ექსპერტის მიერაა წარმოდგენილი და ინტერპრეტირებული. 1972 წლის „მტკიცებულებათა შესახებ აქტი“ მოითხოვს, რომ უცხოური სამართალი შეიძლება მტკიცებულებად იქნა ინტერპრეტირებული მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელსაც მოცემულ სფეროში შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება აქვს, თუმცა აუცილებელი არაა, რომ მას ჰქონდეს იურიდიული ინტერპრეტატორის კვალიფიკაცია/ლიცენზია. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული აქტი უცხოურ სამართალად ინგლისისა და უელსის გარდა ყველა სხვა სახელმწიფოს სამართალს მიიჩნევს.<sup>14</sup> თუ ინგლისის სამართალი რაიმე კითხვაზე კონკრეტულ პასუხს არ შეიცავს, არ აწესრიგებს რომელიმე საკითხს, შესაძლოა, ეს საკითხი გადაწყდეს უცხოური სამართლის გამოყენებით. ასევე, დასაშვებია, რომ ამ მტკიცებულების წყაროდ გამოყენებულ იქნას უცხოური სასამართლოს გადაწყვეტილება. მხარემ, რომელიც პროცესზე ამგვარი მტკიცებულების წარმოდგენას აპირებს, აუცილებელია, წინასწარ განაცხადოს სასამართლოში, რათა მეორე მხარემ აღნიშნულის თაობაზე გაიგოს. მოპოვებული ინტერპრეტაციის, კვლევისა თუ გადაწყვეტილების შესახებ მოქმედებს პრეზუმფცია, რომ იგი სწორია, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება. თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ ეს პრეზუმფცია არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარეც ანალოგიურ საკითხზე წარმოდგენს მსგავს, მაგრამ საწინააღმდეგო შინაარსის მქონე მტკიცებულებას. აუცილებელია, რომ ეს მტკიცებულება დამოწმებული იყოს ინგლისისა და უელსში აღიარებული სათანადო წესით.<sup>15</sup> ამ მტკიცებულების დასაშვებობასა და განკუთვნილობის საკითხს, ისევე, როგორც კონტრ-მტკიცებულებისას (თუ ასეთი წარმოდგენილა საქმეზე), მხოლოდ მოსამართლე წყვეტს.<sup>16</sup>

---

<sup>13</sup> Law Ascertainment Act 1859; Evidence Act 1907.

<sup>14</sup> Civil Evidence Act 1972, Art. 4(2).

<sup>15</sup> *Jasiewicz v. Jasiewicz* [1962] 1 WLR 1426.

<sup>16</sup> *Sime S., Kay M., French D., Blackstone's Civil Practice 2013: The Commentary*, 805.

ბოლო მტკიცებულების სახე, რომელსაც დიდი ბრიტანეთის მტკიცებულებათა სახეების ფარგლებში მიმოვიხილავთ, ესაა პირთა რეპუტაცია, ოჯახის ტრადიციები და ა.შ., როგორც მტკიცებულება. ამ მტკიცებულებათა ამომწურავი ჩამონათვალი დადგენილი არ არის და კანონით არცაა მოწესრიგებული. ისინი ჩვეულებათა პირშობ მიიჩნევა და საერთო სამართლის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი მტკიცებულებაა, საქართველოსა და კონტინენტური ევროპის სამართლის სხვა ქვეყნებისათვის კი უცხოა. მას, ზოგადად, *Character Evidence*-ს უწოდებენ, რასაც ქართულად შეიძლება შეგვეცნოს *პიროვნულობა (ხასიათი), როგორც მტკიცებულება*. მოსამართლეები ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორს პირის პიროვნულობის განსასაზღვრად და ადგენენ იგი ე.წ. *Good Character*-ია, თუ – *Bad Character*. მათ, შესაძლოა, როგორც მოწმის ჩვენების, ისე წერილობითი დოკუმენტის სახე ჰქონდეთ, თუმცა აუცილებლად უნდა მეტყველებდნენ პირის ხასიათზე. პიროვნულობა და ხასიათი მხოლოდ მაშინ მიიღება მტკიცებულებად, თუ საქმის ფაქტობრივი გარემოებები ცხადყოფენ, რომ იგი რელევანტურია.<sup>17</sup> მიუხედავად იმისა, რომ ამ მტკიცებულების დასაშვებად მთავარი ტესტი განკუთვნილობაა, არსებობს საქმეთა კატეგორიები, რომლებშიც იგი, როგორც წესი, დასაშვებია, მაგ., დელიქტით მიყენებული დავის განხილვისას მოსამართლე მას იყენებს დაუდევრობის ხარისხის განსასაზღვრად, ასევე, თვითდახმარების დროს სხვისი ნივთის დაზიანებისას და სხვ. თუმცა ბრიტანელი მოსამართლეები ერიდებიან პიროვნულობის ტესტის მტკიცებულებად გამოყენებას, რათა მხარეები არათანაბარ მდგომარეობაში არ ჩააყენონ.<sup>18</sup> მიუხედავად ამისა, სასამართლო საქმეებზე ყოფილა შემთხვევები, როდესაც სხვა კატეგორიის დავაზეც გამოყენებულა პიროვნულობა, როგორც მტკიცებულება. სამოქალაქო საქმეზე *ჰერსტი ევანსის წინააღმდეგ*,<sup>19</sup> მოპასუხეს წარმოადგენდა სადაზღვევო კომპანია და მოსარჩელეს სურდა სადაზღვევო პოლისიდან გამომდინარე თანხა მიეღო. სადაზღვევო კომპანია ამტკიცებდა, რომ ზიანი მოსარჩელის მსახურის უპატიოსნების შედეგად დადა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ მსახურის პატიოსნება იყო საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან

---

<sup>17</sup> <<http://www.lawteacher.net/free-law-essays/judicial-law/character-evidence-and-the-role-it-plays-in-court-law-essay.php#ftn14>> [10.08.2015]

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> *Hurst v. Evans*, Court of Appeals.

შემხებლობაში, კავშირში და ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები დაშვებული იქნა, რათა სასამართლოს ეჩვენებინა, რომ მსახური საეჭვო ხასიათის, საეჭვო პიროვნების მქონე პირი იყო. აღნიშნული, ასევე, იმის კარგი მაგალითია, რომ არა მხოლოდ მოსარჩელის ან მოპასუხის, არამედ მესამე პირის ხასიათიც კი შესაძლოა ფაქტობრივ გარემოებად და მტკიცებულებად იქნას მიღებული ამა თუ იმ საქმეზე.

საყურადღებოა, რომ აშშ-ის თითქმის ყველა შტატის სამოქალაქო სამართლის პროცესში *Character Evidence* დაუშვებელი მტკიცებულებაა,<sup>20</sup> რადგან მიიჩნევა, რომ უსამართლოა, ადამიანის ხასიათი დავადგინოთ და მივიღოთ მტკიცებულებად, რომელიც ეფუძნება იმის წარმოდგენას, თუ კონკრეტულ სიტუაციაში კონკრეტული პიროვნება რატომ მოიქცა ასე.<sup>21</sup> თუმცა ზოგიერთ შტატში გარკვეული კატეგორიის დავებზე, სადაც პიროვნულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, *Character Evidence* დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევა, მაგ., დაუღვრობა, დაუღვრობა მინდობილი საკუთრებისა და დავალების დროს, მურვეობისა და მზრუნველობის განსაზღვრისას, შვილებისას და სხვ.

### **III. მტკიცების ტვირთის განაწილება და თავისებურებები დიდი ბრიტანეთის სამოქალაქო საპროცესო სამართალში**

დიდი ბრიტანეთის სამ იურიდიკაციაში (ჩრდ. ირლანდია, ინგლისი, უელსი) სამოქალაქო წესით საქმეების განხილვისას ძირითადად ორი მტკიცების ტვირთი, სტანდარტი არსებობს. პირველი მათგანი კავშირშია მატერიალური სამართლის ნორმებთან, ხოლო მეორე – ამ ტვირთის მატარებელ სუბიექტებთან. ინგლისური კანონმდებლობის მიხედვით, პირველ ეტაპზე მოსარჩელემ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებები იმისათვის, რომ მოსამართლემ ისინი საქმის წარმოების დასაწყებად საკმარისად ჩათვალოს. ბრიტანული სამართლით, მტკიცებულებათა შეგროვება და გამოქვეყნება დასაშვებია ჯერ კიდევ საქმის წარმოების დაწყებამდე. მოცემული პირველი ეტაპის წარმატებით გადალახვის შემთხვევაში, მოსარჩელე უკვე ვალდებულია დაადასტუროს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარე-

<sup>20</sup> Federal Rule of Evidence, 404.

<sup>21</sup> Pino v. Koelber, 389 So. 2d 1191, 1193 (Fla. Dist. Ct. App. 1980), იხ. ციტირება: 1 S. Gard, Jones on Evidence §4:34 (6th ed. 1972).

მოებები, ანუ ეკისრება დამტკიცების ტვირთი.<sup>22</sup> ინგლისური პროცედურული ნორმები, თითქმის ყველა სახის მტკიცებულების შემთხვევაში, მკაცრად მოითხოვს, რომ მხარემ მათ წარმოდგენამდე აუცილებლად უნდა აცნობოს ამის თაობაზე მოწინააღმდეგე მხარესა და სასამართლოს. ეს, ძირითადად, საქმის მოსამზადებელ სტადიაზე ხდება. მხარეები ცვლიან მტკიცებულებებს, რაც ხელს უწყობს მათ ინფორმირებულობას, ამაღლებს პროცესის მიმდინარეობის ხარისხს და სასამართლოს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება.

სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედ მტკიცების სტანდარტს „აღბათობათა ბალანსს“ უწოდებენ, რომელსაც ბრიტანელი მოსამართლეები გადაწყვეტილებებში ხშირად „უფრო დიახ, ვიდრე არა“-ს (*“more likely than not”*) პრინციპით იყენებენ.<sup>23</sup> მხარის მტკიცება მიმართული უნდა იყოს იმაზე, რომ მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოების ჭეშმარიტება უფრო სავარაუდოა, ვიდრე უმართლობა. აღნიშნული სტანდარტი დღეს ერთგვაროვნადაა მიჩნეული დიდი ბრიტანეთის სასამართლო პრაქტიკაში, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ ყოფილა. 2008 წლის ლორდთა პალატის გადაწყვეტილებამდე,<sup>24</sup> სასამართლოებში შეინიშნებოდა არაერთგვაროვანი პრაქტიკა, მათ შორის სააპელაციო სასამართლოც განიხილავდა იმ აზრს, რომ არსებობდა რაღაც შუალედური, საშუალო პრინციპი – „შეწონადობის სტანდარტი“. თუმცა ლორდთა პალატამ ამგვარი მოსაზრებები უარყო და სამოქალაქო საქმეებზე დაადგინა მხოლოდ ერთი, უკვე ხსენებული სტანდარტი.<sup>25</sup>

მტკიცების პროცესში თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზეც თავის მოთხოვნას აფუძნებს. თუმცა ის, ვინც რაიმეს მოითხოვს, ყოველთვის არაა ვალდებული, ამტკიცოს ეს. პროცესუალურად, მოსარჩელეს ეკისრება მხოლოდ იმ ფაქტების მტკიცების ტვირთი, რომლებზეც მოპასუხე არ დაეთანხმა. თავის მხრივ, მოპასუხემ აუცილებლად უნდა მიუთითოს იმ გარემოებებზე, თუ რატომ არ ეთანხმება ამა თუ იმ

---

<sup>22</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში – დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(27), 2010, 24.

<sup>23</sup> The balance of probabilities.

<sup>24</sup> Re B (A Child), ლორდთა პალატის 2008 წლის გადაწყვეტილება, 35.

<sup>25</sup> იქვე.

ფაქტებს. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ მარტივად, შემდეგი სიტყვების გამოყენებით ნათლად გამოინახოს მტკიცების ტვირთი ინგლისის საპროცესო სამართალში: ამტკიცებს ის, ვისაც არ სურს დავის წაგება.<sup>26</sup> მხარეს აკისრია მტკიცების ტვირთი იმდენად, რამდენადაც სასამართლოს არანაირი ეჭვი არ უნდა წარმოეშვას, თუ ვის სასარგებლოდ გამოიტანოს გადაწყვეტილება.

მტკიცების ტვირთის მოდავე მხარეებზე განაწილება წარმოდგება, როგორც სასამართლოს აქტიური როლის შეზღუდვის წინაპირობა. იგულისხმება „ფორმალური ჭეშმარიტების პრინციპი“, რომლის დანაწესით სასამართლო სამოქალაქო საქმეებზე ხელმძღვანელობს. სასამართლო ვალდებულია, ხელი შეუწყოს მხარეებს თანამშრომლობაში, სწორად და სამართლიანად წარმართოს პროცესი. ამისათვის მას აქვს სხვადასხვა უფლებამოსილება, რომლებიც მეტწილად ქართული სასამართლოს უფლებამოსილებებს ემთხვევა. თუმცა ამ უკანასკნელის პრინციპებისგან განსხვავებით, ბრიტანული სასამართლო უფლებამოსილია, გააკონტროლოს მტკიცებულებათა შეგროვების პროცესი და მხარეებს მტკიცებულებათა წარმოდგენის ხერხებზე მითითება მოსთხოვოს. ეს უფლებამოსილება უფრო მკაფიოდაა გამოხატული ბრიტანულ კანონმდებლობაში, ვიდრე საქართველოში.<sup>27</sup>

#### **IV. მტკიცების პროცესი ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო საპროცესო სამართალში**

ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდი ბრიტანეთის მსგავსად, სამოსამართლო სამართალია გაბატონებული და იურიდიულ მეცნიერებაში ნაკლებად მოიძებნება მტკიცების პროცესზე, მტკიცების ტვირთსა, თუ მტკიცებულებათა განკუთვნილობასა და დასაშვებობაზე რაიმე ფუნდამენტური მეცნიერული კვლევა. წლების მანძილზე ჩამოყალიბებული კაზუისტური სასამართლის საფუძველზე აშშ-მა 1975 წელს მოახდინა მტკიცების პროცესზე ერთიანი საკანონმდებლო დოკუმენტის შექმნა და მას „მტკიცებულებების

---

<sup>26</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში – დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(27), 2010, 24.

<sup>27</sup> Civil Procedure Rules, 1998, Art. 32.

შესახებ ფედერალური წესები“ უწოდა.<sup>28</sup> აღნიშნული წესები მთელი აშშ-ის მასშტაბით მოქმედებს და მის საფუძველზე სხვადასხვა შტატმა საკუთარი კანონმდებლობა ფედერალურ წესებთან შესაბამისობაში მოიყვანა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საერთო სამართლის ქვეყნებშია მიღებული, აღნიშნული კანონი მაინც სახელმძღვანელო ხასიათისაა და მოსამართლეებს ლავირების ხარისხი კვლავაც მაღალი აქვთ.

მტკიცების პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია მტკიცებულებები და მათი კლასიფიკაცია. აშშ-ის მტკიცებულებათა მიმოხილვამდე, მიზანშეწონილია ჯერ მტკიცებულებათა ნიშნებზე ვისაუბროთ. მტკიცებულებები აშშ-ის საპროცესო სამართლის მიხედვით უნდა იყოს დასაშვები, განკუთვნილი და სანდო. პირველი მათგანი ცნობილია როგორც ქართული, ისე ბრიტანული სამართლისთვის. ცალკე ნიშანი, რომელიც აშშ-ის მტკიცების პროცესშია გამოყოფილი და მათ განყენებულ კატეგორიად არ იცნობს ქართული სამართალი, ეს არის მტკიცებულებათა სანდობა. ასევე, მოდიფიცირებული და საინტერესოა განკუთვნილობა ამერიკული სამართლის მიხედვით.

განკუთვნილობა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი ნიშანია იმისათვის, რომ მტკიცებულებამ კანონმდებლობის მიერ დაწესებული ტესტი გაიაროს. განკუთვნილი მტკიცებულების საფუძველზე უნდა დადგინდეს გარემოება, რომელსაც კონკრეტული საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. შესაძლებელია, მოსამართლემ მტკიცებულება ამა თუ იმ საქმეზე განკუთვნილად არ ჩათვალოს, ვინაიდან იგი არასამართლიანად წინასწარგანჭვრეტადია, დამაბნეველია, ემსახურება სამართალწარმოების გაუმართლებელ დაყოვნებას, სასამართლოში მიკერძოებული მტკიცებულებების წარმოდგენას და სხვ.<sup>29</sup> განსაკუთრებით ეს ეხება იმ საქმეებს, რომლებიც განიხილება ნაფიც მსჯეულთა მონაწილეობით. ამ დროს მოსამართლემ შეიძლება მიმართოს ლოგიკურ სილოგიზმს, რომლითაც მტკიცებულების განკუთვნილობა მარტივად მოწმდება (თუ/მაშინ). სხვადასხვა სახის მტკიცებულებაზე განკუთვნილობის ხარისხი სხვადასხვანაირია. მაგ., ერთ-ერთ ყველაზე მაღალ სტანდარტს უწესებენ ექსპერტიზის დასკვნას. თუმცა ამერიკულ იური-

---

<sup>28</sup> Federal Rules of Evidence, 1975.

<sup>29</sup> Federal Rule 403.



დიულ ლიტერატურაში ნახსენებია, რომ მოსამართლის დისკრეცია მტკიცებულების განკუთვნილობასთან დაკავშირებით ძალზე მაღალია.<sup>30</sup>

გარდა განკუთვნილობისა, ცალკე აღნიშვნის ღირსია სანდობა, როგორც მტკიცებულებისთვის დადგენილი აუცილებელი ბარიერი, ტესტი.<sup>31</sup> იმისათვის, რომ მტკიცებულების სანდობა დადგინდეს, საჭიროა, მისმა წარმომდგენმა მხარემ მიუთითოს წყარო, თუ საიდან მოიპოვა იგი. მაგ., თუ მხარე მტკიცებულებად წარმოადგენს მოწმის ჩვენებას, სასამართლოს უნდა განუმარტოს, თუ რატომ აქვს მოწმეს სადავო საკითხის თაობაზე სპეციალური ცოდნა, ანუ რამდენად კომპეტენტურია იგი. წერილობით მტკიცებულებაზე მან უნდა შეძლოს ავთენტურობის ტესტის დაძლევა და მოეთხოვება, მტკიცებულების ისტორია სასამართლოში წარმოადგინოს, ანუ ვინ, როდის და რატომ ფლობდა მტკიცებულებას. სანდობის ტესტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „სხვისი სიტყვებით ჩვენებისას“.

რაც შეეხება აშშ-ის სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებულ მტკიცებულებებს, ისინი ძირითადად დიდი ბრიტანეთის მტკიცების პროცესში აღიარებულ მტკიცებულებებს ემთხვევა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „სხვისი სიტყვებით ჩვენებას“, ამიტომ მისი განხილვა აშშ-ის სამართლის კრილში მიზანშეწონილია.

აშშ-ის მტკიცებითი სამართალი არ აღიარებს მხოლოდ სასამართლოში გაკეთებულ განცხადებებს. განცხადებების გაკეთება შესაძლებელია ასევე სასამართლოს გარეთაც, რომელიც აღიარების ან სხვა ფორმაში შეიძლება იქნას გაკეთებული.<sup>32</sup> სხვისი სიტყვებით ჩვენებაში არ მოიაზრება მხოლოდ ზეპირი ჩვენების სახით გაკეთებული განცხადებები, არამედ წერილობითი განცხადებები, ანდერძი, დღიური, სხვადასხვა ხასიათის პირადი ჩანაწერები, ანუ ის წყაროები, რომლებიც სასამართლო დარბაზში არაა გაკეთებული.<sup>33</sup> გარდა ამისა, აღსანიშნავია ე.წ. „ორმაგი სხვისი სიტყვებით ჩვენებაც“, რაც იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს გარეთ გაკეთებული განცხადების შინაარსი სხვა სასამართლოს გარეთ გაკეთებულ განცხადებას ეფუძნება.

---

<sup>30</sup> Kane M., *Civil Procedure in a Nutshell*, 7th edition, Thomson Reuters, 2013.

<sup>31</sup> Reliability of the Evidence.

<sup>32</sup> Out-of-court statement.

<sup>33</sup> Federal Rules of Evidence, 1975, Rule 801, 802, 803.

სხვისი სიტყვებით ჩვენებიდან არსებობს რამდენიმე გამონაკლისი, რომელთა თანახმად სხვისი სიტყვებით ჩვენებაში არ მოიაზრება:

1. განცხადება, რომელიც წარმოდგენილია იმ მხარის საწინააღმდეგოდ, ვინც განცხადება გააკეთა;

2. ამა თუ იმ მოვლენის აღწერისა და ინტერპრეტაციის შესახებ განცხადება, რომელიც აუცილებლად უნდა გაკეთდეს სპონტანურად აღნიშნული მოვლენის დამთავრებიდან. ასევე, შესაძლებელია აღნიშნული განცხადება უშუალოდ ძლიერი სულიერი აღელვების ან შოკის მომენტში კეთდებოდეს. ამ გამონაკლისის ამოსავალი იდეა ისაა, რომ გაკეთებული განცხადება სპონტანური ხასიათისაა და ამგვარად მიღებული ძლიერი სულიერი აღელვება ალბათობის დიდი ხარისხით მის ფალსიფიკაციას გამორიცხავს;<sup>34</sup>

3. მოწმის მიერ ჩანაწერების გამოყენება. აქ მოიაზრება ის სიტუაცია, როცა პირს, რომელიც სხვისი სიტყვებით ჩვენებას აკეთებს, ადრე ჰქონდა შესაბამისი ცოდნა, თუმცა ჩვენების მიცემის ეტაპზე მას ეს ცოდნა დაკარგული აქვს და იყენებს ჩანაწერს. აღნიშნული წერილობით ან ნივთიერ მტკიცებულებად მიიჩნევა;<sup>35</sup>

4. სტატისტიკური ჩანაწერები საჯარო ორგანოების მიერ, რომლებიც ეხება შობადობას, გარდაცვალებას, ქორწინების რეგისტრაციას და სხვ.<sup>36</sup>

5. განცხადებები, რომლებიც გადმოცემულია მინიმუმ 20 წლის დაძველების დოკუმენტებში, რომელთა ავთენტურობა დადასტურებულია და ისინი მოპოვებულია იმგვარი ადგილიდან, სადაც ჩვეულებრივ ასეთი დოკუმენტი ინახება.<sup>37</sup>

ასევე, არსებობს ისეთი დოკუმენტები, რომლებიც თავისთავად ავთენტურია და მათ შემდგომი გამოკვლევა არ ესაჭიროებათ, მაგ., ნოტარიუსის მიერ დამოწმებული შინაურული დოკუმენტები, უცხოური საჯარო დოკუმენტები, გაზეთები და პერიოდული გამოცემები, კომერციული დოკუმენტები და სხვ.

---

<sup>34</sup> იქვე, 803.

<sup>35</sup> იქვე, 803 (5).

<sup>36</sup> იქვე, 804.

<sup>37</sup> იქვე, 804 (16).

გარდა აღნიშნულისა, საინტერესოა, ასევე, მომაკვდავის განცხადება, როგორც მტკიცებულება.<sup>38</sup> აშშ-ის მტკიცებითი სამართლის მიხედვით, ამგვარი განცხადება დასაშვებია როგორც „სხვისი სიტყვებით ჩვენება“, თუ გარდაიცვალა დეკლარანტი, მისი განცხადება შეეხება სამოქალაქო საქმეს, მან განცხადება გააკეთა იმ დროს, როდესაც მისი სიკვდილი გარდაუვალი იყო. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად უნდა გარდაიცვალოს, რათა მტკიცებულება სასამართლოსთვის დასაშვები გახდეს.<sup>39</sup>

## V. მტკიცების ტვირთის განაწილება და თავისებურებები ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო საპროცესო სამართალში

ამერიკის შეერთებული შტატები შეჯიბრებითობის პრინციპის სამშობლოდ ითვლება. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ მხარეებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ მტკიცებულებათა შეგროვების პროცესში. დიდი ბრიტანეთის მსგავსად, აშშ-ის სამართალშიც მტკიცების ორი სტანდარტია მოცემული: მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთი და დარწმუნების ტვირთი.

მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთის<sup>40</sup> თანახმად, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს თავისი სასარჩელო მოთხოვნა და მოახდინოს ამ სარჩელის ფაქტობრივი გარემოებების დემონსტრირება. თუ კონკრეტულ საქმეში მხარე არ დავობს ფაქტების არსებობის თაობაზე, მაშინ მტკიცებულებათა წარმოდგენა აუცილებელი არ არის. დავა შეიძლება გადაწყდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილი განმარტებითა და ადვოკატის მოხსენებით. მოსამართლე განსაზღვრავს რომელი მხარე წააგებს დავას იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ფაქტის ნამდვილობის აღიარებისთვის საკმარისი და ხარისხიანი მტკიცებულება არ იქნება წარმოდგენილი.<sup>41</sup>

რაც შეეხება დარწმუნების ტვირთს, იგი ძირითადად მსაჯულებზეა გათვლილი. მას ხშირად დაურწმუნებლობის რისკსაც უწოდებენ. მხარე,

---

<sup>38</sup> Dying declaration.

<sup>39</sup> Federal Rule of Evidence, 804 a(1-5).

<sup>40</sup> Burden of going forward.

<sup>41</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში – დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(27), 2010, 28.

რომელიც დარწმუნების ტვირთს ატარებს, პროცესს წააგებს, თუკი საქმის ფაქტობრივ გარემოებებში მოსამართლისა და მსაჯულების დარწმუნებას ვერ შეძლებს.<sup>42</sup> აშშ-ში მტკიცების ტვირთი გულისხმობს მხარის ვალდებულებას, ყოველი ფაქტი ამტკიცოს მტკიცებულებათა შეფასებით, ძლიერი და დამაჯერებელი მტკიცებულებით, ან გონივრული ეჭვის არსებობით, რაც კანონითაა გათვალისწინებული. მტკიცების ტვირთი და დარწმუნების ტვირთი კი სინონიმურ ცნებებადაა მიჩნეული.<sup>43</sup>

ზოგადი წესის თანახმად, მხარეებს ეკისრებათ იმის მტკიცება, რასაც ისინი უთითებენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს სპეციფიკური მატერიალური ურთიერთობა, რომელიც მტკიცების ტვირთის განსხვავებულად განაწილებას მოითხოვს. აღნიშნული წესი ქართულ საპროცესო სამართალშიც მოქმედებს. აშშ-ის ფედერალური წესები მტკიცების ტვირთის განაწილებაში მხოლოდ ზოგადი პრინციპით შემოიფარგლება და ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტისას მოსამართლეები მას შესაბამისად ანაწილებენ.<sup>44</sup>

განსაკუთრებით საინტერესოა აშშ-ში მოქმედი დარწმუნების ტვირთი, რომელიც რეიტინგის მიხედვით განისაზღვრება. ძირითადად ეს იმ საქმეებს ეხება, რომლებზეც ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ დავას, მაგ., დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ამ დროს დავის გადაწყვეტისას იყენებენ შკალას 0-დან 100%-ის რაციოთი და განსაზღვრავენ რამდენად მართალი იყო მოსარჩელე, ან მოპასუხე. 0 ნიშნავს, რომ მოსარჩელის არგუმენტაცია სრულიად მცდარია, ხოლო 100% ნიშნავს, რომ მოსარჩელის ისტორია სრულად შეესაბამება სიმართლეს. დელიქტების შემთხვევაში ეს შკალა მეტად სპეციფიკურია, ამ დროს ზიანის ანაზღაურების საკითხი წყდება იმის მიხედვით, თუ რომელი მხარის ქმედებით უფრო გამოწვეული ზიანი. მაგ., შესაძლოა ეს იყოს 51%-49% მოსარჩელის სასარგებლოდ ან პირიქით. სხვა სიტყვებით, რამდენად მაღალია დამდგარ ზიანში დაზარალებულის ბრალის ხარისხი. ყველა შემთხვევაში, აუცილებელია, რომ მინიმუმ 50%-იანი ალბათობა მაინც არსებობდეს იმისათვის, რომ ესა

---

<sup>42</sup> იქვე.

<sup>43</sup> Dwyer S.I., Presumptions and Burden of Proof, Loyola Law Review, Vol.21, 1975, 389.

<sup>44</sup> იხ., Baicker-McKee S., Janssen M. W., Corr B.J., Student's Guide to the Federal Rules of Civil Procedure, 8<sup>th</sup> edition, 2005.

თუ ის ფაქტი მხარის მიერ დადასტურდეს. ამ პროცენტულ შკალას ალბათობას უწოდებენ და იგი *preponderance of evidence*-ის, ანუ მტკიცებულებათა შეპირისპირების, არსებითი ნაწილია.<sup>45</sup>

აღსანიშნავია, თუ რამდენადაა აშშ-ის სასამართლოების მიერ დადგენილი სტანდარტი ქართულ სტანდარტთან თანხვედრაში. ერთ-ერთ საქმეზე მტკიცებულებათა შეფასებისას საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო სადავო გარემოებათა არსებობა-არარსებობის დადგენისას ინდივიდუალურად და ერთობლიობაში აფასებს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, რის შედეგადაც აყალიბებს თავის შინაგან რწმენას გამოსაკვლევ საკითხის მიმართ.<sup>46</sup> ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასამართლოს ავალდებულებს წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. ამ სტანდარტთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ისინი ფაქტობრივად ძალიან ჰგვანან აშშ-ში მოცემულ სტანდარტებს, იმ განსხვავებით, რომ აშშ-ის მტკიცების პროცესი მტკიცებულებათა შესაფასებლად უფრო მკაფიო და ადვილად აღქმად სტანდარტებს იყენებს.

და ბოლოს, მტკიცების ტვირთზე საუბრისას ცალკე უნდა გამოიყოს სამართლებრივი პრეზუმფციები. პრეზუმფცია ვრცელდება იმ მხარეზე, რომელსაც დამტკიცების ტვირთი აქვს. პრეზუმფციის მიზანია, მხარეებს შეუმსუბუქოს საქმესთან დაკავშირებული, თუმცა შედეგზე გავლენის მომხდენი, მტკიცებულებების წარმოდგენის ამოცანა. ფაქტობრივად, პრეზუმფცია მიუთითებს იმაზე, თუ ვინ წააგებს პროცესს, თუ არ წარმოადგენს მტკიცებულებას და ამით ანაწილებს კიდევ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთს.<sup>47</sup> პრეზუმფცია ვრცელდება იმ მხარეზე, რომელსაც მტკიცების ტვირთი აწევს, საწინააღმდეგოს დაკისრება კი მეორე მხარის ვალდებულებაა. პრეზუმფცია არ ახდენს მტკიცების ტვირთის რამენაირად გადაადგილებას დაურწმუნებლობის რისკის კუთხით, რომელიც პროცესის მანძილზე კვლავ იმ მხარეზე რჩება, რომელსაც იგი თავდაპირველად დაე-

---

<sup>45</sup> Schweizer M., *The Civil Standard of Proof – What Is It, actually?* Preprints of the Max Planck Institute for Research on Collective Goods, Bonn, 2013/12, 13-14.

<sup>46</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 22 იანვრის №ას-589-896-09 განჩინება.

<sup>47</sup> Federal Rule of Evidence Article III, *Presumptions in Civil Actions and Proceedings*, Rule 31.

კისრა. აღსანიშნავია, რომ მაშინაც კი, თუ მხარე, მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთის ფარგლებში, პრეზუმფციული ფაქტის საწინააღმდეგოდ სათანადო მტკიცებულებას წარმოადგენს, პრეზუმფცია მაინც არ ქარწყლდება, როგორც ეს ხდება ე.წ. “bursting bubble theory”-ის მიხედვით, იგი მაინც რჩება ამ მხარის საწინააღმდეგოდ.<sup>48</sup>

მტკიცებულებათა პრეზუმფციის კონსტრუქციას ავრცელებენ არა მხოლოდ ფაქტების სფეროზე, არამედ, ასევე, სამართლის სფეროზეც. მაგ., არსებობს პრეზუმფცია, რომ ზოგადი სამართალი ყველგან ერთნაირია, საკანონმდებლო აქტები შეესაბამება კონსტიტუციას და ა.შ. ეს კი გულისხმობს, რომ კონკრეტული სამოქალაქო საქმის განხილვისას სასამართლოს ამოსავალი წერტილი სწორედ ეს პრეზუმფციული მდგომარეობა იქნება, თუ დაინტერესებული მხარე მისი გამოყენების საწინააღმდეგო უერიდიული არგუმენტაციას არ წარმოადგენს.<sup>49</sup>

## VI. დასკვნა

სამოქალაქო სამართლის პროცესში მტკიცების ტვირთის როლი მართლაც განუზომელია. თუ სასამართლო მტკიცების ტვირთს სწორად განაწილებს ეს უმეტესწილად სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილების მიღებას განაპირობებს. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა მტკიცების პროცესსა და მის ელემენტებს განსხვავებულად უდგება, თუმცა ძირითადი ასპექტები მაინც ერთნაირია. ეს ცხადად გამოჩნდა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სისტემათა ურთიერთშედარების შედეგად. სახელმწიფოს კულტურული, სოციალური თუ პოლიტიკური ფაქტორები ზოგადად სამართლისა და მტკიცების პროცესის განსხვავებულ მიდგომას განსაზღვრავს. აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის მტკიცების პროცესებს შორის განსხვავებები მაინც საყურადღებოა. ნაშრომში გამოიკვეთა განსაკუთრებით საინტერესო და განსხვავებული მიდგომები, რომლებიც ამ ორი ერთი და იმავე სისტე-

---

<sup>48</sup> Notes of Advisory Committee on Proposed Rules on Rule 301, Presumptions in Civil Cases Generally.

<sup>49</sup> გავუა ი., მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში - დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(27), 2010, 29.

მის, მაგრამ მაინც სხვადასხვა მტკიცების სამართლის მქონე სახელმწიფოში შეინიშნება.

საქართველოს მტკიცებითი სამართალი დიდ ბრიტანეთსა და აშშ-სთან შედარებით ნაკლებადაა განვითარებული. განსაკუთრებით ეს ეხება მტკიცების ერთიანი და უნივერსალური სტანდარტის არარსებობას, რადგან საკანონმდებლო დონეზე იგი საკმარისად დეტალურად მოწესრიგებული არაა, ხოლო სასამართლო პრაქტიკით კი მაინც ზოგადი, ნაკლებად გამოსადეგი და ბუნდოვანი სტანდარტია დადგენილი. ამიტომ სასურველია, თუ შემდგომში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცების სტანდარტი დადგინდება და უმჯობესია, ეს სამოსამართლო სამართლით განხორციელდეს. ასეთი სტანდარტი იქნება ამოსავალი წერტილი როგორც მხარეებისთვის, ისე მოსამართლისთვის და მისი გამოყენებით სასამართლო ბევრად ნათლად და იოლად გადაწყვეტს დავას.

## მტკიცების ტვირთის ძირითადი მახასიათებლები და მისი როლი სადაზღვევოსამართლებრივ დავაში

### I. შესავალი

სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობები და მისი განვითარების ხარისხი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების პირდაპირპროპორციულია. რაც უფრო დახვეწილი და გამართულია მსგავსი ურთიერთობები, არსებობს შესაბამისი პრაქტიკა, საკანონმდებლო მოწესრიგება და იურიტებიც გათვითცნობიერებულები არიან, სამოქალაქო ბრუნვა მით უფრო სტაბილურია. მათ შორის კი სადაზღვევოსამართლებრივ ურთიერთობებს განსაკუთრებულად გამორჩეული ადგილი უკავია.

სადაზღვევოსამართლებრივ ურთიერთობებს დიდი ხნის ისტორია აქვს, იგი შუშერებიდან მე-19 საუკუნის გერმანულ კონცერნებამდე, 21-ე საუკუნის გიგანტ კორპორაციებამდე ვითარდებოდა და სრულიად ახალ სამართლებრივ რეჟიმში ექცეოდა.<sup>1</sup> თანამედროვე სამყაროში დაზღვევა საწარმოების, ორგანიზაციების, ფერმერების, მოიჯარეებისა და მოქალაქეების საკუთრების ყველა ფორმის, შემოსავლებისა და სხვა ინტერესების დაზღვეული დაცვის საყოველთაო უნივერსალურ საშუალებად გადაიქცა.<sup>2</sup> შესაბამისად, დაზღვევის როგორც სამართლებრივი, ისე ეკონომიკური როლი ძალზე დიდია.

ისეთი სახელმწიფოსათვის, როგორც საქართველოა, რომელსაც დასავლური კურსი აქვს აღებული და ბიზნესშიც დასავლური ღირებულებების დანერგვას ცდილობს, დაზღვევა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, სხვა ბევრი სამოქალაქოსამართლებრივი ინსტიტუტის მსგავსად, ისიც მეტად ახალგაზრდაა და ფაქტობრივად, ქართულ სამართლებრივსა თუ ეკონომიკურ სივრცეში ფეხს ახლა იკიდებს. მიუხედავად ამისა, საქართველოს საერთო სასამართლოებს სადაზღვევოსამართლებრივი საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის კუთხით საკმაო გამოცდილება დაუ-

<sup>1</sup> Степанова Т.В., Страхование Право Украины: Конспект лекций, 3-е изд., Одесса, 2007, 14-15.

<sup>2</sup> <<http://goo.gl/TSweXx>> [29.04.2015]



გროვდათ. გარკვეულწილად, შესაძლებელია საუბარი ერთგვაროვან პრაქტიკასთან დაკავშირებითაც. მართალია, ბევრი საკითხი ჯერჯერობით სასამართლოს თვალთახედვის არეალში ფიზიკურად არ მოქცეულა, თუმცა ამის პერსპექტივა ნამდვილად არსებობს.

სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი ყველაზე ყურადსაღები და მეტად დელიკატური ინსტიტუტი მტკიცებაა, განსაკუთრებით კი მტკიცების ტვირთი, რომლის განზოგადება, სტანდარტიზაცია შესაძლებელია, თუმცა თითოეული დავა, სამართლის მიმართულება მას თავის სპეციფიკას სძენს და მხარეთა პოზიციას განსაკუთრებულს ხდის. ძალზე მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთი დაზღვევიდან წამოჭრილ სამართლებრივ დავებში. დაზღვევის ხელშეკრულების თავისებურებანი და სამართლებრივი ბუნება მას სრულიად თავისებურ, განსხვავებულ ელფერს ანიჭებს. როგორც წესი, საკითხის მნიშვნელობა პრობლემათა არსებობასაც განაპირობებს.

ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს მტკიცების ტვირთის, როგორც სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური ინსტიტუტის, სამართლებრივი გაგება და მახასიათებლები, განსაკუთრებით სადაზღვევოსამართლებრივ დავებში; სადაზღვევო სამართლის საკითხებზე წამოჭრილი დავების თავისებურებების განსაზღვრა და ამ თავისებურებათა მტკიცებით პროცესზე, საქმის გადაწყვეტის საბოლოო შედეგის განსაზღვრაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობანი სადაზღვევოსამართლებრივი დავის თითოეულ კატეგორიაში. ნაშრომში გაანალიზდება ის სასამართლო პრაქტიკა, რომელიც საქართველოს საერთო სასამართლოებმა შექმნეს, განსაკუთრებით კი, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, მიდგომები და განმარტებები მსგავსი ტიპის საქმეებზე, რამაც სისტემის ერთგვაროვნება განაპირობეს. შეფასდება არსებული პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები, პრობლემები და დაისახება მათი გადაჭრის გზები.

ნაშრომში დასახული მიზნების მისაღწევად გამოყენებული იქნება კომპლექსური კვლევა, რომელიც გააერთიანებს დესკრიფციული, ანალიტიკური და შედარებითსამართლებრივი კვლევის მეთოდებს, რათა კვლევის შედეგი დაეფუძნოს მაქსიმალურად ობიექტურ, აბსტრაქციულ და ადეკვატურ სამეცნიერო მიდგომებსა და ანალიზს.

## II. მტკიცების ტვირთი სამოქალაქო პროცესში

### 1. მტკიცების ტვირთის სამართლებრივი გაგება

#### 1.1. მტკიცების ტვირთის არსი და დანიშნულება

მტკიცების ტვირთი საპროცესო ჩარჩოებშია მოქცეული და ის პროცესის საერთო, ფუნდამენტურ პრინციპებს ეფუძნება. მტკიცების ტვირთის ბუნებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს:<sup>3</sup> ერთნი მას პირის უფლებად განიხილავენ – დაასაბუთოს საკუთარი მოთხოვნა, მეორენი – საპროცესოსამართლებრივ ვალდებულებად, მესამენი კი, ერთდროულად, როგორც უფლებად, ისე ვალდებულებად მოიაზრებენ.<sup>4</sup> თუმცა მტკიცების „ვალდებულება“ სამართალში ვალდებულების კლასიკურ გაგებას არ გულისხმობს და იგი მხარის პროცესუალურ მოვალეობასთანაა გაიგივებული<sup>5</sup>.

იურიდიულ ლიტერატურაში მართებულადაა მითითებული იმის შესახებ, რომ მტკიცების ვალდებულებისა და მისი განაწილების წესის სამართლებრივი ბუნების ზუსტი ამოხსნა შეუძლებელია მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინების გარეშე.<sup>6</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლში ეს პოზიცია მკაფიოადაა გამოკვეთილი და აღნიშნული მუხლის თანახმად, მხარეები თავადვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს, ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები.<sup>7</sup> შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, იმ მტკიცებულებათა წარდგენა და მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებათა თაობაზე მითითება და მტკიცება, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებაა აუცილებელი,

---

<sup>3</sup> მტკიცების ტვირთის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით და დაწვრილებით იხ., Баулин О.В., Фильченко Д. Г., Доказательства и Доказывание в Гражданском Судопроизводстве, Воронеж, 2006, 57-60.

<sup>4</sup> Парашенко В.В., Бремя Представления Доказательств в Гражданском Судопроизводстве, Юридический Журнал, №2, 2007, 20.

<sup>5</sup> Баулин О.В., Фильченко Д. Г., Доказательства и Доказывание в Гражданском Судопроизводстве, Воронеж, 2006, 57.

<sup>6</sup> თოდრია თ., ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში, თბილისი, 2011, 273.

<sup>7</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, თბილისი, 2001, 155.

პროცესის მონაწილეებზეა გადანაწილებული და მინდობილი.<sup>8</sup> შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში სასამართლო მტკიცება არის სასამართლოს, საქმის მონაწილეთა და სხვა სუბიექტების საპროცესო სამართლით დეტალურად მოწესრიგებული საქმიანობა, რომლის მიზანიც საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენაა.<sup>9</sup>

სასამართლო დავის საპროცესო შედეგი მთლიანად პროცესის მონაწილე სუბიექტების მტკიცებით საქმიანობაზეა დამოკიდებული და სწორედ ამიტომ მტკიცების ტვირთი წარმოგვიდგება, როგორც მოდავე მხარეთა შორის რისკების განაწილება, რომელსაც, უპირველესად, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.<sup>10</sup> მტკიცების გადანაწილება იმიტომაა მნიშვნელოვანი, რომ, თუკი მხარეები არ წარადგენენ მტკიცებულებებს და არ დაამტკიცებენ საკუთარ პოზიციას, სასამართლო დამოუკიდებლად ვერ შეძლებს საქმის გარემოებათა დადგენას.<sup>11</sup> ზოგადად, მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აკისრია, რაც სრულიად ლოგიკურია, რადგან სწორედ მოსარჩელე იწყებს დავას, შესაბამისად, მანვე უნდა ამტკიცოს მისი მოთხოვნის საფუძვლიანობა.<sup>12</sup>

სასამართლო მტკიცება იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ უნდა განისაზღვროს, თუ რომელ გარემოებებს აქვთ არსებითი მნიშვნელობა, ამისთვის კი საჭიროა მატერიალური სამართლის ნორმის ჰიპოთეზა და დისპოზიცია, რომელზეც მოთხოვნები და შესაგებელი უნდა იქნეს დაფუძნებუ-

---

<sup>8</sup> Носенко М.С., Бремя Доказывания в Арбитражном Процессе и Обоснованность Судебных Актов Арбитражного Суда в Свете Новелл АПК, Вестник Федерального Арбитражного Суда Северо-Кавказского Округа, №3(9), 2012, 100.

<sup>9</sup> ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბილისი, 2006, 337.

<sup>10</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი, 2013, 23.

<sup>11</sup> Носенко М.С., Бремя Доказывания в Арбитражном Процессе и Обоснованность Судебных Актов Арбитражного Суда в Свете Новелл АПК, Вестник Федерального Арбитражного суда Северо-Кавказского Округа №3(9), 2012, 102.

<sup>12</sup> Парашенко В.В., Бремя Представления Доказательств в Гражданском Судопроизводстве, Юридический Журнал, №2, 2007, 21

ლი.<sup>13</sup> შესაბამისად, მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე.<sup>14</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცების ტვირთი მხარეთათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტია, რომელზეც უშუალოდაა დამოკიდებული დარღვეული თუ სადავო უფლების გადაწყვეტის ბედი, საპროცესო შედეგი.

## **1.2. მტკიცების ტვირთი სამართლებრივ გეოგრაფიაში**

### **1.2.1. კონტინენტური ევროპის სამართლის მიდგომა**

სამართალწარმოების ჩამოყალიბება საქმის ირგვლივ არსებული ფაქტობრივი გარემოებების მართებულობის ან უმართებულობის შესახებ დავის მიხედვით ხდება. მტკიცების ტვირთში მტკიცებულებათა წარდგენისა და გარემოებათა თაობაზე მტკიცება, დარწმუნება მოიაზრება.<sup>15</sup> გერმანულ თეორიაშიც დამტკიცება მხარეთა მიერ მტკიცებულებათა შეგროვების, წარდგენისა და სასამართლოს მიერ ამ მტკიცებულებათა შეფასებისა და გამოკვლევის პროცესს ჰქვია.<sup>16</sup>

გერმანული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, მტკიცებულებათა ვერიფიკაცია გარკვეულ ფაქტთან დაკავშირებით სიმართლის დადგენაა.<sup>17</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, დამტკიცება ნიშნავს წარმოდგენილი ფაქტის სიმართლეში სასამართლოს დარწმუნებას, მოსამართლე კი ფაქტობრივი გარემოებების სიმართლეში მტკიცებულებებზე დაყრდნობით

---

<sup>13</sup> ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბილისი, 2006, 341.

<sup>14</sup> შმიტი შ., რიჰტერი ჰ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, 2013, 27.

<sup>15</sup> Парашенко В.В., Время Представления Доказательств в Гражданском Судопроизводстве, Юридический Журнал, №2, 2007, 21.

<sup>16</sup> ზოფერია ნ., მტკიცებულებათა თეორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, წიგნი: თენგიზ ლილუაშვილი 75, საიუბილეო კრებული, ვ. ხრუსტალის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 340.

<sup>17</sup> Shmidt E., Beweislast in Zivilsachen – Funktionen und Verteilungsregeln, Jus, 2003, Heft 10,1008.

რწმუნდება.<sup>18</sup> გერმანულ სამართალწარმოებაში სასამართლო დარწმუნებაში საბოლოო დარწმუნება იგულისხმება, თუმცა აუცილებელი არ არის აბსოლუტური სიზუსტე, მთავარია, ვარაუდის ისეთი ხარისხი, რომელიც სასამართლოს განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ეჭვებს გაუფანტავს,<sup>19</sup> რადგან იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლო იმ დასკვნამდე ვერ მივა, სადავო და ამავდროულად, მნიშვნელოვანი ფაქტი ნამდვილია თუ არანამდვილი, მაშინ ის დილემის წინაშე დგება, – ერთი მხრივ, უნდა გადაწყვიტოს სადავო საკითხი, თუმცა, მეორე მხრივ, ამის გაკეთებაც არ შეუძლია, ვინაიდან წარმოდგენილი მტკიცებულებებით ფაქტს ვერ ადგენს.<sup>20</sup> აღნიშნულიდან, ცალსახაა, რომ მხარისთვის მტკიცების ტვირთი, პროცესუალური შედეგის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია და იგი, ერთგვარად, სტიმულის ფუნქციასაც ასრულებს, რადგანაც მხარეებს აიძულებს, წინასწარ განსაზღვრონ პოზიცია, მოიძიონ მტკიცებულებები და მოემზადონ პროცესისათვის.<sup>21</sup> ამგვარი პოზიციის პირველადი, ლოგიკური ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ ვისაც ვინმესგან რაიმე სურს და ითხოვს სადავო უფლების აღდგენას, მან უნდა შეძლოს თავისი სამართლებრივი პოზიციის გამყარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპასუხე მხარე დარჩებოდა იმგვარ პოზიციაში, რომ მას ნებისმიერი მოთხოვნის განეიტრალება მოუწევდა.<sup>22</sup> აქედან აშკარაა, რომ მხარე საკუთარი შესედეულებით განამტკიცებს საქმეში მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს. მტკიცების ტვირთი ნაწილდება მხარეებსა და პროცესში მონაწილე სხვა პირებსზე, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოზე მტკიცების ტვირთის დაკისრების საკითხი

---

<sup>18</sup> ხოფერია ნ., მტკიცებულებათა თეორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, წიგნში: თენგიზ ლილუაშვილი 75, საიუბილეო კრებული, ვ. ხრუსტალის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 340.

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> Schmidt E., Beweislast in Zivilsachen – Funktionen und Verteilungsregeln, Jus, 2003, Heft 10, 1009.

<sup>21</sup> Баулин О.В., Фильченко Д. Г., Доказательства и Доказывание в Гражданском Судопроизводстве, Воронеж, 2006, 54.

<sup>22</sup> Schmidt E., Beweislast in Zivilsachen – Funktionen und Verteilungsregeln, Jus, 2003, Heft 10, 1010.

დღემდე საკამათოა, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე, შეჯიბრებით პროცესში სასამართლო მსგავს ვალდებულებას არ იზიარებს<sup>23</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ მტკიცების ტვირთი და მტკიცების საგანი დავაში მხარეებს ეკისრებათ, ბოლო სიტყვა, რასაკვირველია, სასამართლოს ეთქმის,<sup>24</sup> მან აუცილებლად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და გადაწყვეტილების მიღების ეს იძულება კონსტიტუციით გარანტირებული მართლმსაჯულების პრინციპიდან გამომდინარეობს, რომელიც, თავის მხრივ, თვითნებობის არგანხორციელებასთანაა დაკავშირებული.<sup>25</sup> მოსამართლის ან სასამართლოს ამოცანა, სასამართლოზე წარმოდგენილი ფაქტების ჭეშმარიტების საკითხის დადგენისას, სუბიექტური შეფასების ფარგლებს სცდება, უფრო მეტიც, სასამართლო რწმუნას უნდა ჰქონდეს ობიექტური საფუძველი, რომლითაც მოსამართლე ან სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელებს.<sup>26</sup>

კონტინენტურ ევროპაში სასამართლო მტკიცება ძირითადად ორი ეტაპისგან შედგება: 1. მტკიცებულებების წარმოდგენა განსაზღვრული მტკიცების საშუალებების დახმარებით; 2. მტკიცებულების შეგროვება, მოძიება და შეფასება.<sup>27</sup> მტკიცებულებათა წარმოდგენა მხარეთა ტვირთია, რადგან ყოველი მხარე ვალდებულია დაამტკიცოს ის გარემოება, რომელსაც ეყრდნობა.<sup>28</sup> გერმანული საპროცესო კოდექსის ძველი რედაქცია პირდაპირ მიუთითებდა, რომ მოსარჩელეს უნდა ემტკიცებინა ის, რასაც მოითხოვდა, ხოლო მოწინააღმდეგე მხარეს აღნიშნული უნდა გაეგებებინა, თუმცა

---

<sup>23</sup> Баулин О.В., Фильченко Д. Г., Доказательства и Доказывание в Гражданском Судопроизводстве, Воронеж, 2006,55. იხ. ციტირება: Лилуашвили Т.А., Предмет Доказывания и Распределение Бремени Доказывания Между Сторонами в Советском Гражданском Процессе: Автореф. дис. канд. юрид. наук, М., 1961, С.11-12.

<sup>24</sup> ხოფერია ნ., მტკიცებულებათა თეორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, წიგნში: თენგიზ ლილუაშვილი 75, საიუბილეო კრებული, ვ. ხრუსტალის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 348.

<sup>25</sup> Shmidt E., Beweislast in Zivilsachen – Funktionen und Verteilungsregeln, Jus, 2003, Heft 10, 1009.

<sup>26</sup> ხოფერია ნ., მტკიცებულებათა თეორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, წიგნში: თენგიზ ლილუაშვილი 75, საიუბილეო კრებული, ვ. ხრუსტალის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 348.

<sup>27</sup> იქვე, 341.

<sup>28</sup> იქვე.

მოქმედი რედაქციით, ეს დებულება ამოღებულია, ვინაიდან აღნიშნული ისედაც ლოგიკური იყო და განმარტებას არ საჭიროებდა.<sup>29</sup>

მტკიცების საგანი შეიძლება იყოს: 1. ფაქტები; 2. ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე დებულებანი; 3. უცხოური სამართლის ნორმები. მტკიცებას ის ფაქტები ექვემდებარება, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის, ანუ მხოლოდ ის ფაქტები, რომელზეც პროცესუალური შედეგი, სასამართლოს გადაწყვეტილებაა დამოკიდებული.<sup>30</sup> მხარის ინტერესიც ხომ ზუსტად ისაა, რომ მან წარმოდგენილი ფაქტებითა და მტკიცებულებებით, მოსამართლე ფაქტობრივი გარემოებების ჭეშმარიტებაში დაარწმუნოს, რაც საბოლოოდ, პროცესის შედეგზე აისახება.

### 1.2.2. ანგლოამერიკული სამართლის მიდგომა

ინგლისის, ისევე, როგორც აშშ-ის სამართალი მტკიცების ტვირთის საკანონმდებლო განსაზღვრებას არ იცნობს და მტკიცების ტვირთი სრულიად განსხვავებული ცნებებით მოიხსენიება. ინგლისში სასამართლო მტკიცება საქმეში მონაწილე დაინტერესებული პირების საქმიანობას წარმოადგენს, რომელიც მიმართულია მტკიცებულებათა შეგროვების, წარმოდგენისა და გამოკვლევისაკენ.<sup>31</sup> ინგლისურ სამართლებრივ ლიტერატურაში განასხვავებენ დარწმუნების, დასაბუთებისა და მტკიცებულებათა წარმოდგენის ტვირთს. თუკი პირველი მატერიალურ სამართალზეა დამოკიდებული, მეორე სრულიად მხარეებზეა მინდობილი, რომელთაც დასაბუთების ტვირთი აკისრიათ.<sup>32</sup> უფრო კონკრეტულად, ინგლისურ სამართალში მიღებულია მტკიცების ტვირთის შემდეგი დაყოფა: 1. ზოგადი ტვირთი (*General Burden*) – მხარეთა ვალდებულება, რათა მოიგოს პროცესი; 2. სამარ-

---

<sup>29</sup> Shmidt E., Beweislast in Zivilsachen – Funktionen und Verteilungsregeln, Jus, 2003, Heft 10, 1010.

<sup>30</sup> ზოფერია ნ., მტკიცებულებათა თეორია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალში, წიგნში: თენგიზ ლილუაშვილი 75, საიუბილეო კრებული, ვ., ხრუსტალის რედაქტორობით, თბილისი, 2003, 345.

<sup>31</sup> Lempert R.O, Saltzburg S.A., A Modern Approach to Evidence, Text, Problems, Transcripts and Cases, Sixth Edition, Minn, 1982, 148.

<sup>32</sup> Решетникова И.В., Доказательственное Право Англии и США, Екатеринбург, 1997, 107.

თლებრივი ტვირთი (*Legal Burden*) – ვალდებულება, დაამტკიცოს დავის საგანი და 3. მტკიცებულებითი ტვირთი (*Evidential Burden*) – ტვირთი, რომელიც განსაზღვრავს წარდგენილი მტკიცებულებების საკმარისობას, რათა სასამართლომ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს.<sup>33</sup>

ინგლისურ სამართალწარმოებაში მოსარჩელე ორი სახის ბარიერს აწყდება: დასაწყისში მან უნდა წარმოადგინოს საკმარისი მტკიცებულებები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსამართლე სამართალწარმოებას შეწყვეტს, ამის შემდეგ კი მას მტკიცების ტვირთი აწევს, რაც სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურებაში მდგომარეობს.<sup>34</sup>

რაც შეეხება აშშ-ს, აქ მტკიცებითი სამართალი სამართლის ცალკე დარგია და მტკიცების ტვირთის მნიშვნელობა ამერიკულ სამოქალაქო პროცესში განუსაზღვრელია, რადგან, როგორც შეჯიბრებითობის პრინციპის ტრადიციულ ქვეყანაში, აქ სასამართლო მხოლოდ მხარეთა მიერ მიწოდებულ ფაქტებზე, მტკიცებებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას.<sup>35</sup>

მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით ამერიკულ სამართალში შესაძლებელია შემდეგი ცნებები გამოიყოს: 1. არდამტკიცების რისკი, ან დარწმუნების, დამტკიცების ტვირთი და 2. მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულება – მტკიცების ტვირთის გამყარება მტკიცებულებით, ან მტკიცებულებათა წარდგენის ტვირთი.<sup>36</sup> მტკიცების ტვირთი გულისხმობს მხარის ვალდებულებას, ყოველი ფაქტი ამტკიცოს მტკიცებულებათა შეფასებით, ან ძლიერი და დამაჯერებელი მტკიცებულებით, ან გონივრული ეჭვის არსებობით, რაც კანონითაა გათვალისწინებული. მტკიცების ტვირთი და დარწმუნების ტვირთი კი სინონიმური, იდენტური ცნებებია.<sup>37</sup> აღნიშნულიდან

---

<sup>33</sup> Bojczuk W., Evidence, Textbook, 5-th ed., London, 1993, 53.

<sup>34</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში – დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(27), 2010, 24, იხ. ციტირება: Cross R., Wilkins N., Outline of the Law of Evidence, London, 1987, 27-28.

<sup>35</sup> Решетникова И.В., Доказательственное Право Англии и США, Екатеринбург, 1997, 105.

<sup>36</sup> Fleming J., Jr., Burdens of Proof, Virginia Law Review, Vol.47, 1961, 51.

<sup>37</sup> Dwyer S.I., Presumptions and Burden of Proof, Loyola Law Review, Vol.21, 1975, 389.



გამომდინარე, აშკარაა, რომ აშშ-ში მტკიცების ტვირთი მოიცავს მტკიცებულებათა წარმოდგენასა და რწმუნების ტვირთსაც.<sup>38</sup>

საერთო სამართლის ქვეყნებში, ძირითადად, მტკიცებითი საქმიანობა მტკიცებულებათა შესახებ წესების შემუშავებისკენაა მიმართული და მტკიცებულება ისეთ ნიშნებს უნდა ფლობდეს, როგორცაა განკუთვნილობა, დასაშვებობა და სანდოობა.<sup>39</sup> მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით საინტერესოა ის, რომ სასამართლო ყოველ დავაში განსაზღვრავს დარწმუნების, მტკიცების ტვირთის საკითხს და ამგვარად იღებს გადაწყვეტილებას თითოეულ იმ საკითხზე, რისი გადაწყვეტაც ნაფიც მსაჯულებს არ ხელეწიფებათ. ანუ სასამართლო მიუთითებს, თუ რა უნდა გააკეთონ იმ საკითხებთან მიმართებით, რისი გადაწყვეტაც მათ არ შეუძლიათ.<sup>40</sup> ასევე, მოსამართლის პრეროგატივაა განსაზღვროს ისიც, თუ რომელი მხარე წააგებს დავას იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ფაქტის ნამდვილობის აღიარებისთვის საკმარისი და ხარისხიანი მტკიცებულება არ იქნება წარმოდგენილი.<sup>41</sup>

ანგლოამერიკულ სამართალში, მტკიცების ტვირთთან ერთად, დიდი მნიშვნელობა პრეზუმფციებს ენიჭება. პრეზუმფციის მიზანია, მხარეებს შეუმსუბუქოს საქმესთან დაკავშირებული, თუმცა შედეგზე გავლენის მომხდენი მტკიცებულებების წარმოდგენის ამოცანა. ფაქტობრივად, პრეზუმფცია მიუთითებს იმაზე, ვინ წააგებს პროცესს, თუ არ წარმოადგენს მტკიცებულებას.<sup>42</sup> პრეზუმფცია ვრცელდება იმ მხარეზე, რომელსაც მტკიცების ტვირთი აწევს, საწინააღმდეგოს დაკისრება კი მეორე მხარის

---

<sup>38</sup> Решетникова И.В., Доказательственное Право Англии и США, Екатеринбург, 1997, 105.

<sup>39</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში – დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(27), 2010, 25, 26.

<sup>40</sup> Morgan E.M., Some Problems of Proof Under the Anglo-American System of Litigation, New York, 1956, 71.

<sup>41</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთის თავისებურება საერთო სამართალში – დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის მიხედვით, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(27), 2010, 28.

<sup>42</sup> Решетникова И.В., Доказательственное Право Англии и США, Екатеринбург, 1997, 108.

ვალდებულება.<sup>43</sup> ჯამში, ინგლისურ სამართალში ხუთი სახის პრეზუმფციას გამოყოფენ.<sup>44</sup> მართალია, ამერიკულ სამართალში პრეზუმფციების ინგლისური სამართლის მსგავსი გაგებაა, თუმცა გარკვეული პროცესუალური განსხვავებები თვალშისაცემია.<sup>45</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან აშკარაა, რომ ანგლოამერიკული სამართლის მიდგომა სამოქალაქო პროცესში მტკიცების ტვირთის საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი და სპეციფიკურია, თუმცა ამ შემთხვევაშიც მტკიცების ტვირთის მთავარი იდეა შეჯიბრებითობის პრინციპის გამოხატულებაა და მხარე საკუთარი დარღვეული თუ სადაო უფლების აღსადგენად სასამართლო პროცესზე სათანადოდ მომზადებული უნდა წარსდგეს.

## **2. მტკიცების ტვირთი ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში**

### **2.1. მტკიცების ტვირთის საკანონმდებლო მოწესრიგება**

მტკიცების ტვირთის, როგორც საკანონმდებლო ცნების, განსაზღვრებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იძლევა. თეორიულად, მტკიცების ტვირთი ვერ განიხილება, როგორც ვალდებულება, რომელიც კანონითაა დადგენილი, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მისი შეუსრულებლობისთვის პირდაპირი მნიშვნელობით სანქციას არ ითვალისწინებს. პრაქტიკაში მტკიცების ტვირთის არასათანადო რეალიზება პროცესის სუბიექტების მიმართ მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი და არასასურველი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობაა.<sup>46</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით განსაზღვრულია მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი, რომლის პირველი ნაწილის თანახმადაც, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებანი, რომლებზედაც იგი თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს

---

<sup>43</sup> Federal Rules of Evidence, Article III, Presumptions in Civil Actions and Proceedings, Rule 31.

<sup>44</sup> დაწვრილებით იხ., Решетникова И.В., Доказательственное Право Англии и США, Екатеринбург, 1997, 107-108.

<sup>45</sup> იხ., იქვე, 110.

<sup>46</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი, 2013, 23.

ამყარებს<sup>47</sup>. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ – გარემოებები, რომლებსაც შესაგებელი ემყარება.<sup>48</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი მხარეებს ერთნაირად ეკისრებათ და მათ შორის თანაბრად ნაწილდება, რაც შეეხება კონკრეტულ მითითებას, თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტები უნდა დაამტკიცოს, ეს მატერიალურსამართლებრივი ნორმებითაა განსაზღვრული.<sup>49</sup> მტკიცების ტვირთის განაწილება პროცესის მონაწილე იმ სუბიექტებზე ხდება, რომელთაც იურიდიული ინტერესი აქვთ პროცესის შედეგის, გადაწყვეტილების მიმართ. მტკიცების ტვირთის განაწილებისას ერთი მხარე, რომელიც გარკვეულ ფაქტებს ამტკიცებს, თავისუფლდება იმ ფაქტების დამტკიცებისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, ან პირიქით.<sup>50</sup>

მტკიცების პროცესში, რასაკვირველია, გადამწყვეტ მნიშვნელობას მტკიცებულებები იძენენ და ზოგადად, მტკიცების ცნება განუყოფლად დაკავშირებული მტკიცებულებებთან, რადგან მხოლოდ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და მათ საფუძველზე შეიძლება დადგინდეს საქმისთვის არსებითი და საჭირო ცნობების შესახებ.<sup>51</sup> ხოლო იმას, თუ რომელი მტკიცებულებებით გაამყარონ საკუთარი მტკიცების ტვირთი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ.<sup>52</sup> რაც შეეხება სსკ-ის 102-ე მუხლის მესამე ნაწილს, იგი მტკიცებულებათა დასაშვებობის პრინციპს აღგენს, რომლის თანახმადაც, ზოგ შემთხვევაში, დასაშვებია მხოლოდ ის მტკიცებულება, რომელსაც მატერიალური სამართლის შესაბამისი მუხლი მოითხოვს. მაგ., სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მოთხოვნებიდან

---

<sup>47</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 102.1.

<sup>48</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2004, 196.

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი, 2013, 118.

<sup>51</sup> ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, თბილისი, 2006, 340.

<sup>52</sup> სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 4.1.

გამომდინარე, უძრავი ნივთის შეძენის ფაქტის დასადასტურებლად შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ წერილობითი ხელშეკრულება<sup>53</sup>.

ამრიგად, სამოქალაქო პროცესში დიდია მტკიცებითი საქმიანობის როლი და დანიშნულება, ვინაიდან მხარეები საპროცესო და მატერიალური კანონმდებლობით სავალდებულო, დაუსაბუთებელი პოზიციის არსებობამ შესაძლოა უაროფით შედეგებამდე მიიყვანოს, რაც მოსარჩელისთვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმაში, ხოლო მოპასუხისთვის მის მიმართ წარდგენილი მოთხოვნის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებაში შეიძლება გამოიხატოს.<sup>54</sup>

## 2.2. მტკიცების ტვირთი ქართულ სასამართლო პრაქტიკაში

ნებისმიერი სამართლებრივი ინსტიტუტის საკანონმდებლო მოწესრიგებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ერთია, რა წერია კანონმდებლობაში და მეორე – როგორ სრულდება ის. ყოველ დებულებასა და ნორმას სჭირდება პრაქტიკული იმპლემენტაცია და შესაბამისი განმარტება. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სამართალი, მათ შორის, სამოქალაქო სამართალი, კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის ნაწილია, რაც სასამართლო პრაქტიკასთან მიმართებით პოზიტიური კანონმდებლობის უპირობო უპირატესობას განაპირობებს, სასამართლო პრაქტიკა მაინც უდიდეს როლს ასრულებს ნორმის შინაარსის დადგენაში. მართალია, სასამართლოს გადაწყვეტილება პირდაპირი მოქმედების, უშუალო სამართლის წყარო არაა, თუმცა იგი ავსებს სამართლებრივ სივრცეს და მის მთლიანობას განაპირობებს. თანამედროვე სამყაროში კი, სადაც სამართლის ოჯახები ინტენსიურ ზემოქმედებას განიცდიან და თანდათან უახლოვდებიან ერთმანეთს,<sup>55</sup> კონტინენტურევროპული სამართლის ქვეყნები სასამართლო გადაწყვეტილებათა სტატუსსა და მათ გამოყენებას სრულებით განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

---

<sup>53</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2004, 197.

<sup>54</sup> გაგუა ი., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი, 2013, 26.

<sup>55</sup> ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 219.

მას შემდეგ, რაც ნორმა ამოქმედდება, იგი აღარ ეკუთვნის კანონმდებელს და ლოგიკურად, კანონმდებელი ვერც განსაზღვრავს მის ჭეშმარიტ მნიშვნელობას. ნორმის შინაარსი ისეთია, როგორაც მას გამოიყენებენ. გამოყენება კი, ამ შემთხვევაში, საერთო სასამართლოებზეა მინდობილი. მით უმეტეს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია სწორედ ადეკვატური მიდგომების, რელევანტური განმარტებებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დანერგვაა<sup>56</sup>.

მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით ქართულ საერთო სასამართლოებს საკმაოდ მოცულობითი პრაქტიკა დაუგროვდათ. აქვე აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს გარდა, ასევე, ძალზე საინტერესოა სააპელაციო სასამართლოების მოსაზრებები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, არა მხოლოდ ითვალისწინებენ ერთგვაროვან პრაქტიკას, არამედ აზუსტებენ, ავრცობენ და სრულიად განსხვავებულ, კიდევ უფრო მაღალ სტანდარტზე ააქვთ ესა თუ ის სასამართლო მიდგომა.

ერთ-ერთ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალში მოქმედებს პრინციპი: *“Affirmant, non negat, incumbit probatio”* – „მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“. შესაბამისად, ამ დებულებიდან გამომდინარე, უნდა განისაზღვროს, ის, თუ ვინ რა უნდა ამტკიცოს.<sup>57</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე მუხლის მეხამე ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.<sup>58</sup> სწორედ აღნიშნული მუხლები მიუთითა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე და განმარტა, რომ მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა ის გარემოებები, რომლებიც დადასტურდებდნენ, რომ სადავო ბინა მისი მშობლების

<sup>56</sup> იხ., „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.

<sup>57</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივლისის №ას-592-563-2013 განჩინება.

<sup>58</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილი.

სახსრებით იყო შექმნილი და ამისთვის გარკვეული სახის მტკიცებულებების წარდგენა იყო საჭირო.<sup>59</sup>

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე მნიშვნელოვანი განმარტება დაადგინა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისას, უზრუნველყოფის აუცილებლობის მტკიცების ტვირთს უზენაესი სასამართლო განმცხადებელს აკისრებს, თუმცა ადგენს, რომ „სასამართლოს სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ უზრუნველყოფილ უნდა იქნას სარჩელი. რაც შეეხება მტკიცების სტანდარტს, დასახელებული ნორმა განსაზღვრავს, რომ მხარემ უნდა მიუთითოს იმ სავარაუდო და მოსალოდნელ ზღომილებაზე, რაც რეალურად გადაწყვეტილების აღსრულებისა თუ შეუძლებლობის წინაპირობა გახდება, ამასთან, აღნიშნულის სწორად გადაწყვეტის წინაპირობა სწორედ უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის, მხარეთა ინტერესების შესაძლო შელახვისა და მოთხოვნის საფუძვლიანობის ურთიერთშეჯერება და ერთობლიობაში განხილვა-გადაწყვეტაა.“<sup>60</sup> მტკიცების სტანდარტთან დაკავშირებით საინტერესო განმარტება აქვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს: საქართველოს სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია<sup>61</sup>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით ამომწურავადაა რეგლამენტირებული მხარის საპროცესო უფლებები და აღნიშნულია მის მიერ მტკიცებულებათა

---

<sup>59</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 8 სექტემბრის №ას-33-489-06 გადაწყვეტილება.

<sup>60</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 ნოემბრის №ას-1483-1493-2011 განჩინება.

<sup>61</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 13 იანვრის №2ბ/5180-14 განჩინება.

წარდგენის აუცილებლობის თაობაზე. უფრო მეტიც, ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით განსაზღვრულია მტკიცების სტანდარტი და დადგენილია მხარეთა შორის მოთხოვნის საფუძვლიანობის მტკიცების განაწილების წესი. აღნიშნული მითითებანი ემყარება მხარეთა თანასწორობის პრინციპს, რადგანაც შეჯიბრებითი სამოქალაქო საპროცესო სამართლის ფარგლებში სასამართლო მხოლოდ მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ფარგლებში ადგენს ფაქტებს და ახდენს მათ სამართლებრივ შეფასებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაშიც, თუ მხარე კანონის საფუძველზე გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, ეს სწორედ მოდავე სუბიექტის მტკიცების ტვირთია, რომელიც ვალდებულია, უტყუარი მტკიცებულებით დაადასტუროს სასამართლოს წინაშე.<sup>62</sup>

ეს ხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებში მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს დიდმა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე შემდეგი განმარტება გააკეთა: „სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კრედიტორი ვალდებულია მოვალის მოთხოვნით, შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ვალდებულების შესრულების თაობაზე დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოვალეს. მან უნდა დაამტკიცოს, რომ ვალი გადაიხდა და ამით ვალდებულება შეწყდა. მოცემულ შემთხვევაში კასატორი კრედიტორია და იგი კანონისმიერი ვალდებული პირისაგან მოითხოვს ვალდებულების შესრულებას“<sup>63</sup>.

საინტერესოა საკასაციო პალატის განმარტება მხარის მიერ ფაქტობრივი გარემოების მტკიცების შეუძლებლობასა და მტკიცების ტვირთის შებრუნებასთან დაკავშირებით. პალატამ განმარტა, რომ მტკიცების ტვირთის ობიექტურად და სამართლიანად განაწილების სტანდარტი მოსარჩელისა და მოპასუხის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების წრის განსაზღვრას განპირობებს, რა დროსაც მხედველობაში მხარის მიერ მტკიცების ობიექტური განხორციელების შესაძლებლობა მიიღება. აღნიშნულ პრინციპს ეფუძნება დადებითი მოვლენის მტკიცების ვალდებულება ნეგა-

<sup>62</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 დეკემბრის №ას-1656-1644-2011 განჩინება.

<sup>63</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებში გამოყენებულ ნორმათა განმარტებანი, თბილისი, 2008, 6.

ტიური მოვლენის მტკიცების შეუძლებლობის გამო. შრომითსამართლებრივი დავები მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, ეს გამომდინარეობს მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობებიდან. დასაქმებული, რომელიც სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის თაობაზე აპელირებდა, ვერ დაადასტურებდა მისი სამსახურიდან დათხოვნის უკანონობას, ვინაიდან მოსარჩელის მითითება, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, მტკიცების ტვირთს აბრუნებს და დამსაქმებელს დასაქმებულის სამსახურიდან მართლზომიერად გაათავისუფლების მტკიცების ვალდებულებას აკისრებს. ეს გამომდინარეობს იმ პრინციპიდან, რომ დამსაქმებელს მტკიცებითი უპირატესობა აქვს, მას შეუძლია სასამართლოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები წარუდგინოს იმასთან დაკავშირებით, რომ მუშაკმა შრომითი მოვალეობები დაარღვია. მუშაკის შესაძლებლობა კი, ამ მხრივ, ობიექტურად შეზღუდულია, რადგან იგი ვერ შეძლებს მტკიცებულებების წარდგენას იმის დასადასტურებლად, რომ ვალდებულებას ვეროვნად ასრულებდა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, მოპასუხეა (და არა მოსარჩელე) ვალდებული, სათანადო მტკიცებულებებით დაადასტუროს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტი.<sup>64</sup>

ზემოაღნიშნული განმარტებებიდან შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებს მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით საკმაოდ მნიშვნელოვანი განმარტებები აქვთ გაკეთებული. მართალია, თითოეული დავა სპეციფიკურია და შესაძლებელია რომელიმე მათგანი საერთო კონტექსტში არ თავსდებოდეს, თუმცა მტკიცების ტვირთის საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით მიდგომა ადეკვატური და ერთგვაროვანია.

### **III. სადაზღვევოსამართლებრივი დავის თავისებურებანი**

#### **1. სადაზღვევო ხელშეკრულების განსაკუთრებულობა**

ზიანის საფრთხე აღამიანებს ოდითგანვე აფიქრებდათ და სხვადასხვა დაცვითი მექანიზმის შექმნისკენ მოუწოდებდათ.<sup>65</sup> ჯერ კიდევ ძველი ბერძ-

<sup>64</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 სექტემბრის №28/6870-13 გადაწყვეტილება.

<sup>65</sup> Степанова Т.В., Страхование Право Украины: Конспект лекций, 3-е изд., Одесса, 2007, 14.



ნები და ფინიკიელები საზღვაო გადაზიდვებში ზარალის შემცირების მიზნით დაზღვევას იყენებდნენ. პირველი სადაზღვევო ხელშეკრულება კი 1347 წელს გენუაში დაიდო.<sup>66</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველი ხელშეკრულებაა.<sup>67</sup> ხელშეკრულება არის მრავალმხრივი გარიგება და შესაბამისად, მასში მინიმუმ ორი პირი მაინც უნდა მონაწილეობდეს, მხარეთა მიერ ურთიერთმიმართ გამოვლენილი ნება კი შესაბამისობაში უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულებით დათქმული პირობების შესრულების შემთხვევაში ის სამართლებრივი შედეგი წარმოიშობა, რომელიც ხელშეკრულების მხარეებმა ისურვეს.<sup>68</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დაზღვევის ხელშეკრულებას აწესრიგებს 799-858-ე მუხლები. გარდა ამისა, სადაზღვევო ურთიერთობები „დაზღვევის შესახებ“ კანონით არის მოწესრიგებული. სადაზღვევო ურთიერთობა შეიძლება იყოს არასახელშეკრულებო (სავალდებულო მხარისთვის) და სახელშეკრულებო, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების დადების თაობაზე მხარეთა ნების გამოხატვის შემდეგ წარმოიშობა, ანუ ნებაყოფლობითი დაზღვევა.<sup>69</sup>

დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე მხარეები უნდა შეთანხმდნენ დაზღვევის ინტერესისა და საგნის შესახებ, ასევე, ზუსტად უნდა განსაზღვრონ: დაზღვევის რისკი, სადაზღვევო საზღაურის გამოანგარიშების წესი, სადაზღვევო შესატანის იგივე პრემიის გადახდის წესი.<sup>70</sup> დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი, რეალური ხელშეკრულებაა და ამ ხელშეკრულების მხარეებს, ერთი მხრივ, დამზღვევი, ხოლო, მეორე მხრივ, მზღვეველი წარმოადგენს.<sup>71</sup>

---

<sup>66</sup> <<https://goo.gl/2eQzqp>> [27.04.2015]

<sup>67</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 317.1.

<sup>68</sup> სახელშეკრულებო სამართალი, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა მერიდიანი, 2014, 87.

<sup>69</sup> ქეცაია ე., დაზღვევის სამართალური თვითობის სუბიექტები და ობიექტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43), 2014, 85.

<sup>70</sup> ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 8.

<sup>71</sup> იქვე. 8.

დაზღვევის, როგორც რეალური ხელშეკრულების, არსის გასარკვევად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ საინტერესო განმარტება გააკეთა, რომლის თანახმადაც, მხარეთა უფლება-მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე სადაზღვევო შენატანის გადახდის შემდეგ, ანუ დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობის დაწყება მარტო დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ იგი დაკავშირებულია სადაზღვევო პრემიის (სადაზღვევო შენატანის) გადახდასთანაც.<sup>72</sup>

დამზღვევი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც აზღვევს ქონებას, სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; ხოლო მზღვეველი იურიდიული პირია, რომელსაც სადაზღვევო საქმიანობისთვის შესაბამისი ლიცენზია აქვს.<sup>73</sup> მზღვეველი თავის თავზე იღებს რისკს, დაზღვევის ხელშეკრულების თანახმად და გარკვეული საზღაურით ფორმირებული თანხის ფარგლებში ანაზღაურებს იმ ზარალს, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით დადგა სადაზღვევო შემთხვევის დროს.<sup>74</sup> საკასაციო სასამართლოს განმარტებით, დაზღვევა კეთილსინდისიერებასა და ურთიერთნდობას ეფუძნება, შესაბამისად, დამზღვევს ევალება, მზღვეველს ნებაყოფლობით მიაწოდოს ყველა ის ინფორმაცია, რამაც შეიძლება დაზღვევის ხელშეკრულების პირობებზე გავლენა მოახდინოს.<sup>75</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე, მხარეები დაზღვევის საგანსა და ინტერესზე უნდა შეთანხმდნენ.<sup>76</sup> სადაზღვევო ინტერესი მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს დაზღვევის საგნისაგან. დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას, ერთ-ერთი მთავარი გასათვალისწინებელი ფაქტორი დაზღვევის რისკია. სადაზღვევო შემთხვევა დაზღვევის

---

<sup>72</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 3 თებერვლის №ას-85-81-2013 განჩინება.

<sup>73</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, 107.

<sup>74</sup> ქეცბაია ე., დაზღვევის სამართალურიერთობის სუბიექტები და ობიექტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43), 2014, 86.

<sup>75</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ოქტომბრის №ას-657-624-2014 განჩინება.

<sup>76</sup> ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 8.

რისკის რეალიზაციის შედეგია. შესაბამისად, დაზღვევის რისკი ის საფრთხეა, რომლისგანაც დაზღვეული დამზღვევის ქონება ან პიროვნება, ამიტომ დაზღვევის რისკი კონკრეტულად უნდა იქნეს მითითებული დაზღვევის ხელშეკრულებაში.<sup>77</sup>

დამზღვევისა და მზღვეველის გარდა, სადაზღვევო ხელშეკრულებაში შესაძლებელია ფიგურირებდეს მესამე პირი, ანუ დაზღვეული, ვის სასარგებლოდაც იდება დაზღვევა. აღნიშნული მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის 836-838-ე მუხლებით.

როგორც მსჯელობიდან ირკვევა, დაზღვევის ხელშეკრულება საკმაოდ სპეციფიკურია და მხარეები, სანამ ხელშეკრულებას დადებენ, ბევრ ფაქტორზე უნდა დაფიქრდნენ. ვინაიდან დაზღვევის ხელშეკრულებას სარისკო ხასიათი აქვს, მზღვეველის ამოცანაა, წინასწარ შეაფასოს სადაზღვევო ხელშეკრულების დადების რისკი, მან უნდა იცოდეს ის ინფორმაცია, რაც სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთანაა დაკავშირებული. დამზღვევი კი უნდა დაფიქრდეს, რამდენად ხელსაყრელია მისთვის დაზღვევის ხელშეკრულების დადება, ვინაიდან შესაძლებელია მას ისე მოუწიოს სადაზღვევო შესატანის გადახდა, რომ სადაზღვევო შემთხვევა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში საერთოდ არ დადგეს.

## 2. სადაზღვევო ინტერესი

სადაზღვევო ინტერესი დაზღვევის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების განუყოფელი ნაწილია და სადაზღვევო ინტერესის მოთხოვნის დაწესება ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა. კანონმდებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია, დამზღვევისათვის დაზღვევის ობიექტის შენარჩუნების უწყვეტი ინტერესის მოთხოვნა დაეწესებინა, ვინაიდან არსებობდა დაზღვევის ობიექტის განზრახ დაზიანების მოტივაცია და რისკები.<sup>78</sup>

აუცილებელია სადაზღვევო ინტერესის სადაზღვევო დაზღვევის ობიექტისაგან გამიჯვნა. სადაზღვევო ინტერესი არ გულისხმობს მხოლოდ უფლებას დაზღვევის ობიექტზე ან მის ნაწილზე, ის დამზღვევსა და დაზღვე-

---

<sup>77</sup> იქვე, 9.

<sup>78</sup> ირემავილი ქ., სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა და მის მიმართ გამოთქმული კრიტიკის ანალიზი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2013, 57.

ვის ობიექტს შორის მჭიდრო კავშირს გამოხატავს.<sup>79</sup> სადაზღვევო ურთიერთობის ობიექტია პირის ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება.<sup>80</sup> ასევე, აღსანიშნავია, რომ ხშირად ხდება დაზღვევის ობიექტისა და დაზღვევის საგნის ცნებების აღრევა. დაზღვევის საგანი არის ის, რაც დაზღვეულია, ხოლო ობიექტი არის ის, რაზეც მიმართულია დაზღვევა<sup>81</sup>.

სადაზღვევო ურთიერთობებში სადაზღვევო ინტერესი მორალური რისკის შემცირების უმნიშვნელოვანეს მიზანს ემსახურება. „მორალური რისკი დაზღვევის ხელშეკრულების დადების შედეგად დამზღვევის მხრიდან დაზღვევის ობიექტისადმი ინტერესის შემცირების ან მისი დაკარგვის საფრთხეა.“<sup>82</sup> სადაზღვევო ინტერესთან დაკავშირებით პრობლემა წარმოიშობა მაშინ, როდესაც სადაზღვევო ინტერესი დაიკარგა ხელშეკრულების დადების შემდეგ, ასეთ დროს გადაწყვეტია სადაზღვევო ინტერესის არსებობის დადგენა და სასამართლომ უნდა განმარტოს, თუ რით გამოიხატება ხელშეკრულებით განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთისადმი დამზღვევის ინტერესი<sup>83</sup>.

დაზღვევის ინტერესის დაკარგვასთან დაკავშირებულია სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც იმ შემთხვევას აწესრიგებს, როცა დამზღვევს დაეკარგება დაზღვევის ინტერესი და ამის გამო შეიძლება დაზღვევის ხელშეკრულება შეწყდეს, თუმცა მზღვეველს უფლება აქვს მოითხოვოს სადაზღვევო შესატანის ის ნაწილი, რომელიც ნაკისრი რისკის ხანგრძლივობას შეესაბამება.<sup>84</sup>

აღნიშნულთან დაკავშირებით, ქუთაისის სააპელაციო სამართლომ განმარტა, რომ დაზღვევის მიმართ დამზღვევის ინტერესის დაკარგვის საკითხის გასარკვევად მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შინაარსი

---

<sup>79</sup> იქვე, 58.

<sup>80</sup> ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 8.

<sup>81</sup> ქეცბაია ე., დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43), 2014, 92.

<sup>82</sup> ირემაშვილი ქ., სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა და მის მიმართ გამოთქმული კრიტიკის ანალიზი, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2013, 58-59.

<sup>83</sup> იქვე, 59.

<sup>84</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, თბილისი, 2001, 135.

უნდა შეფასდეს. ხელშეკრულებიდან გასვლა არის ნების გამოვლენა, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისკენაა მიმართული. სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლა ცალმხრივი ნების გამოვლენაა, ამავე კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, ხელშეკრულებიდან გასვლის ნება გამოვლენილად ჩაითვლებოდა, თუ იგი მიუვიდოდა დამზღვევს. ანუ მეორე მხარეს აუცილებლად უნდა ეცნობოს დაზღვევის ინტერესის დაკარგვის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ მოტივით ხელშეკრულების შეწყვეტა არ მოხდება.<sup>85</sup>

ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ სადაზღვევო ინტერესი დაზღვევის ხელშეკრულების უმთავრესი ელემენტია და აუცილებელია დამზღვევს სადაზღვევო ინტერესი ჰქონდეს, ვინაიდან მისი არარსებობისას, ხშირ შემთხვევაში, სადაზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტაა მოსალოდნელი. პრაქტიკული თვალსაზრისით კი, ასეთი სადაზღვევო დავის შემთხვევაში დამზღვევს მოუწევს იკისროს მტკიცების ტვირთი და ამტკიცოს სადაზღვევო ინტერესის დაკარგვის ფაქტი.

### 3. მზღვეველი, როგორც ძლიერი კონტრაპენტი

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, მზღვეველი არის შპს-ის ან სს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც სადაზღვევო საქმიანობის განხორციელებისთვის შეიქმნა და აღნიშნული კანონით დადგენილი წესით აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია.<sup>86</sup> იმისათვის, რომ დაზღვევის ხელშეკრულება იყოს ნამდვილი, აუცილებელია დაზღვევის ერთ-ერთი მთავარი სუბიექტი – მზღვეველი, ფლობდეს სახელმწიფოს მიერ გაცემულ შესაბამის ნებართვას.<sup>87</sup> როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, სადაზღვევო ურთიერთობაში მზღვეველი მკაცრად განსაზღვრული ვალდებული პირია, რომელიც თავის თავზე იღებს

---

<sup>85</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 27 ივნისის №ას-719-674-2010 განჩინება.

<sup>86</sup> „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 22, „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>87</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, 106.

დამზღვევის სადაზღვევო რისკს, გარდა ამისა, მზღვეველი იღებს სადაზღვევო პრემიებს, განსაზღვრავს ზარალისა და ზიანის ოდენობას და ახორციელებს სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.<sup>88</sup>

სადაზღვევო ურთიერთობებში კანონმდებელი მზღვეველს, როგორც „ძლიერ კონტრაქტს“, აქტიურ როლს ანიჭებს, რაც მისთვის გარკვეული უფლებების განსაზღვრაში გამოიხატება. კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სადაზღვევო კომპანიამ ეს უფლებები კეთილსინდისიერად უნდა გამოიყენოს და არ უნდა შექმნას დამზღვევისათვის უარესი პირობები. მზღვეველს კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს მართლზომიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება და სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და არ დაელოდოს ხელშეკრულების ვადის გასვლას, რათა შემდეგ სადაზღვევო შესატანის ანაზღაურება მოითხოვოს. ხელშეკრულების მოშლის საკითხის დადგომის დროსაც, კანონმდებელი ინიციატივას მზღვეველს ანიჭებს, რომელსაც უფლება აქვს ამის შესახებ დამზღვევს აცნობოს.<sup>89</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მსჯელობისას გაცილებით მეტი გულისხმიერება და წინდახედულობა დააკისრა მზღვეველს, როგორც „ძლიერ კონტრაქტს“ და განმარტა, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ რისკი, რაც არაუზრუნველყოფილი საკრედიტო ვალდებულებების დაზღვევიდან წარმოიშვა, სადაზღვევო კომპანიას უნდა ეტარებინა, ვინაიდან იგი წარმოადგენდა მეწარმე იურიდიულ პირს და სადაზღვევო საქმიანობა მისი საქმიანობის ერთადერთი სფერო იყო.<sup>90</sup>

მსჯელობიდან ცალსახაა, ვინაიდან მზღვეველი დაზღვევის ხელშეკრულებაში ძლიერ მხარეს წარმოადგენს, მას გაცილებით მეტი წინდახედულება მოეთხოვება დაზღვევის სარისკო ხასიათის მთელ რივ ურთიერთობებში.

---

<sup>88</sup> ქეცაია ე., დაზღვევის სამართალური თვითობის სუბიექტები და ობიექტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43), 2014, 85-86.

<sup>89</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 21 ნოემბრის №2ბ/3080-12 გადაწყვეტილება.

<sup>90</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 28 იანვრის №ას-1643-1540-2012 განჩინება.

#### 4. რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურება

დაზღვევის ხელშეკრულება დამზღვევემა მზღვეველთან შეიძლება დადოს თავისი სახელით, მაგრამ იმ პირობით, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად სადაზღვევო საზღაურს მის ნაცვლად სხვა პირი მიიღებს.<sup>91</sup> ასეთ ხელშეკრულებას სხვა პირის სასარგებლოდ დადებულ ხელშეკრულებას უწოდებენ, სუბიექტი კი დაზღვევის ხელშეკრულებაში ტერმინ „დაზღვეულით“ ფიგურირებს. დაზღვეულის სამართლებრივ მდგომარეობას აწესრიგებს არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 836-838-ე მუხლები, არამედ ვალდებულების ზოგადი ნაწილის 349-351-ე მუხლები და ასევე, „დაზღვევის შესახებ“ კანონის მე-10 და მე-11 მუხლები.<sup>92</sup>

მზღვეველს მხოლოდ მაშინ ეკისრება ვალდებულება, გადაუხადოს დამზღვევეს დაზღვეულის სასარგებლოდ, თუ დამზღვევეი დაამტკიცებს, რომ დაზღვეული პირი ეთანხმება დაზღვევის ხელშეკრულებას. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი დამზღვევეს აკისრია, მან უნდა ამტკიცოს, რომ მესამე პირი არ იყო წინააღმდეგი, მის სასარგებლოდ დადებულიყო დაზღვევა.<sup>93</sup>

სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი ორმაგი მოთხოვნის უფლების რეალიზაციის განსხვავებულ წესს ადგენს, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ დამზღვევეს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუკი ის დამზღვევეს ზიანს უნაზღაურებს. თუ დამზღვევეი უარს იტყვის მესამე პირის მიმართ თავის მოთხოვნაზე ან მისი მოთხოვნის უზრუნველყოფის უფლებაზე, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება ზიანის იმ ოდენობით ანაზღაურების მოვალეობისაგან, რამდენიც მას შეეძლო მიეღო თავისი ხარჯების ასანაზღაურებლად უფლების განხორციელებასთან ან მოთხოვნის წაყენებასთან დაკავშირებით.<sup>94</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, რეგრესის წესით მოთხოვნის დაყენების საფუძვლიანობის საკითხის გარკვევისას, უპირველესად, საზი უნდა გაეკვას მხარეთა შორის არსებულ სადაზღვევო ურთიერ-

<sup>91</sup> ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 49.

<sup>92</sup> იქვე, 49, 51.

<sup>93</sup> იქვე.

<sup>94</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 832.1.

თობის სახესა და მის თავისებურებას. კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა. სასამართლომ მიუთითა სიცოცხლის დაზღვევის სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ 844-857-ე მუხლებზე, რომლებიც არ ითვალისწინებს სადაზღვევო თანხის გაცემის შემდეგ მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის მზღვეველის სასარგებლოდ რეგრესის წარმოშობის უფლებას. რეგრესის პრინციპი სიცოცხლის დაზღვევის სამართლებრივ ურთიერთობაზე არ ვრცელდება, თავად ამ ურთიერთობების თავისებურებიდან გამომდინარე, ვინაიდან ადამიანის სიცოცხლე სადაზღვევო რისკის განხორციელებით, ანუ დაზღვეულის გარდაცვალებით, დამდგარი შედეგი არ შეიძლება რაიმე კომპენსაციით ანაზღაურდეს, როცა სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა ქონებრივი სახის დაზღვევის დროს, – ქონებრივი დანაკარგი ანაზღაურდება თანხაში გამოხატული ეკვივალენტური ღირებულებით. როგორც სასამართლოს მსჯელობიდან იკვეთება, რეგრესის წარმოშობის უფლება მესამე პირის სასარგებლოდ დადებული დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას განპირობებულია თავად სადაზღვევო ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე და იგი ყველა სახის სადაზღვევო შემთხვევაზე არ ვრცელდება. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საწინააღმდეგო მოსაზრება ჰქონდა საკასაციო სასამართლოს და გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლთან დაკავშირებით, რომლის დაწვრილებითი განხილვაც ნაშრომის მიზნებს სცილდება.<sup>95</sup>

#### **IV. მტკიცების ტვირთი სადაზღვევოსამართლებრივი**

##### **დავის სხვადასხვა კატეგორიაში**

##### **1. პირადი დაზღვევა**

პირადი დაზღვევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 844-858-ე მუხლებითა და „სამედიცინო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე, „პარლამენტის წევრის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სავალდებულო დაზღვევისა და საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს

<sup>95</sup> უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის №ას-663-624-2011 გადაწყვეტილება.



კანონით წესრიგდება. პირადი დაზღვევისას სადაზღვევო ინტერესი მჭიდროდაა დაკავშირებული დამზღვევის პიროვნებასთან, პირად დაზღვევას მას სწორედ აქედან გამომდინარე უწოდებენ.<sup>96</sup>

სამოქალაქო კოდექსი პირადი დაზღვევის შემდეგ სახეებს იცნობს: ჯანმრთელობის დაზღვევა; სიცოცხლის დაზღვევა; უბედური შემთხვევის დაზღვევა.<sup>97</sup> პირადი დაზღვევის დროს სადაზღვევო საზღაურის გაცემა ნაწილ-ნაწილ ხდება და დამზღვევი დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაზღვევითაა უზრუნველყოფილი.<sup>98</sup>

პირადი დაზღვევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახეა სიცოცხლის დაზღვევა, რომლის განვითარებაც მე-17 საუკუნის შუა პერიოდიდან დაიწყო და მას მჭიდროდ დასახლებული ქალაქების ზრდამ შეუწყო ხელი, რადგან ღიდ ქალაქებში დაავადებების, ეპიდემიის გავრცელება, ხოლო მჭიდროდ დასახლებულ უბნებში ხანძრის გაჩენის სიხშირე ძალიან მაღალი იყო. შესაბამისად, სიცოცხლის დაზღვევის წარმოშობა მოსახლეობის დაცვის საჭიროებამ განაპირობა.<sup>99</sup>

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებით, დამზღვევმა შეიძლება, როგორც საკუთარი, ასევე, სხვა პირის სიცოცხლეც დააზღვიოს. სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება, როგორც წესი, ხანგრძლივი პერიოდით იდება და დაზღვევის ხელშეკრულების სტაბილურობას უზრუნველყოფს.<sup>100</sup> სიცოცხლის დაზღვევის ობიექტი დამზღვევის (დაზღვეული პირის) ქონებრივი ინტერესია, რაც მატერიალური უზრუნველყოფით ან სარგებლის მიმდებარის განსაზღვრულ დონეზე მდგომარეობის შენარჩუნებაში გამოიხატება.<sup>101</sup> ადამიანის სიცოცხლე ფასდაუდებელია და რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე სადაზღვევო კომპანიას შეეძლოს დაადგინოს ადამიანის სიცოცხლის დაკარგვისთვის კომპენსაციის სახით „ეკვივალენტური“

<sup>96</sup> ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 57.

<sup>97</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, წიგნი II, თბილისი, 2001, 167.

<sup>98</sup> იქვე.

<sup>99</sup> <<http://goo.gl/YXSbm2>> [05.05.2015]

<sup>100</sup> ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 58.

<sup>101</sup> ქეცაია ე., დაზღვევის სამართალური თეორიის სუბიექტები და ობიექტი, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43), 2014, 92.

თანხა, შესაბამისად, სიცოცხლის დაზღვევა ნებისმიერი შეთანხმებული თანხით ხორციელდება. დამზღვევი მზღვეველს უხდის შეთანხმებულ სადაზღვევო თანხას, პრემიას, მისი გარდაცვალების შემთხვევაში კი, დამზღვევის მემკვიდრეები იღებენ სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრულ კონკრეტულ თანხას. შესაბამისად, სიცოცხლის დაზღვევა დაზღვეულისთვის დაგროვების საშუალებაა. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ პირადი სახის დაზღვევას შეიძლება ჰქონდეს დაგროვებითი ხასიათი.<sup>102</sup>

პრაქტიკული თვალსაზრისით, სიცოცხლის დაზღვევის დროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო შემთხვევის შეფასებისთვის, ანუ იმ გარემოების დასადგენად, რომ სადაზღვევო რისკი განხორციელებულად და სადაზღვევო შემთხვევა დამდგარად ჩაითვალოს, მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ინარჩუნებს სადაზღვევო შემთხვევა დამოუკიდებლობას თავად დაზღვეულის ნებისაგან. სადაზღვევო შემთხვევა აბსოლუტურად დამოუკიდებელი უნდა იყოს დაზღვეულის ქმედებისაგან. სიცოცხლის დაზღვევის დროს გამორიცხული უნდა იყოს როგორც დამზღვევის, ისე სარგებლის მიმღების ჩარევა და ხელშეწყობა სადაზღვევო შემთხვევის დადგომაში.<sup>103</sup>

ერთ-ერთ საქმეზე წარმოდგენილი ხელშეკრულების დანართის თანახმად, მზღვეველი სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებისგან თავისუფლებებოდა იმ შემთხვევაში, თუკი დაზღვეულის გარდაცვალება გამოწვეული იქნებოდა: დაზღვეულის თვითმკვლელობით, ან მისი მცდელობით, დაზღვეულის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენით, სატრანსპორტო საშუალების ალკოჰოლის ან ნარკოტიკული და სხვა ტოქსიკური ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ ყოფნის დროს მართვისას ან დაზღვეულის საომარ მოქმედებებში მონაწილეობით. ანუ მზღვეველი ადგენდა იმ საგამონაკლისო შემთხვევებს, როდესაც მას სადაზღვევო შემთხვევისას (დაზღვეულის გარდაცვალებისას) არ ექნებოდა სადაზღვევო თანხის ანაზღაურების ვალდებულება. აღნიშნულ საქმეზე თბილისის თბილისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო პროცესი შევჯიბრებითობის პრინციპზეა აგებული და თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომ-

<sup>102</sup> <<http://goo.gl/YXSbm2>> [05.05.2015]

<sup>103</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 სექტემბრის №ას-755-811-2011 გადაწყვეტილება.

ლებზედაც ისინი თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს ამყარებენ. ამდენად, დასახელებული ხელშეკრულება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეულ მხარეს ავალდებულებდა, სხვა დოკუმენტებთან ერთად მზღვეველისთვის გარდაცვალების მიზეზის შესახებ ცნობა წარედგინა – სამედიცინო საექსპერტო დაწესებულების დასკვნა, ხოლო მზღვეველი თავისუფლდებოდა ანაზღაურების ვალდებულებისაგან, თუკი აღნიშნული დანართით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევას ექნებოდა ადგილი. სააპელაციო სასამართლომ ამ კონკრეტულ საქმეზე მიიჩნია, რომ სასამართლოში დავის განხილვის შემთხვევაშიც კი (მოცემულ საქმეში მოსარჩელე არაუფლებამოსილ პირს წარმოადგენდა) მტკიცების ტვირთი განაწილდებოდა შემდეგნაირად: მოსარჩელეს უნდა დაედასტურებინა, რომ მან კომპანიას წარუდგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტები, ხოლო იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილ დოკუმენტებში მითითებული გარემოებები განეკუთვნებოდა ისეთ საგამონაკლისო შემთხვევას, რაც მზღვეველის ვალდებულებას გამოორიცხავდა და რაც, შესაბამისად, სადაზღვევო თანხის ანაზღაურებისგან გათავისუფლებაში იქნებოდა გამოხატული, მოპასუხეს – მზღვეველს ეკისრებოდა.<sup>104</sup>

რაც შეეხება ჯანმრთელობის დაზღვევას, დაზღვევის ხელშეკრულების დადებისთვის დამზღვევე ვალდებულია მზღვეველს მიაწოდოს ინფორმაცია ჯანმრთელობის მდგომარეობის, მიმდინარე დაავადებების, ჩატარებული მკურნალობისა და მიღებული მედიკამენტების შესახებ. ჯანმრთელობის დაზღვევისას, აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება აუცილებელია, ვინაიდან მზღვეველმა უნდა შეძლოს, განსაზღვროს და შეაფასოს ხელშეკრულების დადების რისკი და ისეთი საფრთხის არსებობის შემთხვევაში, რაც მზღვეველის, როგორც მეწარმე სუბიექტის, ინტერესს არ შეესაბამება, მზღვეველს შეუძლია უარი თქვას ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულების დადებაზე, ან დააზღვიოს დამზღვევე შედარებით უფრო მაღალი საპრემიო შენატანით.<sup>105</sup>

<sup>104</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 3 ოქტომბრის განჩინება №ას-824-876-2011.

<sup>105</sup> მოწონელიძე ნ., თანამედროვე ბიომედიცინის როლი სადაზღვევო სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, №2, 2013, 120.

რასაკვირველია, აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გარკვეულ ფარგლებს საჭიროებს, ვინაიდან ინფორმაციის მოპოვებისას, ასევე, გასათვალისწინებელია პოტენციური დაზღვეულის ინტერესები და კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებები. ყოველი ასეთი ინფორმაციის მოპოვებისას ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს და დადგინდეს მისი მოპოვების აუცილებლობა.<sup>106</sup>

2008-2012 წლებში საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე საქმიანობის მკვეთრი ზრდა აღინიშნა, რის საფუძველსაც, ერთგვარად, დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის დაწყება წარმოადგენდა.<sup>107</sup> დღესდღეობით კი, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უმრავლესობაა დაზღვეული.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც სწორედ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზღვეული ბენეფიციარებისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების, ანუ სადაზღვევო თანხის ანაზღაურებას შეეხებოდა, მტკიცების ტვირთი სადაზღვევო კომპანიას დააკისრა და განმარტა, რომ იმ პირობებში, როდესაც უდავოდ იყო დადასტურებული სადაზღვევო კომპანიის მიერ საანგარიშგებო დოკუმენტაციის მიღების ფაქტი, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მიღებული დოკუმენტაცია იყო ნაკლოვანი და არ შეესაბამებოდა საქართველოს მთავრობის დადგენილების მოთხოვნებს, თავად სადაზღვევო კომპანიას ეკისრებოდა, ვინაიდან საანგარიშგებო დოკუმენტების ინსპექტირება და ურთიერთშედარების აქტის გაფორმება სწორედ მზღვეველის მოვალეობას წარმოადგენდა.<sup>108</sup>

რაც შეეხება უბედური შემთხვევის დაზღვევას, დაზღვევის ობიექტი შესაძლებელია იყოს პირის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა. სადაზღვევო შემთხვევა კი დამზღვევისათვის ტრავმის მიყენება, მოტეხილობა, შემთხვევითი მოწამვლა და ა.შ. შეიძლება იყოს, რაც დაზღვევის ხელშეკრულებაში კონკრეტულად არ არის მითითებული.<sup>109</sup>

---

<sup>106</sup> იქვე, 123.

<sup>107</sup> <<http://goo.gl/3cVvli>> [11.05.2015]

<sup>108</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 სექტემბრის №28/246-14 განჩინება.

<sup>109</sup> ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 63.

## 2. ქონების დაზღვევა

ზიანის დაზღვევა, რასაკვირველია, ქონების დაზღვევასაც მოიცავს. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ქონების მესაკუთრისთვის ქონებრივი ინტერესის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. შესაბამისად, თუ დაზღვევის ობიექტი ნებისმიერი სახის ქონებაა, ქონების დაზღვევის ხელშეკრულება იღება.<sup>110</sup>

ზიანის დაზღვევის ხელშეკრულებაში, კონკრეტულად კი ქონების დაზღვევისას, დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის ქონება, მაგ., შენობა-ნაგებობა, სატრანსპორტო საშუალება, ინვესტიცია და ა.შ. ქონებრივი ინტერესის დარღვევის შემთხვევაში ზიანი ფულადი ფორმით უნდა ანაზღაურდეს და დაუშვებელია სადაზღვევო კომპანიამ ზიანი ნატურით ანაზღაუროს.<sup>111</sup>

ქონების დაზღვევის გარკვეულ თავისებურებას ადგენს სამოქალაქო კოდექსის 823-ე მუხლი, რომელიც დისპოზიციური ხასიათისაა და ზიანის დაზღვევის შემთხვევაში მხარეები შეიძლება ისეთ სადაზღვევო თანხაზე შეთანხმდნენ, რომელიც ქონების ღირებულებაზე გაცილებით ნაკლებია.<sup>112</sup>

პრაქტიკაში ხშირია დავები, რომლებიც ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზღვეული ავტომობილის დაზიანების შედეგად წარმოიქმნება. ერთ-ერთ საქმეზე საავტომობილო დაზღვევის ხელშეკრულებაში განსაზღვრული იყო სადაზღვევო რისკები (სტანდარტული გამონაკლისები), რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურების გადახდისაგან თავისუფლდებოდა. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევად განსაზღვრული იყო სადაზღვევო შემთხვევის მძღოლის ბრალით გამოწვევა. აღნიშნული სადაზღვევო შემთხვევის დროს მძღოლმა ვერ უზრუნველყო საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ დამზღვევის ქმედება არ შეაფასა, როგორც მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობა და გამორიცხა იმ სადაზღვევო რისკების არსებობა, როდესაც მზღვეველი სადაზღვევო ანაზღაურებისგან თავისუფლდებოდა. საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს მითითება გაიზიარა

---

<sup>110</sup> იქვე, 36.

<sup>111</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ტომი IV, წიგნი II, თბილისი, 2001, 140.

<sup>112</sup> იქვე, 143-144.

და აღნიშნა, რომ ბრალი შეფასებითი კატეგორიაა და თითოეულ საქმეზე მოსამართლემ უნდა დაადგინოს მისი არსებობა ან ხარისხი, რომლის შეფასებაც საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით პირიქით იკვეთებოდა, რომ სადაზღვევო შემთხვევა დამზღვევის უხეში გაუფრთხილებლობის გამო მოხდა და ზიანი ანაზღაურებას მზღვეველის მხრიდან არ ექვემდებარებოდა. ამ შემთხვევაში დამზღვევს უნდა ემტკიცებინა, რომ აღნიშნული სადაზღვევო შემთხვევა მისი ბრალით არ იყო გამოწვეული, რისი დადასტურებაც, საკასაციო პალატის აზრით, მან ვერ შეძლო.<sup>113</sup>

სხვა მსგავსი ტიპის საქმეზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, პირველი ინსტანციის მიერ არასწორად იქნა გაზიარებული მოსარჩელის მითითება იმის შესახებ, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა საბურავის გასკდომამ გამოიწვია. აღნიშნული ფაქტი მოსარჩელის განმარტების გარდა სხვა მტკიცებულებით არ დასტურდებოდა და იმ პირობებშიც კი, როცა მოპასუხე მას უარყოფს, მხოლოდ მოსარჩელის განმარტება ფაქტობრივი გარემობის დასადასტურებლად საკმარისი მტკიცებულება არაა. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის მტკიცების ტვირთი იმ ფაქტობრივი გარემობის მტკიცებაა, რომ სადაზღვევო შემთხვევა ავტომობილის საბურავის გასკდომამ გამოიწვია.<sup>114</sup>

სადაზღვევო კომპანიამ ერთ-ერთ საქმეზე სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ დაზღვევის პირობების შესაბამისად, დამზღვევი ვალდებული იყო წარედგინა ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც დაზღვეული ავტომობილის მართვისას მისი სიფხიზლის ფაქტს დაადასტურებდა. ვინაიდან მან ეს ვერ შეძლო, დამზღვევი არ იყო ვალდებული ხარჯები აენაზღაურებინა. ხელშეკრულების ამ პირობებიდან გამომდინარე, დამზღვევი ვალდებული იყო ნეგატიური გარემოება ემტკიცებინა, კერძოდ, ის, რომ იგი არ იმყოფებოდა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერების ზეგავლენის ქვეშ. თბილისის თბილისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალში მოქმედებს პრინციპი: „მტკიცების ტვირთი ეკისრება

---

<sup>113</sup> ნაჭყებია ა., სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), თბილისი, 2014, 222-223.

<sup>114</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 მაისის №ას-477-451-2012 განჩინება.

მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“. შესაბამისად, უნდა განისაზღვროს, თუ ვინ რა უნდა ამტკიცოს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დაუშვებელია, ამ პრინციპის საპირისპიროდ, მტკიცების ტვირთის მოსარჩელეზე გადაკისრება, როგორც ამას ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერის შესაბამისად მოპასუხე მოითხოვდა. საკითხი ისეთ ნეგატიურ გარემოებას შეეხებოდა, რაც, სადაზღვევო შემთხვევის შედეგად წარმოქმნილი ვითარების გათვალისწინებით, მოპასუხეს უნდა ემტკიცებინა, ხოლო ხელშეკრულებაში არსებული ზემოაღნიშნული ჩანაწერი მტკიცებულების წარდგენის ვალდებულებასთან მიმართებით სიტყვასიტყვით არ უნდა განიმარტოს.<sup>115</sup>

ამ მოსაზრებას თბილისის სააპელაციო სასამართლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცებულ სახელშეკრულებო სამართლიანობის პრინციპზე აფუძნებს, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 325-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ამგვარი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით არ არის გამონაკლისი დაწესებული დამზღვევის მიმართ მტკიცების ტვირთის შემსუბუქებასთან მიმართებით, ანუ ამ ხელშეკრულების ტექსტის შესაბამისად ივარაუდება, რომ დამზღვევი ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, წარუდგინოს მზღვეველს იმ გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ იგი ფხიზელი იყო. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დამზღვევისთვის ამგვარი ვალდებულების განსაზღვრა ყოველგვარი გონივრული განსჯისა და კეთილსინდისიერად ქცევის სტანდარტს სცილდება, რადგან სავსებით შესაძლებელია, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას პირი ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდეს, რომ შესაბამისი მტკიცებულების მოპოვება ობიექტურად შეუძლებელი იყოს. პალატამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებაში არსებული მტკიცების ტვირთის განაწილების შესახებ ჩანაწერი სწორედ სამართლიანობის საფუძველზე უნდა განიმარტოს. ამგვარი განმარტება იწ-

---

<sup>115</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 ივლისის №ას-592-563-2013 განჩინება.

ვევს მტკიცების ტვირთის შებრუნებასა და მოპასუხე მხარისათვის მის გადაკისრებას.<sup>116</sup>

მოცემული მსჯელობიდან ნათელია, რომ სადაზღვევო დავაში მტკიცების ტვირთი „მსუბუქი“ ნამდვილად არ არის, ვინაიდან მხარეს, რომელსაც გარკვეული ფაქტობრივი გარემოების მტკიცება უწევს, საქმეში შესაბამისი მტკიცებულებაც უნდა წარმოადგინოს, რაც ზემოაღნიშნულ შემთხვევებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ ხშირად გართულებული ან ობიექტურად შეუძლებელია.

პირადი დაზღვევის შემთხვევისას წარმოქმნილ დავაში კი მთავარ განმაპირობებელი ფაქტორი ისაა, რომ სადაზღვევო შემთხვევა აბსოლუტურად დამოუკიდებელი უნდა იყოს დაზღვეულის ქმედებისაგან. სიცოცხლის დაზღვევის დროს უნდა გამოირიცხოს როგორც დამზღვევის, ისე სარგებლის მიძღების ჩარევა და ხელშეწყობა სადაზღვევო შემთხვევის დადგომაში.

## V. დასკვნა

სამოქალაქო სამართალწარმოებაში, რომელიც შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებზეა დამყარებული, მტკიცების პროცესს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი როლი აქვს. მტკიცების ტვირთი მხარის ის პროცესუალური მოვალეობაა, რომლის სწორად გააზრებისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის შემთხვევაში, დარღვეული თუ სადავო უფლების აღდგენისა და სასურველი საპროცესო შედეგის მიღების ალბათობა მატულობს. მხარის სასარჩელო მოთხოვნა მატერიალურსამართლებრივ საფუძვლებს ეყარება, შესაბამისად, სამართლის თითოეული დარგი, ყოველი კონკრეტული დავა, მტკიცების ტვირთსა და მხარეთა პოზიციას თავის სპეციფიკას ანიჭებს.

საქართველო, კონტინენტური სამართლის ოჯახის სხვა წევრთა მსგავსად, იზიარებს მტკიცების ტვირთის სტანდარტისა და განაწილების ჩამოყალიბებულ პრინციპებს, ხოლო ანგლოამერიკული სამართლის მიდგომა მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი და განსხვავებულია. მიუხედავად ამისა, მტკიცების ტვირთისა და მტკიცებითი საქმიანო-

---

<sup>116</sup> იქვე.



ბის იდეა ერთია – მხარე სასამართლო პროცესზე სათანადოდ მომზადებული უნდა წარსდგეს, რათა შეძლოს ფაქტობრივი გარემოებების დადასტურება წარმოდგენილი მტკიცებულებებით და პროცესში გამარჯვებული მხარის სტატუსი მიიღოს.

სადაზღვევო სამართლისა და სადაზღვევო ბიზნესის განვითარება სადაზღვევო ურთიერთობებში მონაწილე მხარეთა ურთიერთვალდებულებების შესრულებაზეა დამოკიდებული. საქართველოში სადაზღვევო სამართალი ჯერ კიდევ განვითარების გზაზეა, თუმცა თანამედროვე ტენდენცია იქითკენაა მიმართული, რომ ამ „პროლექტის“ ბიზნესის სრულყოფა აუცილებლობაც კია.

სადაზღვევო ურთიერთობები სარისკო ხასიათს ატარებს, შესაბამისად, ხელშეკრულების ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს გაანალიზებული ის შედეგები, რაც შეიძლება სადაზღვევო შემთხვევის დადგომით (ან პირიქით) იყოს გამოწვეული. ერთი მხრივ, მზღვეველმა უნდა შეძლოს სადაზღვევო რისკის სწორი შეფასება, თუ რამდენადაა მისთვის, როგორც მეწარმე სუბიექტისთვის, ხელსაყრელი ხელშეკრულების დადება, მეორე მხრივ, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დამზღვევი არ უნდა აღმოჩნდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ მან ვერ შეძლოს ზიანის სახით სადაზღვევო თანხის მიღება.

მზღვეველი სადაზღვევო ურთიერთობებში „ძლიერ კონტრაქტად“ წარმოდგება და ხშირ შემთხვევაში ამ მდგომარეობას ბოროტადაც კი იყენებენ. ქართულ პრაქტიკაში ხშირად დამზღვევს ხელშეკრულებით იმგვარი ფაქტობრივი გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრება, რისი ობიექტურად დამტკიცება შეუძლებელიც კია. სასამართლო ცალსახად აღნიშნავს, რომ ასეთ დროს მზღვეველი არაკეთილსინდისიერად და არაგულისხმეირად იქცევა, რადგან ამით იგი, ფაქტობრივად, დამზღვევს მტკიცების ტვირთს სახელშეკრულებო, მატერიალურსამართლებრივ ვალდებულებად უსახავს, რაც მცდარი მიდგომაა.

კვლევის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სასამართლოების მიდგომა სადაზღვევოსამართლებრივ დავებში მტკიცების ტვირთის სტანდარტსა და განაწილებასთან დაკავშირებით ერთგვაროვანია. სასამართლო ცდილობს დაამკვიდროს როგორც ზოგადი სტანდარტი, ისე განსაზღვროს სადაზღვევოსამართლებრივი დავის შემთხვევის სპეციფიკა. სამწუხაროდ, სადაზღვევო საქმიანობის პრაქტიკა ვერ თანხვედბა სასამარ-

თლო პრაქტიკას, ხშირია დამზღვევის მიმართ მტკიცების ტვირთის დაკისრების არარაციონალური და არაადეკვატური შემთხვევები. ამასთან, პრობლემა თავად სადაზღვევო საქმიანობაშიცაა, ვინაიდან მზღვეველი კომპანიები ხშირად არაკეთილსინდისიერად მოქმედებენ, რაც საქართველოში არსებული ინფორმაციის ნაკლებობის ფონზე, დამზღვევებს ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებს: უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს უფლების დაცვასა და ზიანის ანაზღაურების მიღების რეალურ შესაძლებლობებზე. ამის გამო ქართული სასამართლო პრაქტიკა ჯერჯერობით სადაზღვევო ურთიერთობათა ყველა სახის დავას არ იცნობს.

აუცილებელია მზღვეველ კომპანიებს დაეკისროთ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების დარღვევისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობა, ამასთან, მნიშვნელოვანია, სასამართლომ მკაფიოდ დაადგინოს, რომ მტკიცების ტვირთი პროცესუალური მოვალეობაა და არ შეიძლება იგი დამზღვევის ინტერესების საწინააღმდეგოდ იქნას გამოყენებული. აქვე აღსანიშნავია, რომ უნდა განისაზღვროს დამზღვევის ვალდებულებაც, სრულად და კეთილსინდისიერად მიაწოდოს ინფორმაცია მზღვეველს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება სადაზღვევო ბიზნესის კრიზისიც კი გამოიწვიოს. და ბოლოს, სახელმწიფომ უნდა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა თითოეულმა ადამიანმა იცოდეს საკუთარი უფლებების შესახებ, რომ ყველას აქვს უფლება, საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს და სადაზღვევოსამართლებრივი ურთიერთობების შედეგად წარმოშობილი დავები, ამ მხრივ, გამონაკლისი არაა.

**მტკიცების ტვირთის განაწილება  
გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისას  
შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში**

**I. შესავალი**

2014 წლის მაისში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღებით საქართველოს პარლამენტმა დისკრიმინაციასთან ბრძოლა სახელმწიფოს პრიორიტეტად აღიარა, ვინაიდან დისკრიმინაციისგან თავისუფალი გარემოს ჩამოყალიბების, დემოკრატიული საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისა და განსხვავებული ჯგუფების მიმართ ტოლერანტულად განწყობილი საზოგადოების ფორმირების წინაპირობაა.

კანონმდებელმა მტკიცების ტვირთი დააკისრა დისკრიმინაციის სავარაუდო ჩამდენს, თუმცა დღეს არსებული მოწესრიგება სრულად ვერ უზრუნველყოფს დისკრიმინაციის მსხვერპლთა დაცვას და საკანონმდებლო ხარვეზების გამო დისკრიმინაციასთან ბრძოლისა თუ უფლების დაცვის მექანიზმები არ არის ქმედითი.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავებში მტკიცების ტვირთის განაწილების მოწესრიგებელი ნორმების ანალიზი, სკანანომდებლო ხარვეზების და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა.

**II. საქართველოს კანონმდებლობაში არსებული მოწესრიგება და ხარვეზები**

**1. ნოვაცია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში**

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონისა და მისი თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებების, მათ შორის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გატარებული ცვლილებების (სსკ-ის XLIV<sup>9</sup> თავი) შემდეგ, სახელმწიფომ შემოიღო დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები, რომლებიც კერძო პირებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის ჩადენის შემთხვევაში სამოქალაქო

ლაქო წესით ზიანის ანაზღაურებისა და დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრის შესაძლებლობას ითვალისწინებს. საპროცესო კანონმდებლობის ნოვაციას ზოგადისგან განსხვავებული, მტკიცების ტვირთის განაწილების ახალი წესია. კერძოდ, კოდექსის 363<sup>3</sup>-ე მუხლი ადგენს, რომ სარჩელის შეტანისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. მიუხედავად იმისა, რომ მტკიცების ტვირთის ამგვარი განაწილება წინგადადგმული ნაბიჯია და მსხვერპლს სასამართლოს წინაშე საკუთარი პოზიციების დაცვას უადვილებს, საკანონმდებლო ბაღეში არსებობს ბევრი ისეთი ხარვეზი, რომელიც უფლების ეფექტურ დაცვას შეუძლებელს ხდის.

იმ მიზნით, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლი თავის უფლებებში აღდგეს და მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების უფლება ჰქონდეს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>2</sup>-ე მუხლმა გაითვალისწინა პირის უფლება, მიმართოს სასამართლოს სარჩელით იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომელიც მას დისკრიმინაციულად მიაჩნია, 3 თვის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ამ პირმა გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული გარემოების შესახებ. საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, დასაქმებულს უფლება აქვს, 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში ჩნდება კითხვა, თუ დასაქმებული ამტკიცებს, რომ მისი გათავისუფლება მოხდა დისკრიმინაციული საფუძველით რამდენ ხანში უნდა შეიტანოს მან სარჩელი სასამართლოში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. განსახილველ შემთხვევაში საპროცესო კანონის დანაწესი უფრო ახალია, თუმცა შრომის კანონი არის ორგანული კანონი და ის საქართველოს საპროცესო კოდექსთან შედარებით ნორმატიული აქტების იერარქიაში უფრო მაღლა დგას.<sup>1</sup> შესაბამისად, თუ დასაქმებული მიიჩნევს, რომ მისი გათავისუფლება დისკრიმინაციული მოტივით მოხდა

<sup>1</sup> „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

და სურს, ხელშეკრულების შეწყვეტა გაასაჩივროს, მან უნდა შეიტანოს სარჩელი 30 კალენდარული დღის ვადაში. ხოლო, თუ სურს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა მას სარჩელის შეტანისათვის სამთვიანი ვადა აქვს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს XLIV<sup>9</sup> თავით დადგენილი წესით, თუ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მსგავსი ჩანაწერი აზრს უკარგავს ამ თავში არსებულ განსხვავებული დანაწესების არსებობას, თუკი მისი გამოყენება არ მოხდება. დასახელებული თავი მხარეებს შორის მტკიცების ტვირთის განსხვავებულ გადანაწილებას ადგენს, ვიდრე ეს არის გათვალისწინებული საპროცესო კოდექსის სხვა თავებით. დასახელებული ნორმა არ უნდა იყოს გაგებული ისე, რომ კოდექსის სხვა ნორმები იქნეს გამოყენებული დავის იმ ნაწილში, სადაც ეს თავი განსხვავებულ წესს ადგენს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ თავის არსებობას აზრი ეკარგება.

## **2. მტკიცების საგანი და მორალური ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმები დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში**

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, დისკრიმინაციის მსხვერპლს აქვს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

დისკრიმინაციასთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მწირია და შესაბამისად, არ არსებობს შეთანხმებული კრიტერიუმი, რის მიხედვით უნდა ინელმძღვანელოს მოსამართლემ დისკრიმინაციის შემთხვევაში მორალური ზიანის ოდენობის შეფასებისას. საპროცესო კანონმდებლობაში, ასევე, არაა მითითება იმის თაობაზე, თუ ვის ეკისრება მტკიცების ტვირთი მორალური ზიანის ნაწილში. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს, რომ დისკრიმინაციის გამო მას სულიერი ტანჯვა მიადგა.<sup>2</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციების მიხედვით, მორალური ზიანის ანაზღაურებას სამი ფუნქცია აკისრია: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავი-

<sup>2</sup> ლინი ფ., როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მე-3 გამოცემა, თბილისი, 2013, 51.

დან აიცილოს სხვა პირების მიერ პიროვნული უფლებების ხელყოფა.<sup>3</sup> მორალური ზიანი არის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა, რომელსაც პირი უფლებათა ხელყოფის გამო განიცდის. სასამართლომ დისკრიმინაციის საქმეებზე მორალური ზიანის ოდენობის დადგენისას უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი კრიტერიუმებით: 1. ანაზღაურება უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი, რომ მან შეძლოს ზიანით გამოწვეული ტკივილის შემსუბუქება; 2. მორალური ზიანის დაკისრებას გასაკიცხი და პრევენციული დატვირთვაც უნდა ჰქონდეს; 3. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარელებულისა და დისკრიმინაციის ჩამდენის დამოკიდებულება მომხდარისადმი; 4. კომპენსაციის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა.<sup>4</sup>

### 3. წინასახელშეკრულებო ურთიერთობა და ვაკანსიის გამავრცელებლების პასუხისმგებლობა

წინასახელშეკრულებო ურთიერთობაში დისკრიმინაცია შრომითი ბაზრის დიდ პრობლემაა. 2010 წლიდან 2014 წლის ოქტომბრამდე jobs.ge-ს საიტზე სულ 71 360 განცხადება დაფიქსირდა. აღნიშნულ ბაზეზე მდებარეობთ სქესზე ორიენტირებული ენის გამოყენება ვაკანსიების 10.01%-ის შემთხვევაში ჩანს, ხოლო მამაკაცზე ორიენტირებული ენა – 24.02%-ის შემთხვევაში. უფრო კონკრეტულად, jobs.ge-ს ბაზაზე სიტყვა „მამაკაცი“-ს გამოყენება 1088-ჯერ დაფიქსირდა, ამასთან, ფრაზა „სასიამოვნო გარეგნობა“ 1589 განცხადებაში, სიტყვა „სტაბილურს“ 780 განაცხადი შეიცავს, ხოლო სიტყვა „ქალბატონის“ გამოყენების 607 შემთხვევა დაფიქსირდა.<sup>5</sup>

ზემოთ მოტანილი კვლევა გარკვეული ტენდენციების გამოკვეთის შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, ძირითად შემთხვევაში დამსაქმებლების მიერ დისკრიმინაციის მსხვერპლნი მდებარეობთ სქესის წარმომადგენლები

---

<sup>3</sup> რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, 69-71, იხ., <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/samoqrek.pdf>> [15.08.2015]

<sup>4</sup> შეად., ლიჩი ფ., როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მე-3 გამოცემა, თბილისი, 2013, 566.

<sup>5</sup> გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, 2014, 18, იხ., <<http://tanastoroba.ge/ka/publications/2>> [15.08.2015]

ხდებიან, თუმცა გარკვეულ შემთვევაში დისკრიმინაციული მიდგომა იკვეთება მამაკაცების მიმართაც. ხშირად დამსაქმებელი ითხოვს, კანდიდატს ჰქონდეს „სასიამოვნო გარეგნობა“ ან გამოირჩეოდეს „სტაბილურობით“. ეს კრიტერიუმები ნათელი მაგალითია იმის საილუსტრაციოდ, რომ დამსაქმებლები კანდიდატებს არ არჩევენ რაციონალური და სწორი კრიტერიუმებით.

საქართველოს შრომის კოდექსის აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანდმევე ურთიერთობებს. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, შრომითი ურთიერთობა არის დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება. მე-3 ნაწილის მიხედვით კი, შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია აკრძალულია. იმავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამამინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით. მე-5 ნაწილით, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება პირთა განსხვავების აუცილებლობა, რომელიც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

თუ პოტენციური დამსაქმებელი ვაკანსიის შესახებ განაცხადს აკეთებს ონლაინპორტალის მეშვეობით, ყალიბდება ურთიერთობა, რომელშიც მონაწილეობს სამი სუბიექტი და მათ ერთმანეთის წინაშე განსხვავებული მოვალეობები აკისრიათ:

– დამსაქმებელსა და კანდიდატებს შორის არსებობს წინასახელშეკრულებო ურთიერთობა. დამსაქმებელი დისკრიმინაციული ფრაზეოლოგიის შემცველი განაცხადების გამოქვეყნებით კი არღვევს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესს, თუ უთანასწორო მოპყრობა არ არის გამართლებული სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე.

– ონლაინპორტალსა და დამსაქმებლებს შორის იდება მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და მასზე ვრცელდება მხარეთა კერძო ავტონომია. ამ სახელშეკრუ-

ლებო ურთიერთობაში მონაწილეობს მხოლოდ პორტალი და დამსაქმებელი.

– ონლაინპორტალსა და სამსახურის მაძიებლებს შორის ურთიერთობა ამოვარდნილია შრომითსამართლებრივი სივრცედან.

შრომითი ურთიერთობა არსებობს დამსაქმებელს და დასაქმებულს შორის, პორტალი კი არის შუალედური რგოლი, რომელზეც ვერ გავრცელდება შრომის კოდექსის რეგულაციები. ონლაინ პორტალი, მომცემულ შემთხვევაში, წარმოადგენს დამხმარე ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც მყარდება წინასახელშეკრულებო ურთიერთობა დამსაქმებელსა და სამსახურის მაძიებლებს შორის. ILO-ს რეკომენდაციებიც აწესებს ზოგად აკრძალვას დისკრიმინაციულ განცხადებებზე და ეს აკრძალვა არ ეხება მხოლოდ დამსაქმებლებს.<sup>6</sup>

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, იკრძალება დისკრიმინაციის ხელშეწყობა, რასაც რეალურად ონლაინპორტალები ახორციელებენ, მაგრამ ეს დებულება დისკრიმინაციის მსხვერპლისთვის დაცვის საკმარისი საშუალება არაა. უფლების ეფექტური დაცვის მექანიზმს ქმნის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმა, რომლითაც გაწერილია ასეთ საქმეში მონაწილე მხარეები. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში სარჩელის შეტანა შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა. განსახილველ შემთხვევაში ვებპორტალი თავად არ ახორციელებს დისკრიმინაციას, ის ხელს უწყობს დისკრიმინაციის განხორციელებას და შესაბამისად, სამართალწარმოების სუბიექტიც ვერ იქნება. აქედან გამომდინარე, ვებპორტალს, მიუხედავად იმისა, რომ ის დისკრიმინაციას ხელს უწყობს, ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა სამართალწარმოების გზით.

საზოგადოებაში ისედაც ღრმადია გამჯდარი აზრი, რომ ქალი უნდა იყოს ოჯახში და შემოიფარგლებოდეს მხოლოდ მეუღლესა და შვილებზე

---

<sup>6</sup> ILO, ABC of Women Workers' Rights and Gender Equality, 2000, 16, იხ., <[http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---gender/documents/publication/wcms\\_087314.pdf](http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---gender/documents/publication/wcms_087314.pdf)> [15.08.2015]



ზრუნვით, ხოლო მამაკაცი უზრუნველყოფს ოჯახს მატერიალურად.<sup>7</sup> როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, გამოკითხულთა 50% მიიჩნევს, რომ ზოგადად მამაკაცს უფრო სჭირდება სამსახური.<sup>8</sup> პრობლემაა ქალთა დაწინაურების, ეკონომიკურ განვითარებაში თანაბარი მონაწილეობისა და სათანადო ანაზღაურების საკითხი. ქალების დაბალანაზღაურებად თანამდებობაზე ყოფნა განპირობებულია დასაქმების ადგილზე ე.წ. „შუშის ჭერის“ არსებობით, რაც მათ კარიერულ წინსვლას აფერხებს.<sup>9</sup> კვლევის შედეგებმა ცხადჰყო, რომ ხშირია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევები წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, როდესაც ქორწინების სტატუსის მიხედვით, შესაძლო ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის შვებულებისაგან თავის ასარიდებლად ქალს დასაქმებაზე უარს ეუბნებიან.<sup>10</sup>

მნიშვნელოვანია შრომით ურთიერთობებში თანასწორობის დაცვა, რადგან ერთი მხარე, მეორესთან შედარებით, „ძლიერი მხარეა“ და უფლების ბოროტად გამოყენების ალბათობაც უფრო მაღალია.<sup>11</sup> ქალისა და მამაკაცის თანასწორობა კი ვერ იქნება დაცული, თუკი დამსაქმებლის მიერ არსებული ვაკანსიის შესახებ განაცხადს რომელიმე სქესის გაუმართლებელი უპირატესობა დაედება საფუძვლად.<sup>12</sup>

სქესთა შორის თანასწორობის უფლება ვრცელდება წინასახელშეკრუ-

---

<sup>7</sup> შეად., აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ნორმა, რომელიც მხოლოდ ქმრებს და არა ცოლებს ავალდებულებდა, გადაეხადათ ალიმენტი განქორწინების შემდეგ. სასამართლომ ჩათვალა, რომ ამგვარი დანაწესი თავად ავრცელებს სტერეოტიპულ ვარაუდს, რომ ცოლები ქმრებზე ფინანსურად დამოკიდებულები არიან, მაგრამ ქმრები შეუძლებელია ფინანსურად დამოკიდებულები იყვნენ ცოლებზე. იხ., *Orr v. Orr*, 440 U.S 268 (1979)

<sup>8</sup> საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, 2013, 39, იხ.,

<[http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE\\_UNDP\\_Gender\\_Research\\_GEO.pdf](http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_Gender_Research_GEO.pdf)> [15.08.2015]

<sup>9</sup> „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში, 495 და 497, იხ., <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf>> [15.08.2015]

<sup>10</sup> იქვე, 497.

<sup>11</sup> საქართველოს შრომის კანონმდებლობის ანალიზი – დასაქმების ადგილზე სქესის ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია და მისი სამართლებრივი შედეგები, 2014, 7, იხ., <<http://gyfa.ge/uploads/publications/kvleva-GEO.pdf>> [15.08.2015]

<sup>12</sup> იქვე, 18.

ლებო ურთიერთობების ეტაპზე.<sup>13</sup> კანდიდატის მიერ გაკეთებული განაცხადი ვაკანსიაზე უნდა განიხილებოდეს დისკრიმინაციის გარეშე<sup>14</sup> და ვაკანსიის განცხადება არ უნდა შეიცავდეს დისკრიმინაციულ ფრაზოლოგიას.<sup>15</sup> 1979 წლის 18 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, რომლის პრეამბულის მიხედვით, ქალთა დისკრიმინაცია არღვევს თანასწორობისა და ადამიანის ღირსების უფლებებს. შესაბამისად, ნათელია, რომ დისკრიმინაციული ფრაზოლოგიზმებით ვაკანსიების გამოქვეყნება ღირსების შემლახველია.

დისკრიმინაციული ფრაზოლოგიის შემცველ განაცხადებათა სიხშირე და მისი საჯარო ხასიათი, ხელს უწყობს სქესის ნიშნით დისკრიმინაციული მიდგომის გაღრმავებას, პოპულარიზაციას უწევს საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ გენდერულ სტერეოტიპებს და აადვილებს მათ გადაცემას.<sup>16</sup>

ნათელია, რომ დისკრიმინაციული ნიშნის შემცველი განაცხადის გამოქვეყნება უნდა აიკრძალოს, კანდიდატთა შერჩევა კი უნდა ემყარებოდეს შემდეგ კრიტერიუმებს – კვალიფიკაცია, გამოცდილება და კომპეტენტურობა.<sup>17</sup>

---

<sup>13</sup> ILO, General Survey, 2012, §§753, 754, იხ., <[http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@ed\\_norm/@relconf/documents/meetingdocument/wcms\\_174846.pdf](http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@ed_norm/@relconf/documents/meetingdocument/wcms_174846.pdf)> [15.08.2015]

<sup>14</sup> ILO, General Survey, 1996, §§82, 83, იხ., <<http://www.ilo.org/public/libdoc/ilo/P/09661/09661%281996-83-4B%29.pdf>> [15.08.2015]

<sup>15</sup> ILO, ABC of Women Workers' Rights and Gender Equality, 2000, 15-17, იხ., <[http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---gender/documents/publication/wcms\\_087314.pdf](http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---gender/documents/publication/wcms_087314.pdf)> [15.08.2015]

<sup>16</sup> მაგალითად, აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ დამსაქმებლების მიერ განცხადებაში სქესის ნიშნით დისკრიმინაციული მოთხოვნების გამოყენება და გაზეთების მიერ ამგვარი განცხადების გამოქვეყნება არის კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რადგან სქესის ნიშნით დიფერენცირებული განცხადებები საშუალებას აძლევს დამსაქმებელს გამოხატოს და გაავრცელოს გენდერული ნიშნით უპირატესობები. იხ., *Pittsburgh Press v. Pittsburgh Commission on Human Relations*, 413 U.S. 376 (1973)

<sup>17</sup> Ecri General Policy Recommendation no.14 on Combating Racism and Racial Discrimination in Employment, 22, იხ., <[http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/activities/GPR/EN/Recommendation\\_N14/e-GPR%2014%20-%20A4.pdf](http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/activities/GPR/EN/Recommendation_N14/e-GPR%2014%20-%20A4.pdf)> [15.08.2015]

## 4. საქართველოს შრომის კოდექსში არსებული ხარვეზები

### 4.1. დისკრიმინაციის ღეფინიციის ფარგლები

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას აღნიშნული კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ხსენებული კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს.

საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

საქართველოს შრომის კოდექსის ზემოთ დასახელებული ნორმის პირველი ალტერნატივა დისკრიმინაციის კონკრეტულ ფორმას – შევიწროვებას გულისხმობს, ხოლო მეორე ალტერნატივა კი ირიბი დისკრიმინაციის ღეფინიციაა. კანონმდებელი დისკრიმინაციად მიიჩნევს პირის შევიწროვებას ან ისეთი პირობების შექმნას, რაც აუარესებს მის მდგომარეობას. მსგავსი განსაზღვრება ავიწროვებს დისკრიმინაციის ფარგლებს და დისკრიმინაციის დასადგენად საკმარისად მიიჩნევს არახელსაყრელი პირობების შექმნას. მსგავსი განმარტება კი ბევრად ავიწროებს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობით დადგენილ დისკრიმინაციის ფარგლებს. ამ კანონებს შორის

კოლიზიის დროს შრომის კანონს მიენიჭება უპირატესობა, რაც შესაძლოა არ იყოს გამართლებული.

საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკის მიხედვით, შევიწროება განსხვავდება პირდაპირი დისკრიმინაციისაგან, მაგალითად, საჭირო არ არის კომპარატორის მოძებნა.<sup>18</sup> თუ კანონმდებელი პირველ ალტერნატივაში შევიწროებას გულისხმობდა, საჭიროა ამ დეფინიციისა და წინაპირობების უკეთ დაკონკრეტება.<sup>19</sup> თუ პირველ ალტერნატივაში შევიწროების ნაცვლად პირდაპირი დისკრიმინაცია იგულისხმება, მისი დეფინიცია არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტით დადგენილ წინაპირობებს.<sup>20</sup>

## 4.2. ორსული დასაქმებულის დისკრიმინაცია

საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა დასაქმებული ქალის მიერ თავისი ორსულობის შესახებ დამსაქმებლისთვის შეტყობინებიდან, გარდა 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებისა, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლასა და დასაქმებულის მიერ თანამდებობის/სამუშაოს საკუთარი ნებით, წერილობითი განცხადების საფუძველზე დატოვებას გულისხმობს.

ძალიან ხშირად დისკრიმინაციული მოპყრობა სამსახურიდან გათავისუფლებით ვლინდება.<sup>21</sup> ILO თავის რეკომენდაციებში ხაზს უსვამს: განსა-

---

<sup>18</sup> სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო – ევროპის საბჭო, თბილისი, 2013, 36.

<sup>19</sup> იხ., დირექტივა „რასობრივი თანასწორობის შესახებ“, მუხლი 2(3); დირექტივა „დასაქმების თანაბარი მოპყრობის შესახებ“, მუხლი 2(3); დირექტივა „გენდერული საქონლისა და სერვისების შესახებ“, მუხლი 2(c); დირექტივა „გენდერული თანასწორობის შესახებ“ (განახლებული), მუხლი 2(1)(c).

<sup>20</sup> სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო – ევროპის საბჭო, თბილისი, 2013, 26.

<sup>21</sup> ILO, General Survey on the Fundamental Conventions Concerning Rights at Work in Light of the ILO, 2008, P.784 იხ.,

<[http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@ed\\_norm/@relconf/documents/meeting\\_document/wcms\\_174846.pdf](http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@ed_norm/@relconf/documents/meeting_document/wcms_174846.pdf)> [15.08.2015]

კუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ქალს მიეცეს საშუალება, განახორციელონ თავისი ერთ-ერთი ფუნქცია – დეობა, საზოგადოებისგან მარგინალიზაციის გარეშე.<sup>22</sup> ზემოთ მოყვანილი დანაწესიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ქალთა უფლებები არაა საკმარისად დაცული, რადგან გავრცელებული პრაქტიკით, ქალებს მოკლევადიან ხელშეკრულებებს უდებენ, მათი ორსულობის შემთხვევაში კი ხელშეკრულებების განახლება არ ხდება. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში დისკრიმინაცია აკრძალულია, მისი განხორციელება კანონში არსებული ხარვეზის გამო შესაძლებელია. ორსული დასაქმებული, რომელსაც ხელშეკრულება არ გაუგრძელებს, სამსახურში აღდგენას/ვადის გაგრძელებას ვერ მოითხოვს.

ხშირია ზეწოლა ორსულ ქალებზე, რაც განცხადების იძულებით ან მოტყუებით დაწერაში გამოიხატება. წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც, ორსულობის პერიოდში ქალის ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებების გამო აუცილებელია მისი ნების ნამდვილობის გამოკვლევა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ორსული ქალის ნების გამოვლენის ნამდვილობა საჭიროებს სრულიად სპეციფიკურ გამოკვლევას, თუ რა გარემოებებითაა გამოწვეული სამსახურიდან გათავისუფლების სურვილი, რა შედეგების მომტანია ეს მისთვის, ბავშვის ინტერესებისათვის, სრულად აცნობიერებს თუ არა ნების გამოვლენის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შედეგებს. ორსული ქალის ან მეტუქური დედის ნების გამოვლენა არ განსხვავდება ქმედუნარიანი პირის ნების გამოვლენისგან. ორსულ ქალთა სამართლებრივი დაცვის განსაკუთრებული სტანდარტი საპროცესოსამართლებრივი თვალსაზრისით უნდა გამოვლინდეს მტკიცების ტვირთის სპეციფიკური გადანაწილებით და ორსული ქალის ნების გამოვლენის ნამდვილობის გამორკვევა მართლწესრიგის კეთილსინდისიერების სტანდარტს უნდა დაუკავშირონ.<sup>23</sup>

---

<sup>22</sup> ILO, General Survey on the Fundamental Conventions Concerning Rights at Work in Light of the ILO, 2008, P.838, ობ.,  
<[http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@ed\\_norm/@relconf/documents/meeting\\_document/wcms\\_174846.pdf](http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@ed_norm/@relconf/documents/meeting_document/wcms_174846.pdf)> [15.08.2015]

<sup>23</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 14 თებერვლის №ბს-463-451(კ-13) გადაწყვეტილება.

### III. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილება შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში დისკრიმინაციის დროს

შრომითი დავის განხილვისას სასამართლო აფასებს, დაირღვა თუ არა მხარეთა უფლებები ამა თუ იმ სამართლებრივი აქტის თუ მოქმედების განხორციელების შედეგად, დარღვეულია თუ არა მხარეთა თანასწორობის პრინციპი, ადგილი ხომ არ აქვს დისკრიმინაციის ფაქტს.<sup>24</sup>

მე-14 მუხლი თანასწორობის უნივერსალური საკონსტიტუციო ნორმა-პრინციპია, რომელიც ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას გულისხმობს. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი სახელმწიფოში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის ობიექტური კრიტერიუმი. ამდენად, ეს პრინციპი დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველი, ისე მიზანია.<sup>25</sup> დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ მის მიერ დადგენილი ნებისმიერი მოწესრიგება შეესაბამებოდეს თანასწორობის ძირითად არსს – არსებითად თანასწორებს მოეპყრას თანასწორად და პირიქით.<sup>26</sup>

დისკრიმინაციის ფაქტის დასადგენად, სასამართლომ უნდა ჩაატაროს ტესტი, რომელსაც იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დისკრიმინაციის დადგენისას და რომელიც მოიცავს შემდეგ წინაპირობებს: 1. მოსარჩელეს ხელი უნდა ეშლებოდეს კანონით დაცული უფლებით სარგებლობაში; 2. არსებითად თანასწორი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობის ან არსებითად არათანასწორი პირების მიმართ თანასწორი მოპყრობის შემოწმება; 3. ქმედების ლეგიტიმური მიზანი; 4. გამოყენებული საშუალების მიზანთა პროპორციულობა.

---

<sup>24</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 22 ივნისის №ას-750-704-2012 გადაწყვეტილება.

<sup>25</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 1.

<sup>26</sup> იქვე, II, 4.

## 1. კანონით დაცული უფლება

ამ ეტაპზე მტკიცების ტვირთი არის მოსარჩელეზე, რომელმაც სასამართლოს უნდა უჩვენოს, რომ მოპასუხის ქმედებამ მას ხელი შეუშალა საქართველოს კანონმდებლობით დაცული უფლებით სარგებლობაში. უფლების აღიარება აზრს დაკარგავს მასზე თანაბარი წვდომის შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან.<sup>27</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით. კონსტიტუცია ამ ნორმით დედათა და ბავშვთა უფლებების განსაკუთრებული დაცვის საჭიროებას აღიარებს. ამ სამართლებრივი სიკეთეების მომეტებული დაცვის საჭიროებაზე საერთაშორისო აქტებიც მიუთითებენ. „ევროპის სოციალური ქარტიის“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შემდეგ დასაქმებულ ქალთა უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, ხელმძღვანელმა სახელმწიფოებმა იკისრეს ვალდებულება, უკანონოდ მიიჩნიონ დამსაქმებლის მიერ ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილება, ქალის მიერ ფეხმძიმობის შესახებ დამსაქმებლისათვის ინფორმაციის მიწოდებიდან დეკრეტული შვებულების დასრულებამდე პერიოდის განმავლობაში ან ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შეტყობინების გადაცემა ამ პერიოდის ამოწურვისას. მართალია, აღნიშნული ნორმა საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული არ არის, თუმცა „ევროპის სოციალურ ქარტიასთან“ მიერთებით საქართველომ იკისრა ისეთი პირობების უზრუნველყოფის ვალდებულება, რომლებიც შესაძლებელს გახდის ქარტით გათვალისწინებული რიგი უფლებებისა და პრინციპების ეფექტურ განხორციელებას. ამასთან, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“<sup>28</sup> 25-ე მუხლის მე-2

<sup>27</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/1/539 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის №1/3/534 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 3;

<sup>28</sup> რატიფიცირებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს 15.09.1991წ. დადგენილებით.

პუნქტის თანახმად, დელობა და ჩვილი ბავშვის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას.

შრომის უფლება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით, თუმცა ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის განაცხადა, რომ პირადი ცხოვრების უფლება მოიცავს პროფესიული და კომერციული აქტივობების განხორციელების უფლებასაც. „ძალზე შეზღუდული იქნებოდა [პირადი ცხოვრების] ცნების „შიდა წრით“ შემოფარგვლა, რომელშიც ინდივიდს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი სურვილისამებრ არჩეული თავისი ცხოვრება და მისგან გამორიცხავდეს გარე სამყაროს, რომელიც არ შედის ამ წრეში. პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას. ამასთან, არანაირი პრინციპული მიზეზი არ არსებობს, რომ „პირადი ცხოვრება“ მივიჩნიოთ როგორც პროფესიული თუ კომერციული აქტივობების განხორციელების გამომრიცხველად. ადამიანთა უმრავლესობას გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამყარების მაქსიმალური შესაძლებლობა, სწორედ, მუშაობის დროს აქვს“.<sup>29</sup>

## **2. არსებითად თანასწორი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობის ან არსებითად არათანასწორი პირების მიმართ თანასწორი მოპყრობის შემოწმება**

თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას, თანაბარი შანსები იქნება თუ არა თანაბრად გამოყენებული, დამოკიდებულია კონკრეტული პირების უნარებზე.<sup>30</sup> აშკარა უნდა იყოს არსებითად თანასწორი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა (ან არსებითად არათანასწორი პირების

---

<sup>29</sup> *Niemietz v. Germany*, App. no. 13710/88, 16/12/1992, Para. 29.

<sup>30</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები; „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 1.



მიმართ თანასწორი მოპყრობა) ამა თუ იმ ნიშნის საფუძველზე, უფლებებით დაცული სფეროების მიხედვით.<sup>31</sup>

დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია.<sup>32</sup>

შემთხვევა, როდესაც ორსული ქალი აცხადებს, რომ ის დისკრიმინაციის მსხვერპლი გახდა, გამოირჩევა ისეთი თავისებურებით, რაც მას ყველა დანარჩენი შემთხვევისგან განსხვავებს. კერძოდ, ევროპაში დიდი ხნის დანერგილი პრაქტიკაა: თუ სასამართლო დაასკვნის, რომ ორსულ ქალს შეეღალა უფლებები, რადგან ის იყო ორსულად, სასამართლო უფლების დადგენის ეტაპზე წყვეტს ტესტის შემოწმებას<sup>33</sup> და ადგენს დისკრიმინაციას. ის აღარ გადადის შედარების ეტაპზე, რადგან ორსული ქალის მდგომარეობა იმდენად განსხვავებულია, რომ მას შესადარებელი პირი ვერ მოეძებნება და ამ შემთხვევაში განსხვავებულ მოპყრობას ლეგიტიმური მიზანი არ გააჩნია. შესაბამისად, სხვა პირებთან შედარების გარეშე, სასამართლო მიიჩნევს, რომ სქესობრივი ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის მსხვერპლი ქალი გახდა.<sup>34</sup>

---

<sup>31</sup> იქვე, II, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1477 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 69.

<sup>32</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1493 გადაწყვეტილება საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები; „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 5.

<sup>33</sup> ამ ეტაპზე მოსარჩელეზეა მტკიცების ტვირთი, აჩვენოს სასამართლოს მტკიცებულებები, რომელიც დისკრიმინაციის ვარაუდის საფუძველს იძლევა და დაასაბუთოს განსხვავებული მოპყრობა მასსა და მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირებს შორის. *Fredin v. Sweden* (No. 1), App. no. 12033/86, 18/02/1991, Paras. 60-61.

<sup>34</sup> ECJ, *Dekker v. Stichting Vormingscentrum voor Jong Volwassenen (VJV-Centrum) Plus*, Case C-177/88 [1990] ECR I-3941, 8 November 1990; ECJ, *Webb v. EMO Air Cargo (UK) Ltd*, Case C-32/93 [1994] ECR I-3567, 14 July 1994.

### 3. ლეგიტიმური მიზანი

საქართველოში დამკვიდრებულია პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, სამსახურიდან გათავისუფლების დისკრიმინაციულ საფუძველს დამსაქმებელი რეორგანიზაციის საბაბით ფარავენ. თუმცა რეორგანიზაცია დამსაქმებელს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველის მტკიცების ტვირთისგან არ ათავისუფლებს,<sup>35</sup> მით უფრო, თუ რეორგანიზაციას შტატების შემცირება არ მოჰყოლია. მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი გადანაწილების შედეგად, დამსაქმებელმა უნდა ამტკიცოს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერება, რა დროსაც, პირველ ყოვლისა, უნდა გამოირიცხოს დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაცია. ამ მიზნით დამსაქმებლის მიერ მარტოოდენ რეორგანიზაციაზე აპელირება დისკრიმინაციას არ გამოირიცხავს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაადგინა სტანდარტი, რომლის მიხედვითაც, პირის სამსახურიდან გათავისუფლებისას, აუცილებლად უნდა შემოწმდეს, აღნიშნულს საფუძველად ხომ არ დაედო შრომის კოდექსის მე-2 მუხლით დისკრიმინაციულად მიჩნეული რომელიმე გარემოება. ამასთან, ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი დამსაქმებელს ეკისრება, კერძოდ, თუ დასაქმებული უთითებს, რომ მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა დისკრიმინაციული ქმედება იყო, სწორედ დამსაქმებელმა უნდა ამტკიცოს საკუთარი ნების გამოვლენის მართლზომიერება და გათავისუფლების არადისკრიმინაციული საფუძველის არსებობა.<sup>36</sup>

მას შემდეგ, რაც განმცხადებელი დაუმტკიცებს სასამართლოს, რომ მას განსხვავებულად მოეპყრნენ, მტკიცების ტვირთი უკვე მოპასუხეზე გადადის, რომელსაც უწევს იმის მტკიცება, რომ ეს განსხვავებული მოპყრობა გამართლებული იყო. არაპირდაპირი დისკრიმინაციის დროსაც მტკიცების ტვირთი მოპასუხეზე გადადის, რადგან საქმეები ისეთ ფაქტებს მოიცავს, რომ მტკიცების ტვირთის არგადანაცვლებამ შეიძლება მოსარჩელის მიერ არაპირდაპირი დისკრიმინაციის დაუსაბუთებლობა გამოწვიოს.<sup>37</sup>

<sup>35</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 3 დეკემბრის №28/4238-13 გადაწყვეტილება.

<sup>36</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 1 დეკემბრის №ას-343-327-2011 განჩინება.

<sup>37</sup> *Horváth and Kiss v. Hungary*, App. No 11146/11, 29/04/2013, Para. 108.

#### 4. პროპორციულობა

საკაცაციო სასამართლომ განმარტა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში არ არსებობს იმგვარი საჯარო ინტერესი, საჯარო მიზანი, რომლის მისაღწევად გამართლებული იყოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვა, იგნორირება. საზოგადოების ინტერესების განხორციელება საზოგადოების წევრების (თუნდაც ერთი წევრის) უფლებების შელახვის ხარჯზე თანამედროვე ეპოქისათვის შეუფერებელი, დრომოჭმული მიდგომაა.<sup>38</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მხოლოდ განსაკუთრებულმა გარემოებებმა შეიძლება გაამართლოს სქესის ნიშნით განსხვავებული მოპყრობა.<sup>39</sup> შესაბამისად, განხვავებული მოპყრობა და კანდიდატების/დასაქმებულების არასახარბიელო პირობებში ჩაყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება გამართლებულად, თუ იგი გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

### IV. სახალხო დამცველის როლი მტკიცების პროცესში

#### 1. საქართველოს სახალხო დამცველი

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონმა თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის ფუნქცია სახალხო დამცველს მიანიჭა. კანონმა გაითვალისწინა მექანიზმი, რაც სახალხო დამცველს თანასწორობის უზრუნველყოფაში დაეხმარება, კერძოდ, დისკრიმინაციის ფაქტების შესწავლა, მორიგების პროცედურა, რეკომენდაციებისა და ზოგადი წინადადების გაცემის უფლება როგორც კერძო, ისე საჯარო პირების მიმართ.

პირმა, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით/საჩივრით მიმართავს, უნდა მიუთითოს და წარადგინოს ის ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების

<sup>38</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 14 თებერვლის №ბს-463-451(კ-13) გადაწყვეტილება.

<sup>39</sup> *Schuler-Zraggen v. Switzerland*, App. no. 14518/89, 24/06/1993, Para. 67

ვარაუდის საფუძველს იძლევა და უნდა წარადგინოს შესაბამისი მასალები. ამის შემდეგ სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმარტებულ პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა. თუ სახალხო დამცველი დაადგენს დისკრიმინაციის ფაქტს, იგი გასცემს რეკომენდაციას. თუ დაზარალებულს სურს ზიანის ანაზღაურება, ამისათვის მან სასამართლოს უნდა მიმართოს და სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია წარადგინოს მტკიცებულებად იმის დასადასტურებლად, რომ დისკრიმინაციას ნამდვილად ჰქონდა ადგილი.

თუ დაზარალებულს სასამართლო წესით უფლების დაცვის სამთვიანი ვადა არ ეწურება, ამასთან, არ აქვს საკმარისი მტკიცებულებები დისკრიმინაციის ფაქტის დასადასტურებლად, მას ურჩევნია ჯერ სახალხო დამცველს მიმართოს. ეს უპირატესობა შესაძლოა იმაში მდგომარეობს, რომ სახალხო დამცველს, კანონიდან გამომდინარე, აქტიური ფუნქცია აქვს მინიჭებული საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის ასპექტში და იგი საქმის გარემოებებისთვის საჭირო მასალას მხარეთაგან დამოუკიდებლად გამოითხოვს. მას უფლება აქვს, აქტიურად მოიპოვოს მტკიცებულებები, მაგალითად, სახალხო დამცველი უფლებამოსილია, ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოდან (მათ შორის პროკურატურის, საგამომიებო და სასამართლო ორგანოდან) მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია.

არსებობს სხვადასხვა სამართლებრივი ხარვეზი, რომელიც დისკრიმინაციის მსხვერპლს ხელს უშლის დარღვეული უფლებების აღდგენაში. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ნებისმიერი ადმინისტრაციული, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (მათ შორის, პროკურატურის, საგამომიებო, სასამართლო ორგანო) ვალდებულია საქმის განხილვასთან დაკავშირებული მასალა, საბუთი, ახსნა-განმარტება და სხვა ინფორმაცია კანონით დადგენილი წესების დაცვით გადასცეს საქართველოს სახალხო დამცველს მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. იმავე მუხლის შესაბამისად, ინფორმაციის მიღება კერძო პირისგან მხოლოდ ნებაყოფლობითაა შესაძლებელი.

კანონში არ არსებობს ბერკეტი, ერთგვარი იძულების მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირებისგან მოხდება საქმის განხილვასთან დაკავშირებული მასალის, საბუთის, ახსნა-განმარტებისა და სხვა ინფორმაციის მიღება და არც მათ წინააღმ-

დეგ გამოტანილი გადაწყვეტილებას აქვს სავალდებულო ძალა. საჭიროა, გავიზიაროთ სხვა ქვეყნების პრაქტიკა და მეტი უფლებამოსილება მიენიჭოს სახალხო დამცველის აპარატს, როგორც მტკიცებულების მოპოვებაში, ასევე მისი გადაწყვეტილება იყოს შესასრულებლად სავალდებულო ყველასთვის.

## **2. სხვა ქვეყნების პრაქტიკა თანასწორობის ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებთან დაკავშირებით**

ნორვეგიაში ომბუდსმენის უფლებამოსილება საკმაოდ ფართოა, კერძოდ, როგორც საჯარო, ისე კერძო პირებსა და ორგანიზაციებს აქვთ ვალდებულება, მიაწოდონ ინფორმაცია ომბუდსმენს იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირს აქვს კონფიდენციალურად ინფორმაციის შენახვის ვალდებულება.<sup>40</sup>

„თანასწორობის შესახებ“ მოლდოვის კანონის შესაბამისად, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და თანასწორობის უზრუნველყოფის ვალდებულება დაეკისრა თანასწორობის საბჭოს, რომელიც აღნიშნული კანონის საფუძველზე შეიქმნა.<sup>41</sup> საჩივრის განხილვისას საბჭოს უფლება აქვს გამოითხოვოს ნებისმიერი მონაცემი ან ინფორმაცია იმ პირებისგან, რომელთაც სავარაუდოდ ჩაიდინეს დისკრიმინაციული აქტი.<sup>42</sup>

ტრიბუნალი არის სახელმწიფო ორგანო, რომელიც ფუნქციონირებს ინგლისში, უელსსა და შოტლანდიაში. დაცვის მხარე, ტრიბუნალის მიერ საჩივრის ფორმის გავზავნიდან 28 დღის ვადაში, ვალდებულია წარუდგინოს დასაქმების ტრიბუნალს სარჩელზე პასუხი (დადგენილი ფორმით). მოპასუხეს არა აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის დასაქმების ტრიბუნალს არ წარუდგენს პასუხს სარჩელზე ან მისი პასუხი დაუშვებლად იქნება ცნობილი.<sup>43</sup>

---

<sup>40</sup> <[http://www.ldo.no/rotnode/Dine-rettigheter/Gangen-i-en-klagesak2/Gangen-i-en-klagesak\\_/](http://www.ldo.no/rotnode/Dine-rettigheter/Gangen-i-en-klagesak2/Gangen-i-en-klagesak_/)> [15.08.2015]

<sup>41</sup> „თანასწორობის შესახებ“ მოლდოვის კანონი, მუხლი 10–11, იხ., <<http://www.lawyer-moldova.com/2012/10/law-on-equal.html>> [15.08.2015]

<sup>42</sup> იქვე, მუხლი 15.

<sup>43</sup> Making a Claim to an Employment Tribunal, იხ., <[https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/306273/employment-tribunal-making-claim-t420.pdf](https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/306273/employment-tribunal-making-claim-t420.pdf)> [15.08.2015]

თანასწორობის ტრიბუნალი არის ირლანდიის მთავრობის მიერ ოპერირებული კვაზისამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც ირლანდიის თანასწორობის კანონმდებლობის შესაბამისად განიხილავს სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებს<sup>44</sup>. გამოძიება არის კვაზისამართლებრივი პროცესი, რომელსაც ხელმძღვანელობს თანასწორობის ტრიბუნალის ოფიცერი. იგი ერთობლივი მოსმენის (მოსმენების) მოწყობამდე განიხილავს ორივე მხარის წარდგინებას. ოფიცერს აქვს ფართო უფლებამოსილება, გამოითხოვოს ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებისგან, მოიწვიოს მესამე მხარე (ექსპერტები) და ა.შ. ტრიბუნალის გადაწყვეტილება საბოლოოა და შესასრულებლად სავალდებულო. იმ შემთხვევაში, თუ ტრიბუნალმა დააკმაყოფილა დისკრიმინაციის საჩივარი, მოსარჩელეს შეიძლება მიენიჭოს კომპენსაციის მოთხოვნის უფლება.

## V. დასკვნა

ნაშრომში გამოიკვეთა ის სტანდარტები და კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოსამართლეებმა დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკმეები უნდა შეაფასონ და შესაბამისად, როგორ უნდა გადაანაწილონ მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის.

საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს ბევრი ხარვეზი, რომელთა გამოსწორებაც საჭიროა, რათა დისკრიმინაციის მსხვერპლმა შეძლოს თავისი უფლებების დაცვა ეფექტურად. საჭიროა საქართველოს შრომის კოდექსში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსსა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანა.

---

<sup>44</sup> თანასწორობის ტრიბუნალის შესახებ სრული ინფორმაცია იხ., <[http://www.citizensinformation.ie/en/employment/enforcement/enforcement\\_and\\_redress/equality\\_tribunal.html](http://www.citizensinformation.ie/en/employment/enforcement/enforcement_and_redress/equality_tribunal.html)> [15.08.2015]

## მტკიცების ტვირთი ინტელექტუალურსამართლებრივ დავაში

### I. შესავალი

ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ძალიან აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოში. გარდა იმისა, რომ იგი ადამიანის ძირითადი უფლებაა<sup>1</sup> და აქედან გამომდინარე, მისი დაცვის უზრუნველყოფა უკვე დიდ მნიშვნელობას იძენს, ის, ასევე, ქვეყნის განვითარების ღონის ერთ-ერთ მჩვენებელი, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლის გარანტია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება საქართველოს კონსტიტუციითაც არის დაცული. კონსტიტუციის 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ინტელექტუალური საკუთრება ხელშეუვალია. აღნიშნული უფლების სანივთოსამართლებრივი საკუთრებისგან განცალკევებით მოწესრიგების აუცილებლობა მისმა სპეციფიკურობამ და თავისებურებებმა განაპირობა. მაგალითად, ინტელექტუალური შემოქმედების შედეგი, მასთან დაკავშირებული პირადი არაქონებრივი უფლებების დროით შეუზღუდავი თვისების გამო, უპატრონო ნივთად ვერასდროს იქცევა, შესაბამისად, დაუფლებითა და ხანდაზმულობითი ფლობით მასზე სანივთო ხასიათის აბსოლუტური უფლებები არ წარმოიშობა.<sup>2</sup> ამიტომ აღნიშნული უფლებები სანივთოსამართლებრივ წესრიგს ვერ დაექვემდებარება. რაც შეეხება ინტელექტუალურ ქონებრივ უფლებებს (განსაკუთრებულ უფლებებს, ანუ საკუთრივ ინტელექტუალურ საკუთრებას<sup>3</sup>), ისინიც სანივთოსამართლებრივისგან აღნიშნული უფლებების მოპოვების წესით განსხვავდებიან. მიუხედავად სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლისა, რომელიც ყველა იმ ნივთს, რომელიც უძრავი არ არის, მოძრავ ნივთად აცხადებს, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები ცალსახად ამ წესს ვერ დაექვემდებარება და ზოგი მოძრა-

<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 27-ე მუხლი.

<sup>2</sup> ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი, თბილისი, 2012, 12.

<sup>3</sup> იქვე, 13.

ვად უნდა ჩავთვალოთ, ზოგი – უძრავად.<sup>4</sup> მაგალითად, სამრეწველო საკუთრებას უძრავი ნივთების მსგავს რეჟიმს უქვემდებარებენ და უფლების წარმოშობა დამოკიდებულია სპეციალურ საჯარო რეესტრში შეტანასა და გამოქვეყნებაზე, როცა ხელოვნებას მიკუთვნებული ქმნილებები მოძრავი ნივთების სამართლებრივი რეჟიმის მსგავს წესრიგსაა დაქვემდებარებული.<sup>5</sup> სწორედ ამიტომ კონსტიტუციამ განამტკიცა საკუთრების ორი სახე: ჩვეულებრივი საკუთრება (სანივთოსამართლისეული) და მისგან ცალკე მდგომი ინტელექტუალური საკუთრება<sup>6</sup>, რომელიც ვრცელდება ადამიანის გონების ნაყოფზე, ინტელექტუალურ ქმნილებებზე და იყოფა ორ ნაწილად: „საავტორო უფლება“ და „სამრეწველო საკუთრება“<sup>7</sup>. მისი დაცვა ზორციელდება როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე, საქართველოში რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციებით. იგი მოიცავს იმ უფლებებს, რომლებიც ენება: 1. ლიტერატურულ, მხატვრულ და სამეცნიერო ნაწარმოებებს; 2. მსახიობთა შესრულებებს, ფონოგრამებსა და საეთერო მაუწყებლობის პროგრამებს; 3. გამოგონებებს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში; 4. სამეცნიერო აღმოჩენებს; 5. სამრეწველო ნიშნებს(დიზაინს); 6. სასაქონლო და მომსახურების ნიშნებს, საფირმო სახელწოდებებსა და სხვა კომერციულ აღნიშვნებს; 7. არაკეთილინდისიერი კონკურენციისგან დაცვასა და სამრეწველო, სამეცნიერო, ლიტერატურულ ან მხატვრულ სფეროში ინტელექტუალური საქმიანობის სხვა შედეგს.<sup>8</sup> ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ასეთი მრავალფეროვნებისა და სპეციფიკურობის გამო, საინტერესოა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უფლების სასამართლოში დაცვისას, როგორ ხდება მტკიცების ტვირთის განაწილება. სტატიაში სწორედ ამ საკითხს განვიხილავთ.

---

<sup>4</sup> იქვე, 16.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე, 13.

<sup>7</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 237.

<sup>8</sup> იქვე.



## II. მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესი

სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია.<sup>9</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მტკიცების საგანსა (რა უნდა დამტკიცდეს) და მტკიცების ტვირთს (რომელმა მხარემ უნდა ამტკიცოს) 102-ე მუხლი განსაზღვრავს. ამ მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს ამყარებს. შესაბამისად, მტკიცების საგანს შეადგენენ ფაქტები, რომლებზეც მოსარჩელე და მოპასუხე ამყარებენ თავიანთ სასარჩელო მოთხოვნებსა და სარჩელის წინააღმდეგ მიმართულ შესაგებელს.<sup>10</sup> კიდევ უფრო მკაფიოდ ეს პოზიცია გამოკვეთილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმადაც, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა დადასტურდეს ეს ფაქტები.<sup>11</sup> ამდენად, მტკიცების ტვირთი ერთნაირად ეკისრებათ მხარეებს და თანაბრად გადანაწილდება მათ შორის.<sup>12</sup> ის, თუ რომელმა მხარემ რომელი ფაქტები უნდა დაამტკიცოს, უფრო ზუსტად განსაზღვრულია მატერიალურ სამართალში – ყოველი კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობისათვის – შესაბამისი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებში. ამიტომ შეგვიძლია გამოვეყოთ ის ძირითადი საკანონმდებლო აქტები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ინტელექტუალურსამართლებრივ დავაში მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხის გადაწყვეტა. ესენია: საქართველოს კანონი „საავტორო და მოძიჯნავე უფლებების შესახებ“; „საქართველოს საპატენტო კანონი“; სა-

<sup>9</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 სექტემბრის №სს-711-670-2011 განჩინება.

<sup>10</sup> ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2007, 200.

<sup>11</sup> იქვე, 201.

<sup>12</sup> იქვე, 202.

ქართველოს კანონები – „სასაქონლო ნიშნების შესახებ“; „საქონლის ადგილწარმოშობის, დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“; „დიზაინის შესახებ“; „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“; „ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიის შესახებ“. აღნიშნული საკანონმდებლო აქტები ზოგ შემთხვევაში სრულყოფილად არ არეგულირებენ მტკიცების ტვირთის განაწილებას. ამის აუცილებლობა არც არსებობს, როცა სასამართლოს საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის სწორი განმარტებითაც შეუძლია მოვალეობები მხარეებს შორის სამართლიანად გადაანაწილოს. თუ მატერიალური ნორმის საფუძველზე ვერ განისაზღვრება კონკრეტული ფაქტის მტკიცების ტვირთი ინტელექტუალურსამართლებრივ დავაში, აღნიშნულ საკითხს სასამართლო წყვეტს სსკ-ის 102-ე მუხლზე დაყრდნობით. ამასთან, ამ მუხლის გამოყენება უნდა მოხდეს არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზისა და მტკიცების ტვირთის განაწილების ზემოთხსენებული სტანტარტის საფუძველზე.

### **III. მტკიცების ტვირთის განაწილება მატერიალურსამართლებრივი ნორმების საფუძველზე**

მტკიცების ტვირთის განაწილებას არსებითი მატერიალურსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მხარის მიერ ამ საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად განხორციელებას ამავე მხარისათვის უარყოფითი, არახელსაყრელი შედეგი მოყვება.<sup>13</sup> სწორედ ამიტომ მატერიალური სამართალი ადგენს მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს და როგორც საავტორო უფლებასთან, ისე სამრეწველო საკუთრებასთან დაკავშირებული დავისას, შეიძლება ითქვას, აფრთხილებს და ასწავლის უფლების მფლობელებს, როგორ დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები თუ შესაგებელი ისე, რომ შესაძლებელი იყოს მათი დაკმაყოფილება. ამგვარად მიიღწევა კანონმდებლის მიზანი, უზრუნველყოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.

---

<sup>13</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის №ას-1268-1526-09 განჩინება.

## 1. საავტორო უფლებასთან დაკავშირებული დავა

ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთ ნაწილად საავტორო უფლების გამოყოფისას, მასში საავტორო უფლების მომიჯნავე უფლებებსაც მოიაზრებენ. ამ უფლებებთან დაკავშირებულ დავაში მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხის გადასაწყვეტად საპროცესო კოდექსთან ერთად უნდა გამოვიყენოთ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მოწესრიგების სფეროა: იმ საავტორო ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისას და გამოყენებისას (საავტორო უფლებები); შემსრულებლის, ფონოგრამის, ვიდეოგრამის დამამზადებლისა და მაუწყებლობის ორგანიზაციის საავტორო უფლებების მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობები; მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებებთან დაკავშირებულ ურთიერთობები.<sup>14</sup>

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში მტკიცების ტვირთის პირდაპირი (სიტყვიერი) განსაზღვრა მოცემულია მხოლოდ 65-ე მუხლში, რომელიც ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის უფლებებს განსაზღვრავს და ადგენს: საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ყველა ნაწარმოები ან მომიჯნავე უფლების ობიექტი, რომელიც საჯაროდ სრულდება, გადაიცემა ეთერით, კაბელით, ან საზოგადოებისათვის სხვაგვარად ხელმისაწვდომი ხდება, აგრეთვე ჩართულია გადაცემაში, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაში, შედის შესაბამისი კოლექტიური მართვის ორგანიზაციის რეპერტუარში.<sup>15</sup> მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარგებლეს. სხვა შემთხვევებში მხოლოდ სსკ-ის 102-ე მუხლის პირველ ნაწილთან კავშირში და კანონის სისტემური და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, თუ ვის აკისრია მტკიცების მოვალეობა. ამ მეთოდს მიმართავს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილებისას სასამართლო. მაგალითად, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონში პირდაპირ არ არის მითითებული, ვის ეკირება მტკიცება, რომ წარმოადგენს

<sup>14</sup> იხ., „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი.

<sup>15</sup> იქვე, 65-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ვიდეოგრამის დამამზადებელს, თუმცა მტკიცების ტვირთი შესაძლებელია დადგინდეს ნორმის შინაარსიდან გამომდინარე. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში უზენაესი სასამართლო მიუთითებს კანონის მე-4 მუხლის „თ“ ქვეპუნქტზე და განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლით დადგენილია, თუ ვინ ივარაუდება ვიდეოგრამის დამამზადებლად საწინააღმდეგოს დადასტურებად. შესაბამისად, ვიდეოგრამის დამამზადებლის იდენტიფიცირება და სარწმუნოდ დადასტურება მოწინააღმდეგე მხარის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს.<sup>16</sup> აღნიშნული განმარტების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სხვა მსგავს შემთხვევებშიც, როცა კანონი აწესებს პრეზუმფციას, საწინააღმდეგოს დამტკიცება მოწინააღმდეგე მხარის ტვირთს წარმოადგენს. ასეთი შემთხვევები ეხება: ფონოგრამის დამამზადებელს(მე-4 მუხლის „ქ“ ქვეპუნქტი); ავტორს/საავტორო უფლების მფლობელს (რომელიც ასეთად მითითებულია „საქპატენტში“ დეპონირების დამადასტურებელ მოწმობაში<sup>17</sup> და ასევე, პირს, რომელიც სათანადო წესით აღნიშნულია, როგორც ავტორი ნაწარმოების ორიგინალზე ან ასლზე. იგივე წესი მოქმედებს, ასევე, ნაწარმოების ფსევდონიმით გამოქვეყნებისას, თუ ავტორი ამ ფსევდონიმით საყოველთაოდ ცნობილია<sup>18</sup>. ამასთან, როცა ნაწარმოები ქვეყნდება ფსევდონიმით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორი ამ ფსევდონიმით საყოველთაოდ ცნობილია) ან ანონიმურად, გამომცემელი, რომლის სახელი ან დასახელებაც სათანადო წესით აღნიშნულია ნაწარმოებზე, ითვლება ავტორის წარმომადგენლად, თუ არ არსებობს საწინააღმდეგო დასაბუთება<sup>19</sup>. ინტელექტუალური საკუთრების პრეზუმფციით დაცვის აღნიშნული წესი მოქმედებს არა მარტო საავტორო უფლებებთან, არამედ სამრეწველო საკუთრებასთან დაკავშირებითაც. მტკიცების ტვირთის განაწილების აღნიშნული წესი სრულ შესაბამისობაშია ბერნის 1886 წლის „ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ“ კონვენციასთან. ინტელექტუალური შემოქმედების შედეგზე უფლების მფლობელს მტკიცების ტვირთის ამგვარი რეგულირება ავალდებულებს,

<sup>16</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 ოქტომბრის №ას-977-1011-2011 განჩინება.

<sup>17</sup> „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9<sup>1</sup> მუხლი.

<sup>18</sup> იქვე, მე-10 მუხლი.

<sup>19</sup> იქვე, მე-10 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

დამტკიცებული ჰქონდეს თავისი უფლებები იმდენად მაინც, რომ მოხდეს მასზე ზემოთხსენებული პრეზუმფციების გავრცელება. რომ არა აღნიშნული ვალდებულება, ჩემი აზრით, შეუძლებელი იქნებოდა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მაღალი სტანდარტის დაწესება და თავად უფლების მფლობელთა ინტერესების დაცვა.

## 2. სამრეწველო საკუთრებასთან დაკავშირებული დავა

სამრეწველო საკუთრება უძრავი ნივთების დაცვის რეჟიმის მსგავს წესრიგს ექვემდებარება და განსაკუთრებული უფლების მოპოვებისათვის აუცილებელია მისი დარეგისტრირება სპეციალურ საჯარო რეესტრში. შესაბამისად, რეგისტრაციის შემდეგ მასზეც, როგორც რეგისტრირებულ საავტორო უფლებებზე, გავრცელდება პრეზუმფცია. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრეზუმფციითაა დაცული განსაკუთრებული უფლების მფლობელი დიზაინზე (რომლის დაცვაც ხდება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის საფუძველზე, თუ იგი დარეგისტრირებული არ არის „საქპატენტში“); ადგილწარმოშობის დასახელებასა და გეოგრაფიული აღნიშვნაზე; ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიაზე; სასაქონლო ნიშანზე; გამოგონებასა თუ ცხოველის ან/და მცენარის ახალ ჯიშზე. სამრეწველო საკუთრების დაცვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგისტრაციის ფაქტს მთელ მსოფლიოში. საკმაოდ გახმაურებულ საქმეა დავა ჩინურ კომპანია *Proview*-სა და *Apple*-ს შორის. *Proview* ამტკიცებდა, რომ სახელი „*i-Pad*“ მან გაცილებით ადრე, 2000 წელს დაარეგისტრირა, რის გამოც, *Apple*, ჩინური კანონმდებლობის თანახმად, იძულებული იყო თავისი პროდუქცია ჩინეთის რეგიონების გაყიდვიდან ამოეღო. დავის მოგვარება და ჩინეთის ბაზარზე „*i-Pad*“-ის დაბრუნება *Apple*-მა მხოლოდ 60 მილიონი აშშ დოლარის გადახდის შემდგომ მოახერხა.

სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების დაცვის ერთ-ერთ სახე არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთაა. კომერციული საიდუმლოების დაცვას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ამერიკული სამართალი ანიჭებს. რაც შეეხება კონტინენტური ევროპის ქვეყნებს, მაგალითად, გერმანიაში, იგი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტად განიხილება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის საკითხი დგება. ამასთან, საწარმო-კომერციულ საიდუმლოებას

ინტელექტუალური საკუთრების „გერადაც“ (“Stiefkind”) მოიხსენიებენ და დაცვისას ისეთივე მნიშვნელობას ანიჭებენ, როგორსაც ქონებას. ამიტომ აღნიშნული საკითხი გერმანიაში დელიქტური სამართლის წესებით წესრიგდება.<sup>20</sup> ქართულ სამართალში კომერციული საიდუმლოების, ნოუ-ჰაუს დაცვა ზორციელდება სამოქალაქო კოდექსითა (1105-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და სამრეწველო საკუთრების შესახებ სხვა საკანონმდებლო აქტებით. თუმცა, ძირითადი ნორმა, რომელიც კომერციული საიდუმლოების დაცვისას გამოიყენება, ისევე 1105-ე მუხლია. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი მტკიცების ტვირთსაც ეხება და მას აკისრებს მეწარმეს, რომელმაც განსაკუთრებული უფლება ამ ინფორმაციაზე უნდა დაადასტუროს „მისი საიდუმლოდ შენახვისთვის გაწეული აუცილებელი და საკმარისი ღონისძიებით“. ამასთან, ნოუ-ჰაუ უნდა წარმოადგენდეს „განსაკუთრებული მნიშვნელობის ტექნოლოგიურ, ორგანიზაციულ ან კომერციულ ინფორმაციას“, თუმცა იმას, რომ ინფორმაცია ნამდვილად ასეთია, მეწარმე არ ამტკიცებს. აღნიშნულ შეფასებას აკეთებს სასამართლო წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. როგორც, მაგალითად, საავტორო უფლების ობიექტის განსაზღვრისას სასამართლო თავად ასაბუთებს, არის თუ არა წარმოდგენილი ობიექტი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცული. ამისთვის მას შეუძლია მოიწვიოს შესაბამისი მეცნიერ-სპეციალისტები ან საჭიროების შემთხვევაში დანიშნოს ექსპერტიზა მეცნიერ-სპეციალისტთა მონაწილეობით.<sup>21</sup> ამდენად, მტკიცების ტვირთი მეწარმეს შესაძლებელი დაეკისროს გაწეული ღონისძიებების ნაწილში. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას მან უნდა ამტკიცოს მიყენებული ზიანის დადგომის ფაქტი და ზიანის ოდენობაც.

### **III. ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა, ზიანის ანაზღაურება და კომპენსაცია**

ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევისას, დარღვევის ნებისმიერი სახის შემთხვევაში, აღნიშნულ ფაქტს ამტკიცებს მისი მფლო-

---

<sup>20</sup> McGuire, Joachim, Künzel, Weber: Der Schutz durch Rechte des Geistigen Eigentums und durch das Recht des unlauteren Wettbewerbs (Q215), GRUR Int 2010, 829.

<sup>21</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 13 ნოემბრის განჩინება №ას-470-782-09.

ბელი, დაზარალებული. მტკიცების ტვირთის ამგვარი განაწილება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოპასუხე ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს მდგომ მხარედ განიხილება.<sup>22</sup> იგი განპირობებულია მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილების წესით, რომელიც საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარეობს და რომლის მიხედვითაც, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს ამყარებს. თუმცა, სწორედ აღნიშნული წესის საფუძველზეა შესაძლებელი, სასამართლომ მოპასუხესაც დააკისროს უფლების დარღვევის საწინააღმდეგო პოზიციის გამამყარებელი გარემოებების მტკიცების ტვირთი. ამის მაგალითი გვხვდება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში, სადაც დავა ეხებოდა მოპასუხის, ტელევიზიის მიერ თარგმანის არასწორად შესრულებას, რის შედეგადაც, არასწორად იქნა გახმოვანებული სერიალი და მოსარჩელის (სცენარისტის) გვარი წაკითხული – შესაბამისად, დაირღვა მისი საავტორო უფლება. სსკ-ის 102-ე მუხლის პირველ ნაწილზე დაყრდნობით სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში მტკიცების მოვალეობა ჰქონდა მოპასუხეს, რომელიც შესაგებელში ეყრდნობოდა ფაქტს თარგმანის სწორად შესრულების შესახებ.<sup>23</sup>

საკმაოდ რთულად რეგულირებად საკითხს წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების დაცვა ინტერნეტში, ამიტომ არც მტკიცების ტვირთის განაწილება იქნება შესაბამის დავაში მარტივი. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა ამ თემასთან დაკავშირებით თითქმის არ არსებობს. ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელიც ინტერნეტში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის დაცვას ეხება, მიღებულია 2000 წელს. აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება კონფლიქტს დომეინის გამოყენების დროს – სხვის სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა და დომეინის დამთხვევისას. სასამართლომ დავის გადაწყვეტისას არსებითად მიიჩნია რეგისტრაციის მიზანი და დრო. იგი დაეყრდნო სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის მე-10 *bis* მუხლს (არაკეთილსინდისიერი კონკურენცია) და განმარტა, რომ დომეინური სახელისა და სასაქონლო ნიშნის გამოყენების მართლზომიერება შეფასებულ უნდა იქნეს საქმიანი ბრუნვის ტრადიციები-

<sup>22</sup> Benkard, Patentgesetz, 10. Aufl., 2006, Rn 114-116a.

<sup>23</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 26 ოქტომბრის №ას-353-329-2010 გადაწყვეტილება.

სა და უფლების განხორციელების მართლზომიერი საზღვრების გათვალისწინებით.<sup>24</sup> აღნიშნული თვალსაზრისით, არამართლზომიერად უნდა იქნეს მიჩნეული, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მიზნით ინტერნეტში ღომეინად დარეგისტრირდეს ნიშანი, რომელიც უკვე არსებული გარკვეული რეპუტაციის მქონე სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსია. ასევე, არამართლზომიერად უნდა იქნეს მიჩნეული უკვე დარეგისტრირებული ღომეინური სახელის სხვა პირის მიერ სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია და შემდეგში სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების საფუძველზე ღომეინის გამოყენების აკრძალვა.<sup>25</sup> ჩემი აზრით, სასამართლომ სწორად განსაზღვრა ის ფაქტები, რომლებიც მხარეებს უნდა ემტკიცებინათ და რის საფუძველზეც შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორ იქნებოდა მტკიცების ტვირთი სამართლიანად განაწილებული: თითოეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს რეგისტრაციის ფაქტი და მიზანი. ამასთან, დავის გადაწყვეტისას დიდი მნიშვნელობა მიენიჭება რეგისტრაციის დროს. რაც შეეხება საავტორო უფლებების დარღვევას ინტერნეტის გამოყენებით, ჩემი აზრით, ამ შემთხვევაშიც, 102-ე მუხლის საფუძველზე, თანაბრად უნდა გადანაწილდეს მტკიცების ტვირთი, ვინაიდან, თუ მოსარჩელე უფლების დაცვისას ეყრდნობა უფლების დარღვევის ფაქტს, შესაგებელი მთლიანად იმ გარემოებაზეა აგებული, რომ არავითარ დარღვევას მოპასუხის მხრიდან ადგილი არ ჰქონია და ამასთანავე, მოსარჩელისათვის ზედმეტად მძიმე ტვირთი იქნება იმის დამტკიცების დავალება, თუ კონკრეტულად ვის მიერ მოხდა უფლების დარღვევა. მან უნდა მიუთითოს უფლების დამრღვევ საკვარაულო პირზე, რომელსაც შესაძლებლობა ექნებოდა უფლების დამრღვევი ქმედებები განეხორციელებინა. აღნიშნული პირი არის იმ ინტერნეტ კავშირის მფლობელი, რომლის გამოყენებითაც მოხდა უფლების დარღვევა. იმის გათვალისწინებით, რომ ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელია, მფლობელის გარდა სხვა პირებსაც ჰქონდეთ მასთან წვდომა, აუცილებელია მტკიცების ტვირთი მოპასუხესაც დაეკისროს, რათა მოსარჩელეს გაუადვილდეს დარღვეული უფლების აღდგენა და დაცვა. ამ მხრივ, საინტერესო პრაქტიკა აქვს გერმანიის უზენაეს სასამართლოს. საავტორო უფლების ინტერნეტის საშუალებით დარღვევის შემთხვევაში, იგი საკვარაულო

<sup>24</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 11 ოქტომბრის №3კ/589 გადაწყვეტილება.

<sup>25</sup>



დამრღვევსაც აკირებს მტკიცების ტვირთს და მეტიც, ავალდებულებს, თავად დაასახელოს ის პირები, ვისაც შეეძლოთ მისი ინტერნეტ კავშირით ესარგებლათ. აღნიშნული მტკიცება საჭიროა მაშინ, როცა უფლების დარღვევის მომენტში საკმარისად არ იყო დაცული ინტერნეტ კავშირი ან მფლობელის მიერ მისი სხვა პირთათვის განზრახ დათმობა მოხდა.<sup>26</sup> შეიძლება ითქვას, მოპასუხის მტკიცების ტვირთი, საკუთარი პასუხისმგებლობის გამოსარიცხად თუ შესამსუბუქებლად, უფლების დარღვევის ფაქტის გამოძიებასა და სხვა სავარაუდო დამრღვევი პირების გამოვლენასაც გულისხმობს.

ზიანის მიყენების ფაქტისა და განცდილი ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით გამონაკლისები არ გვხვდება და იგი 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე მოსარჩელეს ეკისრება. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლიც, რომლის თანახმად, სავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლებების დაცვა ითვალისწინებს ამ უფლებების მფლობელთა შესაძლებლობას, მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება შემოსავლის ჩათვლით; ზიანის ანაზღაურების ნაცვლად იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც დამრღვევმა მიიღო მათი უფლებების დარღვევის შედეგად; ზიანის ანაზღაურებისა და შემოსავლის ჩამორთმევის ნაცვლად კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობასაც განსაზღვრავს სასამართლო. ამასთან, კომპენსაცია არ უნდა იყოს დარღვეული უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში უფლების მფლობელის მიერ მისაღები ფულადი ანაზღაურების ათმაგ ოდენობაზე ნაკლები. შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, სავტორო უფლების მფლობელს შეუძლია მოითხოვოს როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანის ანაზღაურებაც. მორალურ ზიანთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს არაერთხელ გაუკეთებია ვრცელი განმარტება. მისი განმარტებით, მორალური ზიანი შეიძლება მდგომარეობდეს ფიზიკურ ტკივილში, რომელიც დაკავშირებულია ჯანმრთელობისათვის ზიანის ან სხვაგვარი ვნების მიყენებასთან. ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის ხასიათი უნდა შეფასდეს ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოებების, ასევე, დაზარალბულის ინდივიდუალური თავისებურებების (მაგალითად, ასაკი, ფიზიკური

---

<sup>26</sup> Bundesgerichtshof, Urteil vom 08.01.2014, AZ: I ZR 169/12.

მდგომარეობა), აგრეთვე სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებიც ადასტურებს, თუ რა სიმძიმის ტანჯვა გადაიტანა დაზარალებულმა. კომპენსაციის მოცულობა კი უნდა განისაზღვროს ტრავმის, ჯანმრთელობის სხვა დაზიანების სიმძიმის ხარისხიდან და სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, რომლებიც ადასტურებენ დაზარალებულის მიერ გადატანილ ფიზიკურ და ზნეობრივ ტანჯვას. ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა ხდება აგრეთვე ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის, დაზარალებულის ბრალის ხარისხის და სხვა კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით.<sup>27</sup> ამდენად, დაზარალებულის მიერ მხოლოდ იმის მითითება, რომ მან ძლიერი სულიერი ტკივილი განიცადა მისი უფლების დარღვევის გამო, აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი გარემოებების გარეშე (ან საწინააღმდეგო გარემოებით), დაუსაბუთებლად მიიჩნევა და ვერ იქნება მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი.<sup>28</sup> რაც შეეხება კომპენსაციას, სააპელაციო სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში<sup>29</sup> აღნიშნავს, რომ 59-ე უხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი კანონში ჩაიწერა 2005 წლის 3 ივნისის №1585 კანონის საფუძველზე და მისი ძირითადი მიზანი იყო უფლების მფლობელის გათავისუფლება ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთისაგან, რის გამოც ტერმინი „ზიანი“ შეიცვალა ტერმინით „კომპენსაცია“. ამ ნორმამ, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ დებულებასთან ერთად, რომლითაც საავტორო უფლებებიდან გამომდინარე დავებზე მოსარჩელები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან, შექმნა ნოყიერი ნიადაგი იმისათვის, რომ ასეთმა მოსარჩელებმა ასტრონომიული თანხების მოთხოვნით მიმართონ სასამართლოებს და გაასაჩივრონ სასამართლოს აქტები სამივე ინსტანციით. თუმცა, სასამართლო პრაქტიკამ დანერგა მიდგომა იმის შესახებ, რომ 59-ე მუხლით განსაზღვრული როგორც ზიანი, ისე კომპენსაცია უნდა აითვალოს არა მოსარჩელის მოსაზრებებიდან (ვინაიდან მას ამის მტკიცება არ ევალება)

---

<sup>27</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 ივლისის №28/805-13 განჩინება.

<sup>28</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 13 ნოემბრის განჩინება №ას-470-782-09.

<sup>29</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 2 ივლისის №28/805-13 განჩინება.

გამომდინარე, არამედ კანონის დანაწესისა<sup>30</sup> და საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. ამასთან, ზიანის (ქონებრივი და არაქონებრივი) ანაზღაურება და კომპენსაციის გადახდა ერთმანეთისგან განსხვავებული მოთხოვნებია და ერთმანეთის დამოუკიდებლად შეიძლება არსებობდნენ.<sup>31</sup> მნიშვნელოვანია, რომ 59-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ბრალეული მოქმედების ელემენტის არსებობას არ ითვალისწინებს. ამდენად, კომპენსაციის მოთხოვნისას უფლების მფლობელს მტკიცების ტვირთი არ აკისრია.

#### IV. დასკვნა

ინტელექტუალურსამართლებრივ დავაში მტკიცების ტვირთის განაწილება ხდება როგორც მატერიალური, ისე საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე. ნებისმიერ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, ინტელექტუალური უფლებების რა ტიპის დარღვევაა, ინტელექტუალური საკუთრების უფლების რომელი ობიექტის დაცვა ხდება და რომელი სამოქალაქოსამართლებრივი ნორმა განსაზღვრავს მტკიცების ტვირთს, მისი ობიექტური და სამართლიანი განაწილების პირობებში, აუცილებელია მოხდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მართებული განმარტება. ეს კი გულისხმობს, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს ამყარებს. ამასთან, თითოეულ მხარეს უნდა დაეკისროს იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მისთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია, ვიდრე მოწინააღმდეგე მხარისთვის. აღნიშნული წესის უგულებელყოფა დაარღვევდა შეჯიბრებითობის პრინციპს, რომლის თანახმადაც, მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. ამდენად, მტკიცების ტვირთის სწორად განაწილებას ინტელექტუალურსამართლებრივ დავაში არსებითი მნიშვნელობა აქვს სა-

<sup>30</sup> „უფლების კანონიერად გამოყენების შემთხვევაში უფლების მფლობელის მიერ მისაღები ფულადი თანხის ათმაგი ოდენობით“.

<sup>31</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 ივნისის №ას-280-264-2011 განჩინება.

მართლიანი სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისთვის და მის გარეშე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კერძო ერთი გარანტია სრულყოფილი ვერ იქნება.

**მტკიცების სტანდარტი პირადი არაქონებრივი  
უფლებების დაცვისა და სიტყვისა და გამოხატვის  
თავისუფლების კონკურენციისას**

**I. შესავალი**

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ხშირია დავა ღირსების, პატივისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფასთან და მათგან გამოწვეული მატერიალური თუ არამატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ასეთ დროს, პირადი არაქონებრივი უფლებების საპირისპიროდ დგას საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო შეთანხმებებით გარანტირებული პირის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება.

„ის, რომ ამგვარი ურთიერთსაპირისპირო ინტერესები შეიძლება არსებობდეს, რომელთა პრიორიტეტულობაზეც მუდმივი დისკუსია მიმდინარეობს, გასაკვირი არ არის.“<sup>1</sup> სასამართლომ უნდა დადგინოს, თუ რამდენად ჰქონდა ადგილი პირის არაქონებრივი უფლებების შელახვას და არსებობს თუ არა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი სხვათა უფლებების დასაცავად. ამისათვის სასამართლომ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორი და სამართლიანი გადანაწილების პირობებში უნდა განსაზღვროს მოსარჩელისა და მოპასუხის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტობრივი გარემოებები და ამის შედეგად კანონიერი გადაწყვეტილება მიიღოს.

1997 წლის 25 ნოემბერს ძალაში შესული საქართველოს სამოქალაქო კოდექსით სამოქალაქო ბრუნვის უმნიშვნელოვანეს ღირებულებად პირის არაქონებრივი უფლებები განისაზღვრა და მათი დაცვის სამართლებრივი მექანიზმები იქნა რეგლამენტირებული. 2004 წლის 24 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, რომლითაც ახლებურად ჩამოყალიბდა სამოქალაქო კოდექსის მიდგომები მხარეთა შორის გავრცელებული ფაქტების უსწორობის თაობაზე მტკიცების ტვირთის გადანაწილებასთან დაკავშირებით. პარალე-

<sup>1</sup> Bydliński P., Bürgerliches Recht Bd 1 AT, 5. Aktualisierte Aufl., 2010, 2/47 ff.

ლურად შეიცვალა სასამართლო პრაქტიკაც და უცხოური და საერთაშორისო სასამართლოების სტანდარტს უფრო დაუახლოვდა, მაგრამ ამავე ცვლილებებით მოსარჩელე მხარის მტკიცების ტვირთი დაძვირდა და რიგ საკითხებში პრაქტიკულად შეუძლებელიც კი გახდა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გაანალიზდეს პირადი არაქონებრივი უფლებებისა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებათა ადგილი სამოქალაქო კანონმდებლობაში და მათი ურთიერთმიმართება ამ უფლებათა კოლიზიისას. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმოა სასამართლო დავის განხილვისას მტკიცების ტვირთის გადანაწილების წარსულ და დღეს არსებულ საკანონმდებლო მოწესრიგებას, შეფასებული და გაკრიტიკებულია ქართული, უცხოური და საერთაშორისო კანონმდებლობისა და სასამართლოების მიდგომები პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კონკურენციის დავაში მტკიცების ტვირთის გადანაწილებასთან დაკავშირებით.

## II. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა კანონმდებლობაში

პიროვნული უფლებები პიროვნების არსებობიდან გამომდინარეობს, ეს სამართლებრივი კატეგორია პიროვნებასთან ყველაზე ახლოს დგას და მასთან განუყოფლად არის დაკავშირებული. ის ყველა ადამიანს ეკუთვნის მიუხედავად მისი ასაკისა, წარმომავლობისა, ეროვნებისა, რასისა თუ სხვა. „პიროვნული უფლების საკანონმდებლო რეგულაცია მეტად ზოგადი ხასიათისაა, მაგრამ დროთა განმავლობაში მოხდა მისი კონკრეტიზაცია საკანონმდებლო ცვლილებების, იურიდიული დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის მიერ.“<sup>2</sup>

„ადამიანის ღირსება ყველა ძირითადი უფლების საფუძველია. ადამიანის უფლებათა ბუნებითი წარმოშობის აღიარება სწორედ ადამიანის ღირსების აღიარებას გულისხმობს. ადამიანს რომ ღირსება აქვს, ამიტომაც გააჩნია სიცოცხლის, თავისუფლების, თანასწორობის, ბედნიერების და ღირსეული სიცოცხლის უფლებები. სწორედ ადამიანის ღირსებაში ძვეს უფლებათა ლეგიტიმურობის საფუძველი. შემთხვევითი არ არის, რომ ადამიანის უფლებათა არაერთ უნივერსალურ თუ რეგიონულ საერთაშორისო სამართლებ-

---

<sup>2</sup> იქვე, 2/46 ff.

ბრივ აქტში ადამიანის ღირსებას სპეციფიკური, სრულიად გამორჩეული როლი აქვს მიკუთვნებული ადამიანის უფლებათა შორის. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულის პირველივე დებულებაში გაცხადებულია, რომ დეკლარაცია ეყრდნობა „ადამიანის ხელშეუვალი, თანაარსი ღირსების, თანასწორობისა და განუყოფელი უფლებების აღიარებას“. ადამიანის „პატივი“, თავისი შინაარსითა და ფასეულობით, განსხვავებულია ადამიანის ღირსებისაგან. „პატივი“ გულისხმობს საზოგადოების მხრიდან ადამიანის მორალური თუ სხვა კრიტერიუმებით შეფასებას. „ადამიანის ღირსება“, როგორც ფასეულობა, მნიშვნელოვნად აღემატება „პატივის“ უფლებას, რომელიც, ფაქტობრივად, საზოგადოების თვალში ადამიანის რეპუტაციის დაცვას გულისხმობს.“<sup>3</sup>

დღევანდელ ინფორმაციულ საზოგადოებაში ამ ბუნებით უფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. პირადი სფეროს დაცვის სურვილი იგრძნობა ყველგან და სწორედ ამ სურვილმა განაპირობა საკანონმდებლო დონეზე პიროვნული უფლების დაცვის საჭიროება: ის სფეროები, რომლებიც ადამიანის ინდივიდუალობას განსაზღვრავენ განსაკუთრებული დაცვისა და ყურადღების ღირსია.

„პიროვნულობის უფლება ადამიანის არსებასთან ყველაზე ახლოს დგას და ის დაკავშირებულია მზარდ თვითშეგნებასთან და ცხოვრების თავისუფლად წარმართვასთან. მათი ღირებულება განისაზღვრება, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი შეხედულებებით და მეორე მხრივ, ჩვეულებებითა და მორალით. ამ თვალსაზრისით, პიროვნული უფლებები არც ბუნებითი უფლებებია და არც პოზიტიური სამართლით გადაცემული, ის ადამიანის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს და ინდივიდუალობას ამ შემთხვევაში ცენტრალური ადგილი უკავია.“<sup>4</sup>

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ტრადიციულად განასხვავებენ შინაგან და გარეგან, ასევე სუბიექტურ და ობიექტურ ღირსებას. პირის შინაგან ღირსებაა პირის ღირსების თვითშეგრძნება, ყურადღება საკუთარი თავისა და თვითგამოსახულების მიმართ. პირის გარეგანი ღირსება არის პირის მიმართ არსებული შეხედულებები და რეპუტაცია, დანახული საზო-

<sup>3</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 107.

<sup>4</sup> Peifer K., Individualität im Zivilrecht, Tübingen, 2001, 200.

გადეობის მიერ, ანუ ის თუ როგორ აღიქმება პირი სხვისი თვალთ. ღირსების მნიშვნელობის დასადგენად შინაგანი და გარეგანი ღირსების არსის გარკვევას ცენტრალური ადგილი უკავია. ღირსებისა და შეხედულებების დიფერენცირება დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის სამართლისათვის, რომლისგან განსხვავებით, ანგლოამერიკულ სამართალში გაბატონებულია მოსაზრება, რომ ღირსება სხვების მხრიდან პირის აღქმას მოიცავს.<sup>5</sup> სუბიექტურ და ობიექტურ ღირსებას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სუბიექტური ღირსება აღწერს პირის შესაძლებლობას, (შინაგანი და გარეგანი) ღირსება განისაზღვროს თვით ამ პირის მიერ, ხოლო ობიექტურის დროს კი იგი ობიექტური დამკვირვებლის თვალთ ფასდება.<sup>6</sup> სუბიექტურ და ობიექტურ ღირსებას უმეტესად დარღვევის ხასიათი და შემადგენლობა განაპირობებს<sup>7</sup>.

საყოველთაო ენობრივი და სოციალურ-სამეცნიერო დეფინიციის თანახმად, ღირსება არის პიროვნების სიტუაციური ქცევის სულიერი და ჩვეულებითი შეფასებისა და ცხოვრების სტილის ერთობლიობა.<sup>8</sup> ამისგან განსხვავებით, იურიდიულ ლიტერატურაში უდავოდ მიჩნეულია, რომ ღირსების შინაარსი ადამიანის დაბადებიდანვე არ მომდინარეობს<sup>9</sup>.

საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ პიროვნების ღირსება წარმოადგენს იმ ღირებულებას, რომლის შეფასების უნარი თვით ამ პირს აქვს და რომელიც საკუთარი მორალური თვისებების, საზოგადოებისადმი პასუხისმგებლობის, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასებას მოიცავს. პატივი წარმოადგენს იმ ღირებულებათა თვისებას, რომელიც პიროვნების ობიექტური საზოგადოებრივი შეფასებაა.<sup>10</sup>

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის კიდევ ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია საქმიანი რეპუტაცია. „საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება. პროფესია არის ხელობა, საქმიანობა, სპეციალობა, რომელსაც

---

<sup>5</sup> Peifer K., Individualität im Zivilrecht, Tübingen, 2001, 203, იხ. ციტირება: Kötz, Rechtsvergleichung, 705.

<sup>6</sup> Hirsch H., Ehre und Beleidigung, 1967, 15 f.

<sup>7</sup> Peifer K., Individualität im Zivilrecht, Tübingen, 2001, 203.

<sup>8</sup> იქვე, 201.

<sup>9</sup> Hubmann, Persönlichkeitsrecht, Böhlau Verlag, 1953, 291.

<sup>10</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის №ას-1174-1319-08 განჩინება.



გარკვეული მომზადება სჭირდება და რომლითაც ადამიანი თავს ირჩენს, ხოლო საქმიანი თვისებები, რომელსაც საქმიანი რეპუტაცია გულისხმობს, გააჩნიათ მათ, ვინც მონაწილეობს ეკონომიკურ (კომერციულ) საქმიანობაში.<sup>11</sup>

ცხადია, საჯარო სამართალს პიროვნულ უფლებებში ჩარევის წინააღმდეგ ძლიერი იარაღი აქვს. ამის საჩვენებლად, საკმარისია, მივუთითოთ თუნდაც სისხლის სამართლის დანაშაულების შემადგენლობებზე, რომლებიც ადამიანის ღირსებას, თავისუფლებას ანდა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს იცავენ. მაგრამ როგორ შეიძლება დავიცვათ პიროვნული არაქონებრივი უფლებები სამოქალაქო სამართლებრივი საშუალებებით? „ამისათვის, პირის განკარგულებაში უფლების დაცვის ინსტრუმენტების მთელი ნაკრები.“<sup>12</sup> „პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ დამრღვევის ბრალისაგან დამოუკიდებელი სამართლებრივი საშუალებები. ამგვარად, შემდგომი დარღვევების თავიდან ასაცილებლად შესაძლებელია აღიძრას სარჩელი ჩარევის აკრძალვის მოთხოვნით, ხოლო უკვე მომხრარი დარღვევის შემთხვევაში, მისი აღმოფხვრის მოთხოვნით. მეორე რიგში კი პირადი არაქონებრივი უფლებების ბრალეულად დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი.“<sup>13</sup> „გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის პატივი და ღირსება აბსოლუტურად დაცულ სიკეთეთა რიცხვს განეკუთვნება, უფლებამოსილ პირს შეუძლია დამრღვევის ბრალისაგან დამოუკიდებლად,<sup>14</sup> მისგან მოითხოვოს უფლების დარღვევის აკრძალვა ამგვარი საფრთხის შემდგომში არსებობის შემთხვევაში (მომავალში მსგავსი გამონათქვამების აკრძალვის მიზნით), ან მოითხოვოს უკვე გავრცელებულის უარყოფა.“<sup>15</sup>

გერმანული სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, დაცულია მხოლოდ პიროვნულობის ცალკეული ასპექტები და სამოქალაქო კოდექსით არ არის განსაზღვრული ყოველმომცველი ზოგადი პიროვნული უფლება. თუმცა მცდარია მოსაზრება, რომ ზოგადი პიროვნული უფლება ვერ მოიცავდა იმ შემთხვევას, როდესაც პირს არამატერიალური ზიანის ფულადი

<sup>11</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 18 ივლისის №3კ/376-01 გადაწყვეტილება.

<sup>12</sup> Zeiler, Persönlichkeitsschutz, 1998.

<sup>13</sup> Bydliński P., Bürgerliches Recht Bd 1 AT, 5. aktualisierte Aufl., 2010, 2/50 ff.

<sup>14</sup> Koziol, Haftpflichtrecht II 177.

<sup>15</sup> Bydliński P., Bürgerliches Recht Bd 1 AT, 5. aktualisierte Aufl., 2010, 2/56 ff.

სახით ანაზღაურება უნდა მოეთხოვება. „მოუხედავად ტექნიკური შესაძლებლობების ზრდისა, ზოგადმა პიროვნულმა უფლებამ არ დაუშვა პირადულ სფეროში შეღწევის საშუალება. სამოსამართლო სამართლის განვითარების შედეგად, ძირითადი კანონის 1.I (აღამიანის ღირსება) და 2.I მუხლებზე დაყრდნობით, ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ შექმნა ზოგადი პიროვნული უფლების გამოყენების შესაძლებლობა (BGH 13, 334).“<sup>16</sup>

ავსტრიის კანონმდებლობის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მედიის საშუალებით (რადიო, პრესა, ტელევიზია) გავრცელებული ცნობა პირის შესახებ შეურაცხმყოფელ ან ცილისმწამებლურ ინფორმაციას შეიცავს, მედიის დაწესებულების (გამომცემლობის) მფლობელი, მისი ბრალის მიუხედავად, ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი მაქსიმუმ 50 000 ევროს ოდენობით. უარყოფის მოთხოვნის შემთხვევაში კი მედიასაშუალების მფლობელი ვალდებულია ყოველგვარი სასყიდლის გარეშე უზრუნველყოს საწინააღმდეგო ცნობების გამოქვეყნება. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ „პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვა კვალიფიციურ საჯაროობაში უფრო მეტად ექცევა ყურადღების ქვეშ და უფლებადარღვეული პირისათვის უფრო მეტად არასასიამოვნოა. ამ გამკაცრებული რეგულაციების უკან ზოგადპრევენციული მოსაზრებები დგას“<sup>17</sup>.

ეს სფერო განსაკუთრებით სენსიტიურია მაშინ, როდესაც საქმე სისხლისსამართლებრივ დევნასა და საგამოძიებო მოქმედებებს ეხება. პირს დანაშაულის ჩადენა არასწორად იშვიათად შეიძლება დაბრალდეს. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება მაშინ, როდესაც პრესაში წარმართული განსჯის შემდეგ ამ პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოვა. ავსტრიის მედიის კანონის მე-10 პარაგრაფის თანახმად, „ასეთ შემთხვევაში, გამართლებულ პირს უფლება აქვს მიიღოს ყოველგვარი ცნობა, რომელიც მის შესახებ მედიის საშუალებით გავრცელდა და რეაბილიტაციის შემდეგ საჯაროდ, იმავე ფორმით მოითხოვოს გავრცელებული ინფორმაციის უაროფა და გამამართლებელი განაჩენის შესახებ საზოგადოების ინფორმირება“ (MedG §10). ასევე დაუშვებელია, მსჯავრდებული პირი გახდეს საზოგადოებრივი განსჯის ობიექტი იმის გამო, რომ გამოცემა სენსაციური გამოდგეს. ამ პირს უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მის შესახებ უარყოფითი ცნობების გავრცელების გამო, როდ-

<sup>16</sup> Köhler H., BGB AT, 31. Aufl., München 2007, 258.

<sup>17</sup> Bydliński P., Bürgerliches Recht Bd 1 AT, 5. aktualisierte Aufl., 2010, 2/57 ff.

საც პირადი მონაცემების გამოქვეყნებით მისი კანონიერი ინტერესი შეი-  
ლახა და ამასთან, ამ მონაცემების პუბლიკაციის დამაჯერებელი ინტერესი  
არ არსებობს. „აქვე საგულისხმოა ისიც, რომ დაცული უნდა იყოს უდანა-  
შაულობის პრეზუმცია: ის ვინც ჯერ არ გასამართლებულა, არ შეიძლება  
არსებითად გამტყუნებულად მივიჩნიოთ.“<sup>18</sup>

როგორც ცნობილია, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი პირადი არა-  
ქონებრივი უფლებების რიცხვში მოიაზრებს პირის უფლებასაც საკუთარ  
გამოსახულებაზე. აღნიშნული, პირველ ყოვლისა, ფოტოგრაფიებს, ნახ-  
ატებსა და ფოტომონტაჟებს ეხება.<sup>19</sup> მსგავს მთხოვნებს ადგენს საავტო-  
რო უფლებების შესახებ კანონმდებლობა პირის უფლებაზე საკუთარ გამო-  
სახულებასთან დაკავშირებით.<sup>20</sup> პირის თანხმობის გარეშე დაუშვებელია  
არა მხოლოდ მისი გამოსახულების გამოქვეყნება, არამედ მისი საჯაროდ  
აკრძალვაც. ამგვარი ბარიერი გამოიყენება მხოლოდ „ჩვეულებრივი მოქა-  
ლაქეებისათვის“. რაც შეეხება ცნობილ პიროვნებებს, ასეთ შემთხვევაში,  
შეფასება უნდა მოხდეს ინფორმაციისა და ცნობების მიღების ინტერესთან  
შედარებით. საბოლოოდ, ეს საკითხი დამოკიდებულია იმაზე, სურათზე  
გამოსახული პირი გამოსახულების გავრცელების შემდეგ დარჩა თუ არა  
დაუცველი, გახდა თუ არა ხელმისაწვდომი მისი პირადი ცხოვრება ცნო-  
ბილი პირთა ფართო წრისთვის ან მისი სურათი გაურკვეველი, ღირსების  
შემლახველი სახით იქნა წარმოჩენილი.<sup>21</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილით  
დაცულია პირის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, რომელთა  
დარღვევის შემთხვევაშიც, სასამართლოს მეშვეობით, კანონმდებლობით  
დადგენილი წესით, პირს შეუძლია თავისი პიროვნული უფლებები ხელყო-  
ფისაგან დაიცვას.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი პირად არაქონებრივ  
უფლებათა დაცვის სამოქალაქოსამართლებრივი საშუალებაა, რომლის თა-  
ნახმადაც, თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი

---

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> OGH ÖBI 1995, 233.

<sup>20</sup> Bydliński P., Bürgerliches Recht Bd I AT, 5. aktualisierte Aufl., 2010, 2/58 ff.;  
შეადარეთ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 8 ნოემბრის №ას-  
370-352-2013 განჩინება.

<sup>21</sup> OGH SZ 64/89.

ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც ამავე საშუალებებით უნდა მოხდეს. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს. იმ შემთხვევაში კი, თუ ხელყოფა მოხდა ბრალეულად, პირს, ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, შეუძლია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაც მოითხოვოს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართული და კონტინენტური ევროპის სამართალი ადამიანის პირად არაქონებრივ უფლებებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და შესაბამისად, მათი დაცვის სამართლებრივ მექანიზმებსაც განამტკიცებს. იცავს რა, სამოქალაქო კოდექსი პირის პატივს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას, იმის შესაძლებლობას უშვებს, რომ მან სასამართლო წესით მოითხოვოს თავისი არაქონებრივი უფლებების დაცვა დარღვევის აღკვეთისა და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გზით.

### **III. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი კატეგორია**

გამოხატვის თავისუფლება საჯაროსამართლებრივი კატეგორიაა და საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლში არის განმტკიცებული. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით. „გამოხატვის თავისუფლება უნივერსალური ღირებულების ძირითადი უფლებაა, რომელიც საფუძვლად უდევს სხვა უფლებებს. იგი დემოკრატიული საზოგადოების სრულფასოვნად ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა. ამ უფლებისთვის არ არსებობს ვიწრონაციონალური სახელმწიფოებრივი ფარგლები და თავისი ზენაციონალური ბუნებით მოიცავს ყველა ადამიანს თავისი მოქალაქეობის მიუხედავად.“<sup>22</sup> ეს უფლება სამოქალაქო კანონმდებლობაში 2004 წლის 24 ივნისს მიღებულ „სიტყვისა და გამოხ-

---

<sup>22</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2013, 253.

ატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში აისახა და გამოხატვის თავისუფლების ცნებაში ფაქტისა და აზრის ელემენტები გამოკვეთა.

„უფლებით დაცულ სფეროს მიეკუთვნება აზრის შეხედულებების გამოთქმა. აზრი არსობრივად ფართოდ უნდა გავიგოთ. იგი მოიცავს შეფასებით მსჯელობებს (გამონათქვამებს) და „ფაქტობრივ გარემოებებს“ („ფაქტებს“), როცა ისინი აზრის ჩამოყალიბების წინაპირობას წარმოადგენენ.“<sup>23</sup> „ფაქტში“ იგულისხმება ნამდვილად, რეალურად მომხდარი ან არსებული გარემოებები და საგნები. „ფაქტები არის ის გარემოებები, რომელთა გადამოწმებაც ობიექტურად შესაძლებელია.“<sup>24</sup> „აზრის“ ცნების ქვეშ იგულისხმება ნებისმიერი შეფასებითი გამონათქვამი, რომელიც შედგება განსჯის, დამოკიდებულებისა და შეფასების ელემენტებისაგან და რომლის მართებულობა თუ მცდარობა მთლიანად პირად წარმოდგენებზეა დამოკიდებული. აზრი შეიცავს არა მარტო შეფასებით, არამედ აგრეთვე ფაქტობრივ ელემენტებსაც. ამიტომ გამონათქვამებში თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა ფაქტებს, ფაქტები კი აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მას. აღნიშნულის გამო, აზრის თავისუფლების ძირითადი უფლებით დაცვის ქვეშ მთლიანი გამონათქვამი ექცევა.“<sup>25</sup>

„სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. სწორედ ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია.“<sup>26</sup>

---

<sup>23</sup> ზოიძე ბ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი, 2013, 253, იხ. ციტირება: Jarss/Pieroth. Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 5. Auflage, München, 2000, 173.

<sup>24</sup> OGH SZ 50/11.

<sup>25</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 24 აპრილის №3კ-1240-02 გადაწყვეტილება.

<sup>26</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის №ას-1278-1298-2011 გადაწყვეტილება.

გამონათვის თავისუფლების ამგვარ დაყოფას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგან „მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია, ამიტომ არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დაევალოს. შეფასებითი მსჯელობის სიმართლის დამტკიცება გადაუჭრელი ამოცანაა. ფაქტის არსი შეიძლება დემონსტრირებულ იქნეს, მაგრამ შეფასებითი მსჯელობის სიმართლე არ შეიძლება მტკიცების საგანი იყოს.“<sup>27</sup> „ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით.“<sup>28</sup>

გამონათვის თავისუფლების ამგვარი გაგება გაიზიარა „სიტყვისა და გამონათვის თავისუფლების“ შესახებ კანონმაც. კანონის 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს. კანონის ამგვარ მიდგომას ის პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით და არავის ევალება საკუთარი მოსაზრებებისა და შეხედულებების მტკიცების ვალდებულება. კანონი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ დაწესდეს სიტყვისა და გამონათვის თავისუფლებაზე შინაარსობრივი მოწესრიგება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს ცილისწამებას, უხამსობას,<sup>29</sup> პირისპირ შეურაცხყოფას, დანაშაულის ჩადენისკენ მოწოდებას, მუქარას ან არსებობს საშიშროება იმისა, რომ გახმაურდება პერსონალური, კომერციული ან სახელმწიფო საიდუმლოება<sup>30</sup>.

---

<sup>27</sup> *Lingens v. Austria*, [ECtHR], App. no. 9815/82, 8.07.1986, Para.45.

<sup>28</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის №ას-1278-1298-2011 გადაწყვეტილება.

<sup>29</sup> „სიტყვისა და გამონათვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, უხამსობა განმარტებულია, როგორც განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს.

<sup>30</sup> „სიტყვისა და გამონათვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ამგვარი ფართო გაგება გარკვეულწილად აკნინებს პატივისა და ღირსების მნიშვნელობას, რადგან კანონმდებლობით მოსაზრებების აბსოლუტური დაცვა მაშინ, როდესაც ფაქტებისა და მოსაზრებების გამოიჯვნა ძალიან რთულია, პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის მოსარჩელის მხრიდან საკუთარი უფლებების დაცვას მანამდე, სანამ ის არ დაადასტურებს, რომ ადგილი ჰქონდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას. აქვე უნდა გამოვყოთ შემთხვევა, როდესაც მოსაზრება ემყარება ფაქტს, რა დროსაც გამოთქმული აზრი არ უნდა მოექცეს იმავე დაცვის სტანდარტში, როგორც ეს სუფთა სახით გამოხატული მოსაზრების შემთხვევაშია, რადგან ასეთ ვითარებაში არსებობს ნამდვილი ფაქტების დამახინჯების საშიშროება.

#### **IV. მტკიცების პრობლემები პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კონკურენციისას**

საქართველოს კონსტიტუცია მე-17 მუხლში, ერთი მხრივ, განამტკიცებს ადამიანის პატივისა და ღირსების ხელშეუვალობას, როგორც აბსოლუტურ უფლებას, ხოლო, მეორე მხრივ კი, 24-ე მუხლში საკონსტიტუციო მნიშვნელობას ანიჭებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, რომელიც ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შეიძლება შეიზღუდოს, თუ ეს აუცილებელია სხვათა უფლებების დასაცავად. ზემოთ აღნიშნული მაგალითიდან ჩანს, რომ ეს ორი უფლება ხშირად იკვეთება და ერთმანეთთან კოლიზიაში მოდიან. ასეთ შემთხვევაში, ერთ მხარეს დგას პირის ისეთი არაქონებრივი უფლებები, როგორიცაა პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია, ხოლო მეორე მხარეს კი – პირის უფლება ისარგებლოს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით. ამის მაგალითად იურიდიულ ლიტერატურაში მოტანილია ცხოველთა უფლებების დამცველი ორგანიზაციის “PETA”-ს საქმე. მათ ერთ-ერთ საგაზეთო გამოცემაში დაბეჭდეს საკონცენტრაციო ბანაკში მყოფი ადამიანების შოკისმომგვრელი სურათები სათაურით – „ჰოლოკოსტი თქვენს თეფშებზე“. ისინი განასახიერებდნენ ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობის სცენებს. უზუნაესი სასამართლოს პალატამ ვერ დაინახა ჩარევა ებრაელების ღირსებაში და აღნიშნა, რომ ცხოველთა უფლებების დაცვის ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე,

ღირსების უფლებასთან შედარებით, აზრის გამოხატვის თავისუფლება დაცვის უპირატეს ღირსად იქნა მიჩნეული<sup>31</sup>.

უფლებათა კოლიზიისას საგულისხმოა არა მხოლოდ უფლებაში ჩარევის მატერიალური შინაარსის განსაზღვრა და ამის მიხედვით მისი ლეგიტიმურობის დადგენა, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვანია შედეგამდე მისაღწევი პროცესუალური გზაც. აღნიშნულის ქვეშ იგულისხმება იმ საკანონმდებლო მოწესრიგების შინაარსის სწორი შეფასება, რომელიც იმ ფაქტებისა და გარემოების დადგენას განსაზღვრავს, რომლებიც სარჩელის საგანს, მტკიცებულებათა წრეს შეადგენენ და რომლებსაც მოსარჩელე და მოპასუხე უთითებენ საბოლოოდ, მათ საფუძველზე მტკიცების მხარეთა შორის გადანაწილებას. 2004 წლის 24 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მტკიცების ტვირთი ფაქტების უსწორობასთან და ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნასთან დაკავშირებით გადავიდა მოსარჩელეზე, რამაც შედარებით გაართულა მისი პროცესუალური მდგომარეობა.

## 1. მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები და მტკიცებულებები

„მტკიცების საგანს შეადგენენ ის ფაქტები, რომელზედაც მოსარჩელე და მოპასუხე ამყარებენ თავიანთ სასარჩელო მოთხოვნებსა და სარჩელის წინააღმდეგ მიმართულ შესაგებელს.“<sup>32</sup> მოცემულ შემთხვევაში სარჩელი საფუძვლიანია, თუ სახეზეა შემდეგი კუმულაციური პირობები: 1. თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ; 2. ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღდა; 3. განცხადებული ფაქტის მცდარობა მოპასუხისათვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, რამაც გამოიწვია არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება.<sup>33</sup>

---

<sup>31</sup> Bydlinski P., Bürgerliches Recht Bd 1 AT, 5. aktualisierte Aufl., 2010, 2/47 ff, იხ. ციტირება: JBl, 2007, 574.

<sup>32</sup> ლილუაშვილი თ., ზრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, მეორე შესწორებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2007, 200.

<sup>33</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 16 მაისის №ას-810-1129-07 განჩინება.



გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ მკაცრ და თავისუფალ მტკიცებულებებს. მკაცრ მტკიცებასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც გარემოება არ შეიძლება დადასტურდეს იმისგან განსხვავებული მტკიცებულებით, ვიდრე ეს საპროცესო კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. რაც შეეხება თავისუფალ მტკიცებას, იგი კანონით დადგენილი მტკიცებულებების რიცხვით არ არის შემოფარგლული.<sup>34</sup> „მტკიცებულებათა შეფასება გამომდინარეობს იქედან, თუ რამდენად რელევანტურია ისინი საქმისადმი. აღნიშნულიდან გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც მაგალითად, მტკიცებულება წარმოდგენილია ზოგადი პიროვნული უფლების დარღვევასთან დაკავშირებით და ძირითადი უფლების დაცვის ინტერესი მტკიცებულებათა გამოყენების ინტერესს აღემატება.“<sup>35</sup> ასეთ შემთხვევაში, მტკიცებულებათა შეფასება მიმდინარეობს თავისუფალი მტკიცების პირობებში და დასაშვებია ნებისმიერი სახის მტკიცებულება. „სხვა შემთხვევებში მტკიცებულებათა შეფასება ხდება ჩვეულებრივი მტკიცების პროცესის მიხედვით.“<sup>36</sup>

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იმ გარემოებათა დამტკიცება, რომელსაც ემყარება მოთხოვნა თუ შესაგებელი, შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტიზის დასკვნით. „ამავე მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით, კანონით არ არის დადგენილი, რომ პატივის, ღირსების, რეპუტაციის შელახვის ფაქტები უნდა დადასტურდეს კონკრეტული მტკიცებულებებით; ამდენად, აღნიშნული ღირებულებების შელახვის ფაქტი შეიძლება დადასტურდეს ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებათა სახეების მეშვეობით, მათ შორის, თვით მოსარჩელის ახსნა-განმარტებითაც. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ მხარეთა ახსნა-განმარტების ის ნაწილი წარმოადგენს მტკიცებულებას, რომელიც საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობა არარსებობას ადასტურებს. ამასთან, მხარეთა ახსნა-განმარტებები უნდა შეფასდეს სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში,

<sup>34</sup> Lüke W., Zivilprozessrecht, 10. Aufl., München, 2011, 259 ff.

<sup>35</sup> BVerfG NJW 2002, 3619; Münch-Komm/Prütting §284Rn, 64 ff.

<sup>36</sup> Lüke W., Zivilprozessrecht, 10. Aufl., München, 2011, 267ff.

რა დროსაც გასათვალისწინებელია კონკრეტული სამართალურთიერთობის სპეციფიკა.<sup>37</sup>

ქართული კანონმდებლობა პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ დავებში გერმანული საპროცესო კანონმდებლობის მსგავსია და მტკიცებულებათა წინასწარ დადგენილი წრით არ არის შემოფარგლული. მოსარჩელეს უფლება აქვს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დააფუძნოს საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ნებისმიერ მტკიცებულებას, რადგან არც მატერიალური და არც საპროცესო კანონმდებლობა ასეთი სახის დავებში არ ითვალისწინებს სპეციალური მტკიცებულების არსებობის აუცილებლობას.

## 2. მტკიცების ტვირთის გადანაწილების პრობლემები

2004 წლის 24 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონი, რომლითაც დადგინდა ახალი მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტი. ამის პარალელურად, ცვლილებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილში, რომლის ძველი რედაქციაც ადგენდა დღევანდელისაგან რადიკალურად განსხვავებულ მტკიცების ტვირთის გადანაწილებას და რომელიც არ შეესაბამებოდა იმ მტკიცებით სტანდარტს, რომელიც დადგენილი იყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და უცხო ქვეყნის სასამართლოების მიერ.

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად შეიცვალა ძველი სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც ხშირ შემთხვევაში მტკიცების ტვირთის არასწორ ბალანსს ადგენდა და წინ გადაიდგა ნაბიჯი სასამართლო პრაქტიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის დანაწესთან, ასევე საერთაშორისო მტკიცებით სტანდარტებთანაც შესაბამისობაში მოყვანის საკითხში. თუმცა მაგრამ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დაცვის პარალელურად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა მტკიცების თვალსაზრისით არსებითად გათუღდა.

---

<sup>37</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის №ას-1174-1319-08 განჩინება.

## 2.1. მტკიცების ტვირთის გადანაწილება ქართული კანონმდებლობის მიხედვით

2004 წლის 24 ივნისს, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის ამოქმედების პარალელურად ცვლილება შევიდა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის ძველი რედაქცია ადგენდა, რომ პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეესაბამება. იგივე წესი გამოიყენება ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნებისათვის, თუკი ამით ილახება პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია.<sup>38</sup> ძველი საკანონმდებლო მოწესრიგება მტკიცების ტვირთს ცალსახად მის გამვრცელებელს (მოპასუხეს) აკისრებდა, მას უნდა ემტკიცებინა, რომ მის მიერ გავრცელებული ცნობები მოსარჩელის თაობაზე იყო სწორი, სინამდვილესთან შესაბამისი და ეს ცნობები შესაბამისი მტკიცებულებებით გაემყარებინა. ცხადია, ამგვარი მოწესრიგება შესაბამისობაში არ იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებთან, რომლის თანახმადაც, ყოველმა მხარემ უნდა ამტკიცოს ის ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც თავის სასარჩელო მოთხოვნას ამყარებს. ამ სტანდარტით სწორედაც მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ცნობების მცდარობა და არა მისმა გამვრცელებელმა.

2004 წლის 24 ივნისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად,<sup>39</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 18-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან. სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებულ იქნა მტკიცების ტვირთზე მითითება და იგი სრულიად განსხვავებული

<sup>38</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის 2004 წლის 26 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებამდე არსებული რედაქცია იხ., <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=0>> [2.05.2015]

<sup>39</sup> <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33220#>> [02.05.2015]

შინაარსით გადავიდა „სიტყვისა და გამონათვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლში. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა უტყუარ მტკიცებულებებს უნდა ემყარებოდეს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი, ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შეზღუდვისას ყოველგვარი ეჭვი, რომელიც კანონით დადგენილი წესით ვერ დადასტურდება, ამ უფლებების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ უნდა გადაწყდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი მტკიცებითი სტანდარტით, მოსარჩელე ვალდებული გახდა, გავრცელებული ფაქტების უსწორობა უტყუარი მტკიცებულებებით ემტკიცებინა.

კანონის ეს ნორმა, რომლის თანახმადაც, მტკიცების ტვირთი ძველი მოწესრიგებისგან გასხვავებით, შებრუნებულია მოსარჩელისაკენ, ერთი მხრივ, ქმნის სიტყვის და გამონათვის თავისუფლების მნიშვნელოვან გარანტიას, თუმცა, მეორე მხრივ, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვას ართულებს. „თუ ადრე მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მიხედვით, მოპასუხე იყო ვალდებული, ემტკიცებინა გავრცელებული ცნობების სინამდვილე, ახალი კანონის თანახმად, ეს წესი შებრუნებულია და ახლა მოსარჩელეა ვალდებული, ამტკიცოს მის მიმართ გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შეუსაბამობა. აღსანიშნავია, რომ მსგავსი საკანონმდებლო ნორმები ძირითადად დასავლურ, განსაკუთრებით კი აშშ-ს სამართლებრივ სისტემაშია დამკვიდრებული.“<sup>40</sup> „სიტყვისა და გამონათვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიხედვით, ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არსებობს სასამართლოში საქმის განხილვისას, უნდა გადაწყდეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ. „ეჭვი შეიძლება ეხებოდეს მრავალ საკითხს, მათ შორის: ა) კერძო ან საჯარო პირის სტატუსის მინიჭების საკითხს; ბ) საზოგადოებრივი ყურადღების ან ცნობისმოყვარეობის სტატუსის მინიჭების საკითხს; გ) აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხს.“<sup>41</sup> სწორედ ამ უკანასკნელმა გახდა მოსარჩელის პოზიცია მტკიცების პროცესში განსაკუთრებით რთული, რამეთუ აზრისა და ფაქტის განსხვავება ხშირად ძალიან რთულია, ხოლო მოსარჩელის პირადი არაქონებრივი უფლება კი დაუცველი რჩება.

<sup>40</sup> კოტეტიშვილი ი., გამონათვის თავისუფლება, ტ.2, გამონათვის თავისუფლება საქართველოში, თბილისი, 2005, 20.

<sup>41</sup> იქვე, 32.

მტკიცების ტვირთის გადანაწილების ეს მიდგომა გაზიარებულია კანონის მე-13 მუხლშიც, რომელიც არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადების გავრცელებისათვის პასუხისმგებლობას აწესებს. მითითებული ნორმის თანახმად, პირს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება კერძო პირის ცილისწამებისათვის, თუ მოსარჩელე სასამართლოში დაამტკიცებს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს უშუალოდ მოსარჩელის შესახებ და ამ განცხადებით მოსარჩელეს ზიანი მიაღვა. ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელეს შეიძლება მოუწიოს ისეთი ფაქტების არარსებობის მტკიცება, რომელიც საერთოდ არც არსებობდა, ასეთი კუთხით ფაქტების დამტკიცება კი ფაქტობრივად მტკიცების ტვირთისათვის თავის გართმევას გამოიცხავს.

საგულისხმოა მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე არ გაამხელს იმ წყაროს, საიდანაც მან ფაქტების გავრცელებისას იხელმძღვანელა, ეს არ არის მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. მოცემული ნორმა მიზანშეწონილია განვიხილოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილთან მიმართებით. თუ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს მბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე. ვფიქრობ, მართალია, მოპასუხის მიერ ინფორმაციის წყაროს გამხელაზე უარი არ არის ავტომატურად მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, მაგრამ მოსარჩელის მიერ აღნიშნული საპროცესო უფლების გამოყენებისა და მტკიცებულების მოპასუხისაგან გამოთხოვის შემთხვევაში, იგი სასამართლოს დავალებით ვალებული ხდება, აღნიშნული მტკიცებულება წარმოადგინოს, ხოლო წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ეს ფაქტი დადასტურებულად მიიჩნევა და მოპასუხეს ამ ფაქტის სისწორის მტკიცება დაევალება.

## 2.2. მტკიცების სტანდარტი ქართული, უცხოური და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკაში 2.2.1. ქართული სასამართლო პრაქტიკა

პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით, ქართული სასამართლო პრაქტიკა არც თუ ისე მწირია. ვხვდებით გადაწყვეტილებებსაც, რომლებშიც მტკიცების ტვირთის გადანაწილებასთან დაკავშირებული საკითხები განმარტებულია. ამ კუთხით მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება 2004 წლის 24 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებებამდე და მის შემდეგ.

„ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციისა და განსაკუთრებით ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ვ. ასათიანის სარჩელს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2-ის“, გადაცემა „60 წუთის“ წამყვანის ა. გოგიჩაიშვილისა და ი. კერესელიძის წინააღმდეგ. მოსარჩელე ვ. ასათიანის სარჩელის მიხედვით, 2001 წლის 1 აპრილს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-მა და ა. გოგიჩაიშვილმა გადაცემა „60 წუთის“ მეშვეობით საჯაროდ გაავრცელეს მოსარჩელის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ინფორმაცია. მოსარჩელის აზრით, მოპასუხებმა: ი. კერესელიძემ და გადაცემის ავტორმა ა. გოგიჩაიშვილმა გადაცემაში მოსარჩელე დაადანაშაულეს ორი ადამიანის მკვლელობაში, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობასა და სახელმწიფო კრედიტის არამიზნობრივად გამოყოფაში.“<sup>42</sup>

„...პრეცედენტის გამოყენებით საოლქო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ: „...კერესელიძის მიერ გავრცელებული ყველა განცხადება ცნობებია ფაქტების შესახებ, რომელსაც სჭირდება მტკიცება. სინამდვილესთან შესაბამისობის მტკიცების ტვირთი კი იმავე ლინგუისის საქმეზე დადგენილი სტანდარტით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ეკისრება მის გამავრცელებელს... საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ „მოპასუხეთა მიერ გავრცელე-

<sup>42</sup> კორკელია კ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, თბილისი, 2002, 90.

ბული ცნობები ფაქტების შესახებ ამკარად ლახავს ვალერი ასათიანის პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას, ვინაიდან ისინი შეიცავენ მტკიცებას მოსარჩელის მიერ კანონის, მორალის ნორმების დარღვევისა და უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ, რაც იმაში გამოიხატება, რომ მოპასუხეებმა ვ.ასათიანს ბრალი დასდეს უმძიმეს დანაშაულთა - რიტუალური მკვლელობის, უცხო ქვეყნის სპეც-სამსახურებთან თანამშრომლობის, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და უფლებამოსილების გადამეტებაში. მოპასუხეებმა ვერც ერთი მტკიცებულებით ვერ უზრუნველყვეს მათი ვერსიის სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცება.“ საოლქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „რუსთავი-2-ისა“ და ჟურნალისტ ა. გოგიჩაიშვილის მიერ „ტენდენციურად იქნა გაშუქებული ირაკლი კერესელიძის ზემოაღნიშნული ვერსია, რაც იმაში გამოიხატება, რომ ა. გოგიჩაიშვილმა ცნობებს თავისი დასკვნებით შესძინა დამაჯერებლობა და საზოგადოებას მიაწოდა როგორც უტყუარი და დადასტურებული ფაქტები, რითაც შელახა ვალერი ასათიანის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია.“<sup>43</sup>

საოლქო სასამართლომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების (*„ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“*) საფუძველზე აღნიშნა, რომ ვ. ასათიანის მიმართ გაკეთებული განცხადებები, სასამართლოს აზრით, „...არის ცნობები ფაქტების შესახებ, რაც დამტკიცებას ექვემდებარება და რომლის სინამდვილესთან შესაბამისობის მტკიცების ვალდებულება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ლინგენსის საქმეზე დადგენილი სტანდარტის მიხედვით, ეკისრება მის გამავრცელებელს.“ საოლქო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ „დასახელებული პრეცედენტის მიხედვით: „ჟურნალისტები ასეთ შემთხვევაში ვერ გაექცვიან სასამართლოს მიერ დამნაშავედ ცნობას, თუკი ისინი ვერ დაამტკიცებენ თავიანთი განცხადებების სიმართლეს.“<sup>44</sup>

საოლქო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში დაეყრდნო არა მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის<sup>45</sup> მოთხოვნებს, არამედ განაცხადა ისიც, რომ მტკიცების ტვირთის დაკისრებას ცნობების გამვრცელებლისათვის, ითვალისწინებდა ადამიანის უფლება-

---

<sup>43</sup> იქვე, 91.

<sup>44</sup> იქვე, 92.

<sup>45</sup> ივულისხმება 2004 წლის 24 ივნისამდე არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება.

თა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც („ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ“). აღსანიშნავია, რომ საოლქო სასამართლოს ამგვარი შეფასება ადამინის უფლებათა ევროპული სასამართლოს მითითებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით არასწორია. მითილებულ დავაში საქმის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ლინგენსმა, რომელიც ვენის ერთ-ერთი გაზეთის ჟურნალისტი იყო, 1975 წლის ოქტომბერში, ავსტრიის მთავარი არჩევნების შემდეგ გამოაქვეყნა ორი სტატია, სადაც აკრიტიკებდა არჩევნებში გამარჯვებულ ფედერალურ კანცლერ ბრუნო კრაისკის. კრიტიკა ეხებოდა კანცლერის გადაწყვეტილებას, კოალიცია შეექმნა იმ პარტიასთან, რომელსაც ნაცისტური წარსულის მქონე ადამიანი ხელმძღვანელობდა. სტატიაში მხილებული იყო კანცლერის მიერ ყოფილი ნაცისტებისათვის სისტემატური პოლიტიკური თანადგომის გაწევის მცდელობაც. კანცლერის საჩივრის საფუძველზე, ავსტრიის სასამართლოებმა ეს განცხადებები შეურაცხყოფლად მიიჩნიეს და ჟურნალისტი 15 000 შილინგით დააჯარიმეს ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე პარაგრაფის<sup>46</sup> საფუძველზე. ამავე პარაგრაფის მე-3 პუნქტით დადგენილი სტანდარტით, რომელიც ფაქტების სისწორის მტკიცების ტვირთს მის გამტკიცებელს აკისრებდა, ეროვნულმა სასამართლოებმა გადაწყვიტეს, რომ ჟურნალისტმა ვერ შეძლო დაემტკიცებინა თავისი ბრალდების სიმართლე. „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეში დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა და განმარტა, რომ ავსტრიის სასამართლოების მიდგომა მცდარი იყო, რადგან მოსაზრების (შეფასებითი მსჯელობის) ფაქტებით დამტკიცება შეუძლებელია; ამიტომ, არც ის შეიძლება, რომ ვინმეს ამ მოსაზრებების სისწორის დამტკიცება დაევალოს.“<sup>47</sup> „ავსტრიის სასამართლოების მიდგომა ფაქტების სიზუსტის მტკიცებასთან და გამოხატვის კავშირებით სასამართლომ არასწორად მიიჩნია. სასამართლომ საზგასმით აღნიშნა „ფაქტებსა“ და „შეფასებით მსჯელობებს“ შორის არსებული განსხვავება და დასძინა, რომ „შეფასებითი მსჯელობის“ სიმართლის დამტკიცება გა-

<sup>46</sup> „ნებისმიერი პირი, რომელიც მესამე პირს ბრალს სდებს მისი თანამდებობრივი მდგომარეობისათვის შეუფერებელი ფორმით ან დამოკიდებულებით, პატივისა და ღირსების საწინააღმდეგო მოქმედებით ან ისეთი ფორმით, რომელიც შეურაცხყოფს ან ამცირებს მას საზოგადოების წინაშე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით არა უმეტეს ექვსი თვისა ან ჯარიმით.“

<sup>47</sup> *Lingens v. Austria*, [ECtHR], App.no. 9815/82, 8.07.1986, Para.45.



დაუჭრელი ამოცანაა.“<sup>48</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ლინგენსის განცხადებები მიიჩნია მოსაზრებებად და ამდენად, მათი სინამდვილესთან შესაბამისობის დამტკიცების საკითხიც ლინგენსს არ დააკისრა. საოლქო სასამართლოს მითითება მტკიცების ტვირთის ამგვარ გადანაწილებაზე არასწორია იმდენად, რამდენადაც გამგრცვლებლისათვის მის დაკისრებას ითვალისწინებდა ეროვნული კანონმდებლობა, კერძოდ კი სისხლის სამართლის კოდექსი და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში არც კი ყოფილა სასამართლოს მიერ გაკეთებული შეფასება იმის თაობაზე, რომ გავრცელებული ცნობების სისწორე გამგრცვლებელს უნდა ემტკიცებინა. ამასთან, დაუშვებელი იყო ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის გადანაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ მტკიცების ტვირთთან გაიგივება. „მართალია, გარკვეულ შემთხვევებში, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობებსა და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებს შორის შესაძლოა თანხვედრა არსებობდეს, მაგრამ განსახილველ საქმეში მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე სამოქალაქო სამართლის პრინციპებით უნდა განხილულიყო“  
... „პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა დამოუკიდებელ სამართლებრივ შეფასებას მოითხოვდა იმ კრიტერიუმებისა და მტკიცების სტანდარტის საფუძველზე, რაც განსხვავდებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების გამოსაყენებელი კრიტერიუმებისა და სტანდარტებისაგან.“<sup>49</sup> საოლქო სასამართლოს მხრიდან არასწორი იყო სისხლის სამართლის შემადგენლობით დადგენილი მტკიცების სტანდარტის სამოქალაქო პროცესში გადმოტანა და მათი ერთმანეთთან გაიგივება.

საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, შეიცვალა სასამართლო პრაქტიკაც და უზენაესი სასამართლოს პრეცედენტებში ვხვდებით, რომ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს, მოსარჩელეა ვალდებული ამტკიცოს, რომ მოპასუხის განცხადება შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს

---

<sup>48</sup> იქვე, Para.46.

<sup>49</sup> Ringvold v. Norway,[ECtHR], App. no. 34964/97, 11.02.2003, Para.38; აბესაძე დ., დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი სამოქალაქო საპროცესო სამართალში – ეროვნული პრაქტიკა და საერთაშორისო გამოცდილება, სტუნდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბილისი, 2014, 17.

მის შესახებ, ამ განცხადებით მას მიაღვა ზიანი და მოპასუხე ბრალეულად მოქმედებდა.“<sup>50</sup>

## 2.2.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეთა შორის, რომლებიც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი არაქონებრივი უფლებების კონკურენციას ეხებოდა, ზემოთნახსენები ლინგენსის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. გარდა ამისა, ყურადსაღებია ევროპული სასამართლოს კიდევ რამდენიმე გადაწყვეტილება, რომლებშიც საუბარია მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხებზე.

ამ მხრივ, საინტერესოა გადაწყვეტილება საქმეზე „ტორგეირ ტორგეისონი ისლანდიის წინააღმდეგ“. ტორგეირ ტორგეისონმა პრესაში გააკეთა განცხადება, რომელიც ისლანდიაში გავრცელებულ პოლიციურ სიმხეტვეს ეხებოდა. მან პოლიციის ოფიცრები „უნიფორმიან მხეცებს“ შეადარა. პოლიციის ქცევები დახასიათებული იყო, როგორც დაშინებითი, უკანონო, დაუდევარი და უნიჭო. ეროვნულ სასამართლოებში მისტერ ტორგეისონი დამნაშავედ ცნეს პოლიციის იმ წევრების ცილისწამებისთვის, რომლებიც სადავო გამონათქვამში ცალსახად იდენტიფიცირებულები არ იყვნენ და მოსარჩელეს ჯარიმის გადახდა დააკისრეს. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში სიმართლის მოთხოვნა იქნებოდა არაგონივრული, შეუძლებელიც კი და განაცხადა, რომ პრესა თითქმის ვერაფერს ვერ დაბეჭდავდა, თუკი მას მხოლოდ სრულიად დამტკიცებული ფაქტების გამოქვეყნებას მოსთხოვდნენ. სასამართლოს აზრით, მოსარჩელე აღმოჩნდა არაგონივრული და შესაძლოა, გადაუჭრელი ამოცანის წინაშე მამინ, როდესაც მას საკუთარი განცხადებების სისწორის დამტკიცება დააკლეს.<sup>51</sup>

მტკიცების ტვირთის გადანაწილებასთან დაკავშირებით საგულისხმოა ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

---

<sup>50</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 16 მაისის №ას-810-1129-07 განჩინება.

<sup>51</sup> *Thorgeir Thorgeirson v. Iceland*, [ECtHR], App.no. 13778/88, 25.06.1992, Para.62.

საქმეზე “Bergens Tidende” ნორვეგიის წინააღმდეგ“. ყოველდღიურმა გაზეტმა “Bergens Tidende”-მ გამოაქვეყნა მასალათა სერია ექიმის მიერ კლინიკაში ჩატარებულ წარუმატებელ პლასტიკურ ოპერაციებზე. ამასთან, ზოგიერთ მათგანს თან ახლდა დოკუმენტური ფოტომასალა. ნორვეგიის უზენაესმა სასამართლომ “Bergens Tidende” დამნაშავედ ცნო სახელის გამტეხი ცნობების გავრცელებაში, რამდენადაც სტატიებში მოყვანილი მრავალი მტკიცებულება სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია. მომჩივანის მიერ ფაქტების მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „აუცილებელია, არსებობდეს განსაკუთრებული მიზეზები, ვიდრე გაზეთი გათავისუფლება მისი ჩვეული მოვალეობისაგან - დაადასტუროს იმ ფაქტობრივი განცხადებების ნამდვილობა, რომელიც შინაარსობრივად სახელის გამტეხს წარმოადგენს. იმის გარკვევისას, თუ რამდენად არსებობდა აღნიშნული მიზეზები, უნდა შეფასდეს განცხადებების ბუნება და ხასიათი, აგრეთვე, უნდა განისაზღვროს, რამდენად სარწმუნოა გაზეთის წყაროები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით“.<sup>52</sup> სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანს არ გადაუმოწმებია მისი წყაროების ნამდვილობა სტატიების გამოცემაზე. ამ საქმის განხილვისას ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ სადავო სტატიათა სერიაში აღწერილი იყო კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც ეფუძნებოდა იმ ადამიანების გამოცდილებას, რომელთა კოსმეტიკური ოპერაციები წარუმატებელი აღმოჩნდა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, ამიტომ, საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, მსგავსი მასალის გამოქვეყნება გამართლებულია. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ისიც, რომ შესაძლოა, ჟურნალისტური ეთიკის დაცვის თვალსაზრისით, ჟურნალისტები არასაკმარისად კორექტულად მოქმედებენ, მაგრამ სასამართლო დაეყრდნო სამართლებრივი ნორმების სტანდარტულ მიდგომას, რომლის თანახმადაც, „არც ერთ სასამართლოს არ შეუძლია უკარნახოს ჟურნალისტს, როგორი მეთოდები გამოიყენოს მოვლენების აღწერისას“<sup>53</sup>.

<sup>52</sup> *Bergens Tidende v. Norway*, [ECtHR], App.no. 26132/95, 2.05.2000, Para.51.

<sup>53</sup> იქვე, Para.53.

### 2.2.3. აშშ-ის სასამართლო პრაქტიკა

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს ამერიკულ სამართალში გაბატონებულ მოდელს.<sup>54</sup> ამიტომ მიზანშეწონილია იმ ქვეყნის პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა, საიდანაც საფუძველს იღებს ქართული კანონი.

მტკიცების სტანდარტთან მიმართებით მნიშვნელოვანია აშშ-ის უზენაესი სასამართლოს 1931 წლის გადაწყვეტილება საქმეზე „ნაირი მინესოტას წინააღმდეგ“.<sup>55</sup> მითითებულ საქმეში ჰენეპინის ოლქის პროკურორმა და შემდგომში გუბერნატორმა – ფლოიდ ოლსონმა სასამართლოში უჩივლა გაზეთს – “Saturday Press”, მინესოტას შტატში მოქმედი იმ კანონის საფუძველზე, რომლითაც წესრიგის დარღვევად მიიჩნევა „ბოროტი, სკანდალური და ცილისმწამებლური“ გაზეთებისა და პუბლიკაციების გამოცემას. კანონის ტექსტში ეწერა, რომ ყველა პირს, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის ამგვარ დამრღვევად იქნება მიჩნეული, გაზეთისა თუ პუბლიკაციის გამოცემა აეკრძალება. სარჩელში, რომელიც ოლსონმა სასამართლოში შეიტანა, აღნიშნული იყო შემდეგი: გაზეთში გამოქვეყნებული ცნობებით, სამართალდამცავ ორგანოებსა და მოხელეებს არ შესწევდათ უნარი, გამოეყვინათ და დაესაჯათ სათამაშო ბიზნესში, ალკოჰოლის კონტრაბანდასა და რეკეტულ საქმიანობაში ჩართული პირები, რომლებიც ებრაელი განგსტერის მფარველობით სარგებლობდნენ. მინესოტაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჯარო მოხელეებს შეუძლიათ, სასამართლოში უჩივონ გამომცემლებს სკანდალური და ცილისმწამებლური საგამომცემლო საქმიანობისათვის, განსაკუთრებით, თუ ეს გამოცემა საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილ გადაცდომებზე, სამსახურებრივ გულგრილობაზე საუბრობს. თუ გამომცემელი ან მესაკუთრე მოსამართლეს არ წარუდგენს მტკიცებულებებს, რომლითაც იგი დაამტკიცებს, რომ პუბლიკაცია სწორ ინფორმაციას შეიცავს და გამოქვეყნებულია კეთილი განზრახვით და სამართლებული მიზნებით, მის მიერ გაზეთის შემდგომი გამოცემა დასჯადია, რამდენადაც სასამართლოს უპატივცემულობად არის მიჩნეული. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მტკიცების ტვირთის ამგვარი დაკისრება

<sup>54</sup> კოტეტიშვილი ი., გამოხატვის თავისუფლება ტ.2, გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, თბილისი, 2005, 54.

<sup>55</sup> *Near v. Minnesota*, 283 U.S. 697.

პრესაზე წარმოადგენს მისი თავისუფლების იმ გარანტიების დარღვევას, რომლებიც მეთოთხმეტე შესწორებით არის აღიარებული და ვრცელდება შტატებზე. სწორედ ეს არის ცენზურის არსი.<sup>56</sup>

აშშ-ის სასამართლო პრაქტიკაში ამ კუთხით პრეცედენტულ გადაწყვეტილებადაა მიჩნეული “New York Times” სალივანის წინააღმდეგ.<sup>57</sup> ამ საქმეში ალაბამას შტატში არჩეული სამი კომისარიდან ერთ-ერთმა, სალივანმა, სასამართლოში სარჩელი შეიტანა გაზეთ “New York Times”-ის წინააღმდეგ, რომელმაც გამოაქვეყნა განცხადება. მოსარჩელემ ეს განცხადება ცილისმწამებლურად მიიჩნია, რადგან მისი რამდენიმე ფრაგმენტი შეიცავდა არასწორ ფაქტს და ეხებოდა პოლიციის ქმედებას სტუდენტების მიერ სამოქალაქო უფლებების დასაცავად გამართულ დემონსტრაციაზე. სალივანი დავობდა, რომ სარეკლამო განცხადებაში მოყვანილი ფაქტები, რომელშიც კონკრეტულ პირზე არ იყო საუბარი, სინამდვილეში, მას ეხებოდა, რადგან პოლიციის დეპარტამენტის ზედამხედველობა სწორედ მისი მოვალეობა იყო. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი შესწორების ინტეგრეტაციის შედეგად მიღებული გარანტიები განუხრელად უარყოფს გამონაკლისის დაწესებას სიმართლის ტესტისათვის, განსაკუთრებით კი ისეთს, რომელიც სიმართლის მტკიცების ტვირთს გამპრცელებელს აკისრებს.<sup>58</sup>

## V. დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით პიროვნების პატივი და ღირსება დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით, სამოქალაქო კოდექსი კი პირის პირად არაქონებრივ უფლებებს მათი შინაარსის გათვალისწინებით სამოქალაქო ბრუნვის უმნიშვნელოვანეს ობიექტად მიიჩნევს და დაცვის საკანონმდებლო რეგლამენტირებასაც ახდენს. ამის საპირწონედ დგას სხვა პირის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, რომელიც ძირითად უფ-

---

<sup>56</sup> ოქრუაშვილი მ., კოტეტიშვილი ი., გამოხატვის თავისუფლება, ტ.1, გამოხატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში, თბილისი, 2005, 168.

<sup>57</sup> *New York Times Co. v. Sullivan*, 376 U.S. 254.

<sup>58</sup> ოქრუაშვილი მ., კოტეტიშვილი ი., გამოხატვის თავისუფლება, ტ.1, გამოხატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში, თბილისი, 2005, 177.

ლებათა რიცხვს განეკუთვნება და კონსტიტუციითა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონითა დაცული.

ამ ორი უმნიშვნელოვანესი უფლების დაცვისას სამართლიანი ბალანსის უზრუნველსაყოფად საჭირო იყო მათი კონკურენციის პირობებში, სასამართლოს მიერ რომელიმე უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის დასადგენად მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრა და სწორი საკანონმდებლო რეგულაციების პირობებში მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილება. ამ მიზნით 2004 წლის 24 ივნისს განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები და მიღებულ იქნა ახალი კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ, რომლითაც კანონმდებელმა მტკიცების ტვირთის გადანაწილების მანამდე არსებულ წესზე უარი თქვა და ის მოპასუხისაგან (მისი გამერცელებლისაგან) მოსარჩელეზე (უარმყოფელზე) გადაიტანა, რითაც შეუქმნა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას უფრო მეტი ინსტიტუციური გარანტია. ამით ქართული კანონმდებლობა უფრო მეტად დაუახლოვდა იმ სტანდარტებს, რომლებიც საზღვარგარეთის ქვეყნებშია მიღებული.

ცხადია, რომ პირს არ უნდა დაევალოს მის მიერ გავრცელებული მოსაზრებების სისწორის მტკიცების ტვირთი, მაგრამ ადამიანის ღირსება, როგორც აბსოლუტურად გარანტირებული უფლება, დაცვის უკეთეს მექანიზმს მოითხოვს. ზოლო ვინაიდან სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება აბსოლუტურ უფლება არაა, პირის მიერ გამოთქმული მოსაზრებებიც შეიძლება შეიზღუდოს სხვა პირთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ კუთხით კანონის მიდგომა, რომლითაც ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნის მტკიცების ტვირთის მთლიანად მოსარჩელეს ეკისრება, ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესის წარმატებით დასრულების შესაძლებლობას, რადგან თითქმის დაუძლეველი ამოცანაა იმის მტკიცება, თუ რა ფორმით გამოხატა პირმა თავისი უფლება, – აზრის თუ ფაქტის სახით.

საკანონმდებლო ცვლილებებმა მტკიცების ტვირთი ფაქტების უსწორობასთან დაკავშირებით დააკისრა მოსარჩელეს და ამით იგი შესაბამისობაში მოვიდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესთან, თუმცა მოსაზრებების აბსოლუტური პრივილეგიით დაცვით და აზრისა და ფაქტის გამიჯვნის მტკიცების ტვირთის უფლების

შეზღუდვის ინიციატორზე დაკისრებით, პირის პირადი არაქონებრივი უფ-  
ლებები დაცვის ეფექტური საშუალებების გარეშე დარჩა.